

საქართველოს იღია ჭავჭავაძის სახელობის  
საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-  
საგანმანათლებლო კაფეიშის „საზოგადოება  
ცოდნის“ ჟურნალი

# სიცოდა

„როცა საზოგადო მნიშვნელობის  
აზრი ამოქმედებს სიტყვას, მაშინ  
თვითონ თქმა ქმნად გადაიქცევა  
ხოლმე“



№24  
2014

უურნალ „სიტყვის“ გამოცემა გრძელდება საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ წესდების საფუძველზე, რაც საჭირო ცვლილებებით დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით №366, 30.09.2005 წ. მოწმობა №00541/12/0293

### სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო უურნალი „სიტყვა“

თუ რედაქციაში შემოსული მასალები არ ემთხვევა რედაქციის პოზიციას, გამოქვეყნებულ წერილებში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი

უურნალში გამოქვეყნებულ მასალებზე საავტორო უფლება ექუთვნის „სიტყვის“ რედაქციას. შეუთანხმებლად რაიმეს გადატეჭდვა კანონის მაღით აქრძალულია. უურნალი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ სტამბაში

სარედაქციო კოლეგია:

**ნუგზარ წერეთელი (მთავარი რედაქტორი),  
ნოდარ ზედელაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი),  
გურამ გეგეშიძე, ემზარ კვიტაშვილი, ნიკო ლეონიძე, თეა მამარდაშვილი,  
ტარიელ სტურუა, ალექსი ჭედია, ნინო წერეთელი.**

**რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №47.**

**საკონტაქტო ტელეფონები:  
299-00-35, 299-94-46, 293-43-10  
577-52-31-31, 555-39-28-83**

ISSN 1987-77-49

Ý საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“

## შინაარსი

1. საქართველოს სამრთაშორისო „საზოგადოება ცოდნაში“ .....	4
---	---

### მხატვრული ღითერატურა. პროზა

2. ლალი ბრეჩგამე-გახიანი - „მაღალი კაცი“ ..... 7	7
3. ბიბი მერაბიშვილი - მოთხრობები ..... 27	27
4. ნუბარ ჭერეთელი - „გზები წყვდიადში“ (ნაწყვეტი რომანიდან) ... 38	38

### სპორტი

5. შეზღუდული შესაძლებობები არ არსებობს (პარაოლიმპიური სპორტის ისტორია) ..... 71	71
---	----

### ძართული ენის სიმახუთე

6. ნოდარ ზედელაშვილი - „როგორ ვწეროთ და ვიღაპარაქოთ“ ..... 75	75
---	----

### სტუდენტი ახალგაზრდობის შემოქმედება

7. თამარ თოდუა - ლექსები ..... 78	78
8. ნინო ფოროშელიძე - ლექსები ..... 80	80
9. თამარ შუპჩანი - ლექსები ..... 82	82
10. მადონა გოგოლიძე - ლექსები ..... 84	84

### ლექსების ციტატები

11. ნუბარ ჭერეთელი - „სხვა ხმაზე ნამდევრი“ ..... 86	86
---	----

### პრიტიბა

12. ნუბარ ჭერეთელი - „ორი წიგნის ხიბლისა და მიმზიდველობის საიდუმლო ანუ არატრადიციული რეცენზია“ ..... 108	108
13. ნატა გლეხისელი - „კვალი ნათელი“ ..... 113	113

## საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნაში“



საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“, 1947 წლის მაისიდან არსებობს და ფუნქციონირებს. სამ წელიწადში დაარსებიდან სამოცდაათი წლისთავის საიტილეო თარიღიც აღინიშნება. განვლილი ორმოცდაათზე მეტი წლის მანძილზე საზოგადოება „ცოდნა“ წარმატებით ხელმძღვანელობდა ქვეყანაში ლექციური განათლების და სახალხო უნივერსიტეტების ფართო ქსელს, ქალაქებისა და რაიონების გარდა ყველა

სოფელში ათასობით მაღალკვალიფიციური ლექტორთა ძალებით შედიოდა, ხელს უწყობდა ხალხის თვითგანვითარებას, პოპულარულად უხსნიდა ყველა სიახლეს, აცნობდა ეროვნული ლიტერატურის, მეცნიერებასა და ხელოვნების სიახლეებს, პასუხობდა ყველა სახის მწვავე შეკითხვას. საინფორმაციო ურთიერთობების ასეთი ფორმა ხალხს მოსწონდა, მოთხოვნილებაც საქმაოდ დიდი იყო, წლის მანძილზე „საზოგადოება ცოდნის“ ათასობით რეგისტრირებული ლექტორი რესპუბლიკაში ორასი ათასამდე ლექტირის კითხულობდა, ან საფუძვლიან ახსნა – განმარტებით საუბარს ატარებდა. ამავე დროს „ცოდნის“ ხაზით გამოდიოდა 120-ზე მეტი დასახულების ბროშურა ეროვნული ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროდან, საიდანაც ხალხს პოპულარულად განემარტებოდა უამრავი პრობლემა, ასევე გამოდიოდა უურნალების სერია საერთო სათაურით „კითხვა. პასუხი. პრობლემა“, რაც საზოგადოებრიობაში პოპულარობით სარგებლობდა.

1991-1995 წლების მძიმე არეულობის წლებში „საზოგადოება ცოდნის“ საქმიანობა საგრძნობლად გართულდა, მაგრამ მაიც მოელი მონდომებით მიმდინარეობდა. იმ პერიოდში უკვე საქმაოდ დაუძლურებული სახელმწიფო მაიც გვიწევდა ყველა სახის შესაძლო დახმარებას. 1994 წლ-

იდან ქ.თბილისის ღრმა ცენტრში არ-სებული და „ცოდნის“ ცენტრალური საბჭოს მიერ დაფინანსებული ჩვენი შენობა გადმოგვეცა ფლობისა და გან-კარგვის უფლებით, 1998 წლიდან კი უკვე სრულ საკუთრებაში, პირად ბალ-ანსზე აყვანით. 1994 წლიდანვე სახ-ელმწიფო „ცოდნა“ ბიუჯეტიდან და-ფინანსებულ ორგანიზაციათა სიაში შეიყვანა, რაც დიდად უწყობდა ხელს „ცოდნის“ ყოველდღიურ მუშაობასა და საქმიანობის აღმავლობას. 2001 წლ-იდან, მაშინ ჯერ კიდევ ახლადდანიშ-ნულმა ფინანსთა მინისტრმა „საზოგა-დოება ცოდნა“ ერთ-ერთი პირველი ამოილო აღნიშნული დაფინანსების სიდან და ორგანიზაცია უსახსროდ დარჩა. ამას ზე დაერთო მომდევნო წლებში ქართული ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნებისადმი ზემდგომი ორგანოების ყურადღების მკვეთრი შესუსტება, რამაც ბუნებრივ-ია, მძიმედ იმოქმედა „ცოდნის“ სალექ-ციონ-საინფორმაციო მოღვაწეობაზეც და ეს დიდი, წლობით აპრობირებული საქმე ჩაშლის პირამდის მიიყვანა. უკვე აღარ იყო სახსრები, რომ საზოგადოე-ბის გამოჩენილი ლექტორები, რომელ-თა რიგებშიც იყვნენ აკადემიკოსები, პროფესორები, დოქტორები, მწერლები, ყველა დარგის თვალსაჩინო სპეციალ-ისტები, მივლინებით გაგვეგზავნა ქვეყ-ნის რაიონებსა და სოფლებში ხალხ-თან შესახვედრად და ხალხთან გუ-ლახდილი საუბრებისათვის. ამიტომაც იყო, რომ „საზოგადოება ცოდნა“ დაად-გა საკუთარი წესდებით განსაზღვრულ საგანმანათლებლო მოღვაწეობისა და

ახალგაზრდა თაობის აღზრდისათვის ხელის შეწყობის მომიჯნავე და ასევე აპრობირებულ გზას.

ჯერ კიდევ 1950 წლიდან „სა-ზოგადოება ცოდნაში ფუნქციონირებ-და სამედიცინო ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი. როგორც აღნიშნეთ, მაშინ და შემდგომ წლებში ქვეყნის ოლქებისა და რაიონების მასშტაბით 150-ზე მეტი სახალხო უნივერსიტე-ტი მოქმედებდა, რომელთა შექმნაც და ხელმძღვანელობაც ქვეყნის მთავრობის დადგენილებით მთლიანად „საზოგადოე-ბა ცოდნას“ ევალებოდა. ორი და სამი წლის სწავლების შემდეგ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე სახალხო უნივერ-სიტეტების კურსდამთავრებულებს თვიუციალური უწყებრივი და არა სახ-ელმწიფო დიპლომებიც ეძლეოდათ, რაც მათ ხელს უწყობდათ ზოგადი გა-ნათლების მიღებაში და სამსახურე-ბრივ წინსვლაშიც გარკვეულწილად ეხმარებოდათ, რადგან მაშინ ამ სახის საზოგადოებრივი პროექტების განხ-ორციელება სავალდებულო და საპა-ტიო სფეროს წარმოადგენდა,

1993 წლიდან „საზოგადოება ცოდნაში“ წარმატებული ფუნქციონ-ირება დაიწყო ატესტირებულმა სამედ-იცინო კოლეჯმა, რომელიც 2000 წლიდან უმკაცრესი ატესტაციის გავ-ლის შემდეგ უნივერსიტეტიც იყო და სასწავლო უნივერსიტეტიც.

საქართველოს „საზოგადოება ცოდ-ნის“ უმაღლესმა აკადემიურმა სასწავ-ლებელმა უკვე ნაყოფიერი გზა განვ-ლო. მან წარმატებით გაიარა ყველა საფეხური და ბარიერი, მიიღო ატესტ-

აციაც, ავტორიზაციაც, მიმდინარე წელს კი განმეორებითი აკრედიტაცია მოიპოვა ხუთი წლის ვადით, ამავე დროს მივიღეთ ავტორიზაცია პროფესიული მიმართულებითაც. აქ მედიცინის პირველი საფეხურის მაღალკალიფიციური მუშაკებიც მომზადდებიან, რაზედაც ქვეყანაში დიდი მოთხოვნილებაა.

საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ უმაღლეს აკადემიურ სასწავლებელში ასწავლიან ჩვენი ქვეყნის ფარმაციის ხაზით მომუშავე საუკეთესო, ძლიერი, მაღალკალიფიცირებული კადრები, სრული და ასოცირებული პროფესორები, რომელთაც ცნობილი პრაქტიკული ფარმაცევტების თაობები ჰყავთ აღზრდილი. მაღალი დონის განათლების მიღებასთან ერთად ისინი რექტორატისა და ადმინისტრაციის მხარდამხარ სითბოსა და ყურადღებას არ აკლებენ მომავალ ფარმაცევტებს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ „საზოგადოება ცოდნის“ უმაღლესი აკადემიური სასწავლებლის კურსდამთავრებულები დასაქმების ანუ სამსახურში მოწყობის ძალიან მაღალი კოეფიციენტით გამოირჩევიან. ჩვენთან ბაკალავრის სახელმწიფო დიპლომმიღებულები მუშაობენ საზღვარგარეთის ქვეყნებშიც, საქართველოში კი პსა-ს სისტემის აფთიაქებში, წამლის სააგენტოში თუ ეროვნული ფარმაციის სხვა ცენტრებ-

ში.

ასევე განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ის გარემოება, რომ გასულ 2013 წელს, ძალიან დიდი და რთული მზადების შემდეგ, ჩვენ მოვიპოვეთ აკრედიტაცია და ქართული ფილოლოგის ფაკულტეტიც გაიხსა, სადაც მოღვაწეობას იწყებენ ძალიან მაღალი დონის კადრები და გვჯერა სწავლების საქმეც სასურველი წარმატების გზით წარიმართება.

საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნაში“ ფუნქციონირებს გამომცემლობა, სადაც იბეჭდება ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების სახელმძღვანელოები, შრომები, სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციის მასალები. „ცოდნაშივე“ გამოდის სქელტანიანი (150-200გვ.) უურნალი „სიტყვა“, სადაც ხშირად იბეჭდება პროფესორებისა და სტუდენტების შრომები, მხატვრული შემოქმედების ნიმუშები, ლექსები და მოთხოვნები, ნარკვევები და ჩანახატები.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“ დგას ახალი პრობლემების, ახალი გამოწვევების წინაშე და მონდომებით ცდილობს თანამედროვე მოთხოვნების დონეზე წარმართოს ყოველდღიური საქმიანობა.

**საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნის“ გამგეობა**

## საყურადღებო მოთხოვა

პოპულარული ლიტერატურული ჟურნალის „ჩვენი მწერლობის“ 2013 წლის 13 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა ცნობილი პროზაიკოსის ლალი ბრეგვაძე-კახიანის საინტერესო მოთხოვა „იყო კაცი... და იყო ჩრდილი მისი“. მოთხოვა ფიქტოლოგიური ნაწარმოების ჟანრს განეკუთვნება.

აქ მოქმედებენ გმირები სახელისა და გვარის მიუთითებლად, ბევრი რამ ახლებურია და პირობითი აღქმით შექმნილი, თუმც ეს სათქმელს ზემოქმედების ძალას არ უკარგავს, პირიქით ხელს უწყობს მკითხველის დაინტერესებასა და ნიჭიერი მწერლის ნაწარმოებში ჩაწვდომის სურვილს.

მოთხოვა ჩვენთვისაც საინტერესო აღმოჩნდა, რადგან ყველა მონაცემითა თუ ყველა მინიშნებით, ადგილმდებარეობისა თუ ერთ-ერთი გმირის ქცევების, ხასიათის, ვითარების აღწერით ვხვდებით, რომ „მაღალი კაცის“ პროტოტიპად მწერალი ნუგზარ წერეთელი იგულისხმება, მასთან ერთად 24 წლის ასაკში ტრაგიკულად დაღუპული დიდი ქართველი მწერალი გურამ რჩეულიშვილია ნაჩვენები. ჩვენ გადავწყვიტეთ მოთხოვას გადმობეჭდვა, რათა „ჩვენი მწერლობის“ მკითხველებთან ერთად ჩვენმა მკითხველებმაც შეძლონ ამ საყურადღებო ნაწარმოების გაცნობა. მცირე შეცდომით გადმობეჭდილი ნაწარმოების გასწორების მიზნით მოთხოვას განმეორებით ვბეჭდავთ.

### რედაქცია

040 გაც0... და 040 ჩრდილი მისი

მოდრეკილისა და მორჩილის ვული  
არ დაამცირო, ღმერთო!  
ფსალმუნი დავითისი 50, 19 |

### ეძღვნება ნუგზარ წერეთელს

გარეუბნის მეტროსადგურთან ბოშებს დილიდანვე მოესწროთ ფილაქანაყრილი მოედნის დაკავება. ესწი აღრინდელი ნახევრად მაწანწალები როდიდა გახლონენ, დაპლისული ჭრელაჭრულა გრძელი ქვედაბოლოების რხევით მოსიარულენი, დაურიდებლად რომ გექაჩებოდნენ ტანსაცმელზე და, მკითხაობით, შენი მომავლის იდუ-მალებათა გაცხადებას გთავაზობდნენ. არა, ჩემო ბატონო, მათ მშვენივრად აეღოთ ალღო ახალი დროებისათვის, ვაჭრობის სარფა ეგემათ და უპვე ცხოვრების სხვა კატეგორიაში გადასულთ, მედიდურად ეჭირათ თავი. მოძალადე დამპყრობლებივთ შესეოდნენ

მოედანს, უწესრიგობა და გნიასი დაეყენებინათ, მეტიც, თავიანთი პრიალა თვალების მზერითა თუ გამომწვევი უესტებით უსიტყვოდ გაგრძნობინებდნენ, ხომ ხედავთ, რამდენი საქონელი მოვყარეთ, მაშასადამე, ჩვენც რაღაცას წარმოვადგენთ, ანგარიშგასაწევები ვართოთ. ხმაურობდნენ დაურიდებლად, გაპყვიროდნენ იაფფასიანი ყოველი ნივთის სახელს..

ანიტა ათასი წვრილმანით დახუნდლულ სახელდახელო დახლებშუა მი-იკვლევდა გზას.

აქთ-იქით თითო გრძელტარიანი კლათა ეჭირა შიგჩადგმული ქოთნებით, რომლებშიც მშვინიერი ჩინური ვარდები ყვაოდა. ქალი ცდილობდა, ხელები წინ, რაც შეიძლება ერთმანეთთან ახლო-ახლო მიეტანა, იდაყვებს გან-გან სწევდა, რომ კალათებს ვინმე არ წას-ჯახებოდა. როგორმე მშვიდობიანად უნდა გაერწია მოედნის იქითა ნაპირამდე, ფრთხილად უნდა გადაევლო გამყიდველ-მყიდველთა მორევი, რისთვისაც ძალას არ იშურებდა. უკვე ასტკივებოდა მხრები, გულიც ამოვარდნაზე ჰქონდა, მაგრამ არას დაგიდევდათ. არსებობისთვის ბრძოლაში ამაზე განა ვინ ფიქრობს.

იქითა მხარეს, ქსეროქსების, ფულის გადამცვლელთა, მზის სათვალეებისა თუ მეორადი მობილური ტელეფონების შემკეთებელთა ჯიხურების მწკრივში, პატარა სამკერვალო აღმოებინა. ორიოდ დღის წინ უშნოდ წაგრძელებულ, ნახევრად ბნელ სათავსოში, ტყავის სუნად რომ ყარდა, ბლანჟეიან მკერავ ყმაწვილკაცს გამოელაპარაკა.

ყვავილებზე ჩამოუგდო სიტყვა და ერთობ კმაყოფილი დარჩა, როდესაც მან გულწრფელად ამცნო, ქოთნის ყვავილებს პატივს ვცემო. მერე ისე მოხდა, ქალმა იგი ჩინური ვარდის ყიდვაზე შეიპირა, ოღონდ ეს მანამ იყო, ვიდრე ფასზე მოილაპარაკებდნენ. ბოლოს შეატყო, კაცს თითქოს ეძვირა, თუმც მკერავმა იხტიარი არ გაიტეხა:

— კარგი, კარგი, მოიტანე, — უდიერად მიუგდო სიტყვა, თან ნახევრად გაჭალარავებული ქალი, ქმრის გამონაცალ, წელზე ბრტყელი ქამრით მომდგარ განიერ ჯინსში ჩამძვრალი, დაკვირვებით შეათვალიერა.

“გამაგრდი, ანიტა, ამან არ დაგვაძნოს!..” — უთხრა მაშინ საკუთარ თავს. ვერ იტანდა ბლანჟეიან მამაკაცებს, უფრო მეტიც, არასრულფასოვნად თვლიდა. კაცი რომ გარეგნული ეფექტებით კეკლუცობას იწყებს, წასულია მისი საქმეო, ფიქრობდა თავისთვის.

ადრე მყიდველებს საგანგებოდ შეარჩევდა ხოლმე, განა ყველასთვის იმეტებდა ნაფერებ-ნალოლიავებ ყვავილებს. ახლა კი სხვა დრო იდგა. გაუჭირდა ხალხს. სილამაზე ფუფუნებად ითვლებოდა, შემცირდა მყიდველი. ესეც არ იყოს, დაღალა ქოთნების სიმძიმემ, მკლავში ძალა ძველებურად აღარ მოსდევდა, უკვნესოდა ძვლები. მაინც ცდილობდა, ყოჩადად სჭეროდა თავი, არ დანებებოდა იმ გაცრუებულ მოლოდინთა უსასობას, ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე, დღე-ღამეთა გაბმულ ჯაჭვზე მიბმულს, რაღაცნაირად, მოთმინებასაც რომ აჩვევდა.

ყველა სიკეთეს ქმრის ახირებაც

ემატებოდა. გილბერის სიჯიუტით შეძრულ-შეძრწუნებული, აშკარად ხე-დავდა, იგი საბედისწერო პრობლემას შესჭიდებოდა, საბოლოოდ ჩაკეტილ-იყო განუხორციელებელი იდეის ფანტასტიზმიაში, მაგრამ ვერაფრი გაეწყო. ბევრჯერ სოხოვა, მოეშვი, კაცო, მაგ ოხერ პერპეტუუმ-მობილეს. მთელ დუნაზე თუ ვერავინ ნახა მისგან ხეირი, შენ რა გამორჩეული გამოღექი, რომ მაინც-ამანც გამარჯვებას უნდა ელოდო?!

პირდაპირ არ ეუბნებოდა, მაგრამ კარგა ხანია გადაეწურა იმედი, დარწ-მუნდა, გილბერის თავგადაკლული ცდა – მუდმივი ძრავისგან უნივერსალური ენერგია მიეღო, დროის ფუჭად ფლანგვა აღმოჩნდა, სურვილები კი არა მარტო საკუთარი ოჯახის, არამედ ირგვლივ მყოფი ყოველი ხელ შეშლილის ეკონომიკური კეთილდღეობის შექმნაზე – ლამაზი და ამაო ფანტაზიის ნაყოფი. განსაკუთრებით იმაზე წყდებოდა გული, გილბერმა ამდენი ხანი უქ-მად რომ მოაცდინა სახელოსნოს ფარ-თი. მშვენიერი ოთახია, გავაქირავებდით, ბოლოს და ბოლოს, რაღაც შემოსავალს გაგზიჩნდა, მაშინ ლუკმაპურისთვის ყოველდღიური წვალება აღარ მომიწ-ევდა.

ვიდრე სამკერვალოში შევიდოდა, ეჭვმა ჩაგესლა, ვაითუ ბლანუეიანმა ყვავილის ყიდვა გადაიფიქროსო. ხოლო მერე, სპეციუიკური სუნით სავსე ოთახში პაპიე-მაშესგან დამზადებულ, ტყავით ამოტენილ ყუთთან მდგარი, წვრილ-წვრილ ფულს რომ ითვლიდა, გული გაუსენა იმის განცდამ, თითქოს ამ ტიპს მისგან საზღაურის ფასად კი არ შეესყ-

იდა ყვავილი, არამედ თავხედურად წაეგლივა, როგორც ქალის უწმინდე-სი არსის ნაწილი. თუმც მალევე მო-თოკა თავი, მოახერხა, როგორდაც ზე-მოდან შეეხედა ნავაჭრით ვერმილებული სიამოვნებისთვის. ბლანუეიანს კატ-ეგორიულად უთხრა:

– ნათელ ალაგას დადგით, – ისე-თი სიკერპე შეერთა ხმაში, თავადვე გაუკვირდა, – წყალი უყვარს, მაგრამ ზომიერად, ძირები არ უნდა ჩაულპეს.

კალათიდან სწრაფად ამოიღო ქოთანი, რაღაც პლასტმასის ტუმბოზე შემოდგა, თან წამიერად დააშტერდა, თითქოს როგორდაც მოუბოდიშა, ტყავის სუნში რომ ტოვებდა. გადათვ-ლილი ფული შარვლის ჯიბეში ჩაიკუჭა და ვიღრე გარეთ გავიდოდა, კარშივე მოიფიქრა, შინ მისვლისას ქმრისთვის რაც უნდა ეთქვა:

– აჰა, აიდე ფული, წადი, თმა გაიკრიჭე, საბოლოოდ ტყის კაცს რომ არ დაემსგავსო!

აი, ასე! ამას წყალი არ გაუვიდოდა. რიკოშეტით ნასროლი სიტყვებით, იმის საპროტესტოდ, თუ როგორ ჭყლებდა ცხოვრება, ცოტათი მაინც მოიფხანდა გულს, თორემ არსებითად რას შეცვლიდა, რითი გააქარვებდა იმ შეურაცხმოფელ განცდას, რომ ამ ასაკში, მთელი სიცოცხლის მანძილზე ნაშრომსა და ნაჯაფარს, თავის გადარჩენისთვის კვლავ ყოველდღიური ბრძოლა უწევდა.

ცარიელი კალათი მეტროსადგურის შესასვლელთან, პატარა ფარდულში ნაცნობ მესაათეს მიაბარა, უთხრა, აქე-თობისას წავიღებო, და ესკალატორს

ჩაჰეთი დაბლა.

მისრიალებდა ქვემოთ და ქვემოთ, შესცეროდა გარკვეული ინტერვალებით ჭერიდან საგანვებოდ მოდარაჯე ვიდეოთვალის გაყოლებაზე ანთებულ მონიტორებს. ერთმანეთს ენაცვლებოდა წარმტაც აზილიათა კადრები, ზღვასავით გადადიოდა ათასგარ ყვავილთა პლანტაციებიც, ბუნებრივად აჯილდოებდა დაუყვედრებელი, აღტაცებით სავსე სიხარულით. ვინ დალოცვილ ს მოეფიქრებინა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე მგზავრთათვის მსგავსი საჩუქრის შეთავაზება, ვის ეზრუნა მათი დაღლილი ნერვების საამებლად, რათა დროებით მაინც დაევიწებინათ ამაოების ორომტრიალით ქანცგამწყვეტი სიმძიმე.

მატარებლის მოგრინინებამდე, ბაქნის გამმიჯნავ მარმარილოს სვეტების მწერივში ერთ-ერთს მიეყრდნო და ამჯერად ფოიეს მონიტორს მიაცია მზერა, თითქოს ყვავილთა კორიანტელის დაღლილ გულში ჩასახლება და თან წალება სურდა.

ვაგონში შესულს ვიღაცამ ადგილი დაუთმო. ისიც მოწყვეტით დაეშვა სკამზე. კალათა, რომლიდანაც მისი ჩინური ვარდი მთელ ვაგონს უღიმოდა, მუხლებზე დაიდგა, ცოტა ხნით დახუჭა თვალები, ჯერაც ვერ მოწყვეტოდა მონიტორთა სილამაზის მაგიას და სურდა, გაეხანგრძლივებინა ყვავილთა მორთოლავ ფიორებზე შემომსხდარი ანკარა ცვრის სიცინცხალის განცდა. მათ ჭვირვალებაში ისეთ შეუვალ, ისეთ სათავისოდ კოდირებული ენით შექმნილ კავშირს ხედავდა, ნანახი კადრები

ნამდვილზე ნამდვილ შეხვედრად უნდა ჩაეთვალა, უფრო ნამდვილად, ვიღრე ეს უჰაერო, მოჯაფჯაფე ვაგონის სმენისწამტაცი გუგუნ-ზრიალი, ყველაფრის წაშლას და გაუკუდმართებას რომ ცდილობდა, უმოწყვალოდ ემუქრებოდა ქალის ნეტარ განცდას, რისი დათმობაც მას არაფრის გულისთვის არ სურდა, ამიტომაც ჩაჭიდებოდა მთელი არსებით. ინანა კიდეც, უფრო ხშირად რად არ დავდივარ აქეთ, ასეთ სიამოვნებას რისთვის ვიკლებო.

დახუჭულ თვალებში უცებ ბლანუების სახე ჩაუდგა, მისი ქედმალური, მაყვედრებელი გამოხვდვა. გაიმეტა და გადაიხადა ამ რაღაც ყვავილისთვის, სურნელიც რომ არ ჰქონდა, ოდენ სილამაზით შეემკო ბუნებას. მაინც სულგრძელობა გამოიჩინა, ისე იყიდა, ზედმეტები არ უღაყბია. უთუოდ საკუთარ უპირატესობად მიიჩნევდა ყვავილის ყიდვაზე თანხმობას, რასაც ქალს ტუჩის კუთხეში შეკავებული, ბოლომდე ჩამოუყალიბებელი გრიმასით აგრძნობინებდა, რაღაცნაირი უსიტყვო ქედმაღლობის გამომხატველი უბადრუკი დემონსტრირებით. ეს შეურაცხყოფდა ანიტას, ამავდროს, თავდაცვის ინსტინქტის აუცილებელი მოშველიების საჭიროებას კარნახობდა. მაგრამ ბლანუებიანთან უსიამოვნო კონტაქტი ჩავლილი იყო. ახლა მის ხსოვნასაც მოიცილებს, ამისთვის საჭმარისია, თვალი გაახილოს. ასეც მოიქცა.

მაშინვე მის მზერაში თმააზღარბული ჭაბუკი მოექცა, რომელიც მარჯვენა მხრიდან ადგა თავზე. საგანგებოდ აკვირდებოდა ანიტას, რაღაცას

ანიშნებდა თითქოს. ქალმა თავი მიაბრუნა, მისი სრული იგნორირება სცადა, სხვებზე გადაიტანა ყურადღება. დანარჩენი მგზავრებიც მას შესცეკროდნენ, შეთქმულებივთ ილიმოდნენ, რაღაც საიდუმლო კვშირი გაებათ ერთმანეთში. მერე დაინახა, მოპირდაპირე სკამის ბოლოს, ზედ გასასვლელ კართან მჯდარი ახალგაზრდა სიფრიფანა ქალი ხელით აქეთ-იქით როგორ სწევდა ფეხზე მდგომ, სამზერ არეს ითავისუფლებდა, თან გაფაციცებით უსვამდა ფანქარს მაგარყდიან ჟურნალზე დადებულ თაბაზის ფურცელს. შეხედავდა ანიტას დაკვირვებით, ძალდატანებითი სერიოზულობით და საქმეს აგრძელებდა.

მიხვდა, მას ხატავდა, ისეთი უინით, ისეთი ახირებულობით, უკან ვერაფერი დაახევინებდა.

ჯერ გაოცდა, ამდენ ხალხში რაღა მაინცდამაინც ის ამოერჩია ჯიუტ მჯდაბნელს. "ნეტა მე რა დასახატი მნახა, — გაიფიქრა, — ამასაც ჰქონია, რაღა, გემოვნება!" თუმც ეს თავისი ყვავილის დამსახურებად მიიჩნია. კიდევ მეტად გააღიზიანა კონტრასტმა, მასესა და ყვავილის სიქორფეს შორის რომ არსებობდა და, ანიტას აზრით, სწორედ ამის ასახვა გადაეწყვიტა იმ უცერემონიო ადამიანს.

უცებ წამოიჭრა ადგილიდან. მატარებელი სადგურში შედიოდა, ამიტომ გაჩქარდა კარისკენ, რომ სწრაფად გადასულიყო. ვიღაცამ კარშივე დააწია იმ მოცლილის "შედევრი", აიღეთ, აიღეთო, სოხოვდა. მაგრამ არც უფიქრია გამორთმევა, თითქოს მას არ მიმარ-

თავდნენ, არც მობრუნებულა, არანაირი ინტერესი, არანაირი რეაქცია... ისიც ვერ გაიაზრა კარგად, რომელ სადგურში იყო. არც ჰქონდა მნიშვნელობა, ყველა შემთხვევაში, იმულებითმა არჩევანმა მოუწია. თითქოს მოსდევლნენ, უფრო მეტიც, სდევნიდნენ, ის კი გარბოდა, სურდა, თავიდან მოეშორებინა უცნობთა აბუჩად ამგლები მზერა, რაც მთავარია, მათი ღიმილი, ყოველი შხრიდან მოდარავე, როგორღაც დამამცირებელი, ხელმყოფი ანიტას წმიდათაწმიდა მეობისა, რისი დაცვა ნებისმიერი ჭკუათამყოფლის ვალია. უღვთოდ ძარცვავდა ის უცერემონიო ღიმილი, ყოველგვარ პატივს ხდიდა. მერედა, ვის ჰქონდა უფლება მის შინაგან სამყაროში შეჭრის!.. იმან, უცნობთა ყურადღების ცენტრში რომ აღმოჩნდა, მცირე ხნით, მაგრამ მაინც, ვიღაცების გამრთობ-გამლადებელ ობიექტად აქცია. ამას სხვა რა სახელი დაერქმეოდა, თუ არა პიროვნული ღირსების შელახვა. რაღა მაინცდამაინც ის... ამდენ მგზავრში მაინცდამაინც ის... მაგრამ მიხვდა, სამისო განსჯისოვის ახლა არ იყო საუკეთესო დრო და ადგილი. სწრაფად გაიარა კარი. ბაქანზე გასულმა ერთი გაფიქრება იფიქრა, ბარემ ზემოთ ხომ არ ავსულიყოვით, მაგრამ მაინც ქალაქის ცენტრისკენ ამჯობინა გზის გაგრძელება. ამიტომ, სანამ მატარებელი სადგურში იცდიდა, სხვა ვაგონში გადასვლა მოასწრო. იქვე დადგა, კართან, არც სკამის დათმობა უნდოდა ვინმესგან, არც ხალხში გარევა. თავი ჩაღუნა და აღარც აუწევია, ისე გაიარა რამდენიმე გაჩერება. ბოლოს წითელი მარ-

მარილოთი მოპირკეთებულ სადგურში გადაწყვიტა გასვლა.

უყვარდა ეს რაიონი, ახალგაზრდობაში ხშირად უხდებოდა ამ ქუჩებით სიარული. სხვა დრო იდგა მაშინ. ეგბა ასაკის ბრალიც იყო, რომ ეს ძველისძველი ჭადრები მაშინ ზეიმზე მოსულებივით იდგნენ, უზომო სიხარულით ავსებდნენ, რასაც ამჯერად ნამდვილად ვერ იტყოდა. ახლა ისინი შეთქმულებს უფრო პგავდნენ, ანდა გაუთვალისწინებელ მოვლენათა გულგრილ მაყურებლებს, თითქოს თავისთვის იმახსოვრებდნენ ყველაფერს, რაც ამ ქალაქში ხდებოდა — შეკვეთილ მკვლელობებს, პოლიტიკურ ქიშებს, მოქალაქეთა თავსდატეხილ მარცხებსა თუ პატარატარა წარმატებებს.

ფილარმონიის წინ ამაყად მდგარ მკლავებგაშლილ მუზას რომ გაუსწორდა, პარკში გასვლა და მცირე ხნით იქ შეჩერება გადაწყვიტა. რამდენი ხანია, აქეთ ფეხი არ დაუდგამს, ნახავდა, როგორ გამოიყურებოდა იქაურობა, რა შეეცვალა კეთილმოწყობის სამსახურს, რომლის მუშაობითაც დიდად მოჰქონდა თავი მუნიციპალიტეტს.

მაგრამ დაეზარა გვირაბში ჩასვლა, თანაც მაღალმა კაციმა მიიპყრო მისი ყურადღება. იცნო, იგი იმ ბიჭების ჯგუფიდან იყო, თავის დროზე ამ უბნის მშვენებად რომ ითვლებოდნენ. თმა გასცენოდა, მაგრამ იერი და მოძრაობის მანერა იგივე შეენარჩუნებინა. შოკოლადისფერი კეისი ეჭირა, საათის ქანქარასავით ოდნავ აქანებდა წინ და უკან, მიდიოდა გრძელი, აუჩქარებელი ნაბიჯებით.

ანიტამ დაღლილი ხელიდან მეორეში გადაიტანა კალათა და გადაწყვიტა, კაცის კვალს ასდევნებოდა. ქურდულად მისდევდა მერე, თითქოს რაღაცას აშავებდა, აკრძალულ საქციელს საკუთარ თავს უმაღლავდა თითქოს. ამიტომ ერთი გასწრება კიდეც გაუსწორ, ოდნავ დაწინაურდა და ისე აყურადებდა უკნ მოტოგებულ მის ნაბიჯებს. არაფერზე ფიქრობდა, მექანიკური, უაზრო თამაში წამოეწყო და სულელურ გართობად ექცია. უცებ მოუნდა, მოშვებოდა არაფრისმაქნის თამაშს. კიდეც შეანელა სვლა, რომ მალევე მაღალი კაცის ჩრდილმა ფეხქვეშ გაუარა, წინ გაცურდა. მაშინ ანიტამ საკუთარი ჩრდილი მოიძია. ისიც იქვე იყო, მარჯვნივ, ოდნავ უკნისკენ — პატარა, მშიერი ძაღლივით ადევნებული, მისი ფიზიკური სხეულის უშნო გამოძახილი, მაგრამ უტყუარი დასტური იმისა, რომ ცოცხალია. დიახ, ცოცხალია და აქვს ინტერესები, რომლისთვისაც იბრძის, როგორც შეუძლია.

კაცი კარგად დაწინაურდა, ვარდისფრად შეფეთქილ ვება შენობის გვერდითა შესასვლელს მიაღდგა და შიგ შევიდა. წინათ შენობაში დიდი ბიბლიოთეკა იყო განთავსებული. იცნობდა ამ ადგილს. აქედან, სულ ახლოში, დამრეცი ქვიანი ბილიკი ჩაექანებოდა ლაგუნა ვერესკენ. ზედ საცურაო აუზის ეზოსთან მიგიყვანდა ის ბილიკი, რომელიც, სავარაუდოდ, ისევ უნდა ყოფილიყო, როგორც მოკლეზე მოსაჭრელი ფეხით მოსიარულეთათვის. ამას სხვა დროს დაადგენს, ახლა კი,

რადგან ისევ მოეძალა თამაშის ჟინი, მაღალ კაცს შეჰყვება კარში, რომლის ირგვლივ ფერად-ფერადი ფირნიშები გაეკრათ ათასგვარი წარწერით. არც დაინტერესებულა, რა ეწერა ამ ჭრელ-ჭრელ დაფეხზე, ისე შევიდა ნახევრად ბნელ ვესტიბიულში, სადაც მტვრისა და სიძველის სუნი იდგა.

მაგიდასთან მჯდომ დაცის სამ-სახურის მუშაქს მიაკითხა, დაელოდა, ვიდრე იგი ტელეფონზე საუბარს მორჩილდა, მოიცლიდა მისთვის და შეეკითხებოდა, რით გემსახუროთ.

ქალმა მობოლიშებით დაიწყო:

— მაპატიეთ... უნდა შეგაწუხოთ...

— გისმენთ, — უთხრა კაცმა, თან ანიტას ყვავილიან კალათას მიაქცია ფურადლება, — ბრძანეთ, ბრძანეთ.

არც იცოდა, რა ეკითხა, ან როგორ. ცოტა შეყოვნდა, მაინც მოიკრიბა აზრი:

— აქ მაღალი კაცი შემოვიდა ახლა... — ოპ, კიდევ რა დაემატებინა, რითი მიეხვედრებინა...

მაგრამ არ დასჭირვებია არაფრის დამატება, დაცის თანამშრომელი თავად დაეხმარა, მაშინვე მიხვდა, ვის გულისხმობდა ქალი, პასუხი არ დაუხანებია.

— ჩვენი დირექტორია, — თქვა თავ-მომწონედ, — თქვენ რა გაინტერესებთ?

— მასთან შეხვედრა მინდა, — დაუფიქრებლად მიუგო ანიტამ. ო, როგორ განაცვიფრა საკუთარმა გადაწყვეტილებამ, ასე ხელალებით, ყოველგვარი აწონ-დაწონის გარეშე რომ მიეღო, — შეიძლება?

კაცმა, თანხმობის ნიშნად, თავი დააქნია.

— მესამე სართული, — თქვა საქმიანად, — კიბიდან მარცხენა დერეფანი.

ანიტამ ისევ მობოლიშებით სთხოვა, თუ ნებას დამრთავთ, ყვავილს დაგიტოვებოთ, რაზეც თანხმობა მიიღო, უფრო მეტიც, დაცის თანამშრომელი სიხარულით შეხვდა მის წინადადებას.

— ამის ცქერას რა ჯობს, დატოვეთ, უვნებლად დაგხვდებათ, — ნასიამოვნები ჩანდა.

ჯერჯერობით საქმეს კარგი პირი უჩანდა. იოლად გაეხსნა გზა, თუმც წარმოდგენა არ ჰქონდა, რისი მოლოდინი უნდა ჰქონდა დირექტორისგან, რას ეტყოდა მას, რისთვის გეახელითო. სასაცილოა, მაგრამ ყვავილს ხომ არ შეიძნდითო? ჰქონდა ყვავილს. მას ყვავილი ჰქონდა გასაყიდი, აი, რაზე უნდა ეზრუნა. თუმც ადარ ჩაღრმავებია მომავალ შეხვედრაზე ფიქრს, მაინც არაფერს იძლეოდა, გარდა იმისა, უკან აძრუნებდა, გარდასულ წლების მიღმეთში — ვიწრო, აკაციის ხეებით სავსე ქუჩაზე, ძველ უბანში. იქ, შორეულ ნათესავთან სტუმრობისას, ზედ ბელეტაზზე წამოსკუპული ფანჯრიდან ხედავდა ხოლმე იმ ბიჭს. ღიაფერის თმა ჰქონდა, თავზე ტალღებად დაყრილი, თანატოლებში სიმაღლით გამოარჩევდი. ქუჩაზე ჯგუფურად ჩაივლიდნენ ხოლმე, ხმაურის კორიანტელს აყენებდნენ. მუდამ რაღაცაზე მსჯელობდნენ.

ის მაღალი ბიჭი ახლა სამოცდაათს ბევრად გადაცილებული კაცი გახლდათ, ისეთი, როგორიც ამ ცოტა ხნის წინ ნახა. ასაკს კიდევ უფრო მეტი ხიბლი შეებინა მისთვის, შეხვდავდი და

მაშინვე მიხვდებოდი, რიგითი ადამიანი არ იყო. უხაროდა ასეთი რომ იხილა, რადგან სრულფასოვნება, ასერიგად რომ ასხივებდა კაცი, რამდენადმე მის წარსულსაც ეხმანებოდა, ახალგაზრდობის ჯანსაღ მოგონებას, ოღონდ ეგაა, ახლა საკუთარი თავისადმი თუმც ფარული, მანც გულისმომკვლელი სიბრალული ახლდა ამ ყოველივეს. რევერანსი წარსულისადმი, ჯერ საიმედოს არაფერს იძლეოდა და, რაც მთავარია, ვერ ამართლებდა მაშინდელ ფერად წარმოდგენებს, უცნობი მომავლის ბურუსი რომ ეხვია. ოცნებები დიდხანს აჯილდოებდა არჩევანის ლაპაზი თავისუფლებით, მიუხვდავად იმისა, არ გარდასახულა ოქროს თევზად, მარჯნის ბალებში არ უცურავს, სამაგიეროდ, ახლაც ფრენს სიზმარში. ისე მსუბუქად ეშვება სიმაღლიდან, ყოველგვარი შიშის გარეშე, ჩიტივით, საკუთარ შესაძლებლობებში დაჯერებულს, გამოღვიძებისას გულწრფელად უკვირს, ცხადში ნუთუ მართლა მოკლებული ვარ ფრენის უნარსო.

დიდი კაბინეტის გრძელი მაგიდის თავში იჯდა იგი, როდესაც ანიჭამ კარი შეაღო. მან თავი ასწია, სათვალე მოიხსნა და სტუმარს თაფლისფერი მშვიდი თვალებიდან გამომკრთალი, ოდნავ გაოცებული მზერა შეაგება.

დაიბნა ანიჭა, შორი ეჩერნა მის მაგიდამდე გასავლელი მანძილი, შეკრთა კიდეც, კართანვე გაჩერდა. მერე კაცი წამოდგა მასპინძლის კეთილი ნების გამოსახატავად. და ისიც წათამამდა, აჩქარებით გაემართა წინ, თითქოს ერთომ საქმიან ვიზიტზე მოეხმოთ, მნიშ-

ვნელოვანი ყოფილიყოს მისი აქ მოსვლა, უფრო მეტიც, ელოდნენ მოუთმენლად, აქამდეც უნდა მოსულიყო.

მიახლოებისას შედგა. კაცმა ოდნავ დაუკრა თავი, დაბრძანდითო, უსიტყვოდ მიუთითა სკამზე, თავადაც დაეშვა მაღალ საზურგიან სავარძელზე, ხელისგულები ქაღალდებით სავსე მაგიდაზე დააღავა, სტენად იქცა.

ახლა კი დრო დადგა, ემარჯვა, გაემართლებინა მოულოდნელი ვიზიტი, არ დაფანტულიყო ფეტვის მარცვალივით. კაცი უცქერდა დიდი ხნის ნაცნობი თვალებით, შიგ ოდნავი დაღლა აჩნდა. საბოლოოდ მიხვდა, თავი უნდა მოეყარა სათქმელისთვის, როგორდაც შეეკორწიტებინა. პირველი ფიქრი, რამაც თავში გაურბინა, ის იყო, ამ შვენიერ კაბინეტს მართლაც დაამშვენებდა მისი ყვავილი. მაგრამ იმასაც მიხვდა, პირდაპირ ყვავილით ვერ დაიწყებდა. პირველი ფრაზა ისეთი უნდა ეთქვა, საინტერესო მუხტი შეეძინა შემდეგი საუბრისთვის. ყვავილი თანდათან უნდა გამხდარიყო საუბრის მთავარი თემა. მერე რა, რომ ჩინურ ვარდს სურნელი არ აქვს, სამაგიეროდ, ულამაზესია, განწყობას ამაღლებს, სულს ამშვიდებს და წმენდს, ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

კაცი მოთმინებამოკრებილი იჯდა, ინტერესით იკლიდა. არ წარმოუთქვამს მსგავსი სიტუაციისთვის ჩვეულებრივ მიღებული ტრაფარეტული – გისმენთ!..

არა, ჯერ არ უთქვამს. ჰოდა, სანამ იტყოდა, აღარ დააყოვნა, ქალმა თავად დაიწყო:

— დიდი ზანია გიცნობთ, — ხელოვნურ სითამამეს მოუხმო,— თითქმის ბავშვობიდან.

მერედა, როგორ აოცებდა საკუთარი ხმა, სრულებით არ ემორჩილებოდა, არ ეთანხმებოდა წინასწარ დაგეგმილი სათქმელის შინაარსს. სიტყვები მისდა დაუკითხავად ამოძრავდნენ, ამეტყველდნენ, ქალი მხოლოდ უსმენდა მათ. თქვა და გაისუსა, ვითომდა დიდი საიდუმლო გაემზილა.

— მართლა? — გაიღიმა კაცმა.

ახლა მათ შორის სრულიადაც ალარ იგრძნობოდა ასაკობრივი განსხვავება, თუმც ქალი ბევრად უმცროსი იყო. გათამამდა, ბუნებრივად მიჰყვა დაწყებულ დიალოგს.

— კი, მართლა... ვნახე, აქ შემობრანდით, პოდა, ვიფიქრე... — გაუწყდა სათქმელი, სიტყვები აღარ ეყო, იყუჩა წამით, მალევე ისევ ალაპარაკდა, რადგან მასპინძელი როგორლაც ეხმარებოდა კეთილი სიმშვიდით, აშკარად მოსწონდა სტუმრის გულახდილობა, შეელოდა, მისთვის შებოჭილობა მოეხსნა. მოახერხა კიდეც.

ენად გაიკრიფა ქალი, დაიწყო და დაიწყო. თავად უკვირდა, რეებს ვამბობო, თუმც უკან ვეღარ დაიხევდა.

— თქვენი მეგობრებიც მახსოვს, თითქმის ყველანი. ოჳ, რა ბიჭები იყავით! ერთიმეორებული უკეთესები. გოგოებს თვალს უყენებდით.

კაცი იცინის, უფრო და უფრო მოსწონს ამ კაფანდარა ქალის უშუალობა. ისიც აღარ აჩერებს ენას:

— ერთი მაინც გამორჩეული, უფრო სწორად, განსხვავებული გერიათ. მუდამ

შავი პერანგი ეცვა, ღილებჩახსნილი, და ის მძიმე ბათინკები... ზამთარ-ზაფხულ... თქვენი ყოჩი იყო.

კაცმა მძიმედ ამოიგმინა, ნელა დაიქნია თავი, უსიტყვოდ დაეთანხმა. კედელს ახვდა ქლის მარჯვნივ, საჩვენებელი თითოც იქით აიშვირა.

— აგერ!.. — მეტი არაფერი, ეს ერთადერთი სიტყვა წარმოთქვა წყნარად.

თავი მიაბრუნა ანიტამ და როცა კედელზე ვეება ჩარჩოში ჩასმული ფოტოსურათი დაინახა, კინაღამ თვალები გადმოსცვივდა.

შავპერანგიან ხუჭუჭა ჭაბუკს ფრესკის მზერა ჰქონდა, მარადისობასავით მშვიდი. თვალებში ედგა არნახულად იღუმალი, დაუოკებელი, მფეთქავი ჟინი — ყოფნა-არყოფნის შემრიგებელი და მარად განახლებადი სიცოცხლის უდრეკი ძალა. ფოტო თითქოს სუნთქვადა, ნათელს აფრქვევდა და ცეცხლოვანი ცხოვრებით ცხოვრობდა ფართო კედლებს შეა.

— ისაა!.. — ჩურჩულით აღმოთქვა ანიტამ. სკამიდან წამოიჭრა პატივისცემის ნიშნად, — ისაა... ზუსტად ისეთი, როგორიც ოდესლაც მინახავს. — მი-მა ხმამ გაოცება და აღტაცება ერთდროულად შეიძინა.

ცნობილი მწერალი... — დაუმატა კაცმა.

ერთმა წამმა, ფრესკასავით ვეება ფოტომ რომ აჩუქა მათ, ორი ერთმანეთისთვის უცხო ადამიანი მყისიერად აქცია ახლობლებად. და ორივემ იგრძნო, ყველაფრის დაურიდებლად თქმა შეეძლოთ, რასაც გული უკარნახებდათ.

ქალი კრძალვით ჩაეჭიდა საჩუქარივით მოპოვებულ უფლებას, შიშნეულად იკითხა:

— დაიღუპა? — ძალაგამოცლილივით, ისევ დაეშვა სკამზე.

— კი, სხვების სიცოცხლე იხსნა, ტალღებს გამოსტაცა, თავად დაიღუპა.

გაფითრდა ქალი, ლამის სუნთქვა შეეკრა. ერთბაშად მოსკდა კარგა ხნის წინათ მინავლული გლოვის ზარი, გაუსაძლისი წუხილისა და ვერაგი უბედობის მარადიული წკვარამიდან ამოზიდული. არაფრის თქმას აღარ ჰქონდა აზრი, სიტყვებს მნიშვნელობა დაპკარგვოდა. მაინც უნდა ეპოვნა რაღაც გამოსავალი, ხავს ჩასჭიდებოდა. ამიტომაც თქვა:

— რა ბიჭი იყო!.. ასე რომ არა, ახლა ხომ თქვენსავით კაცი იქნებოდა.

— ეხ, იმას რას შევეძრებოდი, ჩემსაზე ორჯერ განიერი მხრები ჰქონდა... — ოდნავ არასერიოზულად გაისმა ნათქვამი, იქნებ უადგილოდაც კი, თავადვე არ მოეწონა, მაგრამ გვიან იყო. მისი პასუხი ქალის მიამიტურმა ნააზრებმა მისადაგა, მისსავე სიბრტყეზე მოიქცია. მწარედ გაიღიმა, მოძალებული მღელვარება შეიკავა.

ქალი თითქმის აღარაფერზე ფიქრობდა, ისე დაეთრგუნა მძაფრ აღქმას, ერთმანეთში რომ განეზავებინა შემთხვევითი სტუმრისა და მარადი ჭირისუფლის საერთო წუხილს. კიდეც რომ ეფიქრა, ანკი რას მიხვდებოდა, რამ მოიყვანა აქ. ნუთუ მართლა ყვავილი იყო მიზეზი იმისა, რამაც სასწაულებრივად გადმოაგდო უცხო

გარემოში, სადაც მაღალი კაცის სამყარომ კარი კი არ მიუხურა, ძველი ნაცნობივით მიიღო, რათა ქალს მოწონებოდა ეს სამყარო. აქ ანიტა დაცულად გრძნობს თავს. ჩაღუმდა, იხან-გრძლივებს ტყბილ-მწარე შეგრძნებებს.

კაცი კი დაატარებს მზერას, ხან მას შეხედავს, ხან ლეგენდად ქცეულ მეგობრის ფოტოს, ამდენი წელია კლი-იდან რომ უმზერს, და რომელსაც ახლა ეკისრა უხილავი ფილტრის ფუნქცია — სტუმარი ქალის შეგრძნებები იოლად გაეწინდა, გაესუფთავებინა დღევანდელი ყველა უსიამოვნების კვალისგან, ყველაფრისთვის გამართლება მოეძებნა, წვრილმანები ისე უმნიშვნელო გაეხადა, გახსენებადაც არ ღირდა.

ორივეს უთქმელი სინანული ახ-ატია სახეზე, ისეთი, უკან დაუბრუნებლის განცდას მუდამ თან რომ ახლავს. ეს იმიტომ, რომ წლების მდინარებით მოპოვებული ჯანსაღი ხედვა ავსა და კარგს, ბოლოს და ბოლოს, ზოგჯერ თანაბარ კატეგორიაში აყენებს. აქ ყველაფერს თავისი სახელი აქვს, თავისი შნო და ხიბლი. ერთი, მეორის გარეშე ვეღარც წარმოგიდგნია.

ანიტა გრძნობს მასპინძლის დუ-მილის ფილოსოფიას, მოჩვენებითი კი არა, ჭეშმარიტი თავმდაბლობის მაგიურ ძალას და მეტად და მეტად სწა-დია, თითქმის ხელით შეეხოს მასში ჩაყურსულ ენიგმურ სიუჟეტებს, რისთვისაც ზედმეტ გამბედაობასაც კი მიმართავს, ადამიანურ სისუსტეთა საიდუმლოსთვის ფარდის ახდის მსგავს მცდელობას. და ისეთ რამეს ამბობს,

ისეთს, თანაც ძალიან დამაჯერებლად, ძილშიც არ დაესიზმრებოდა.

— რას ბრძანებთ, თქვენზე ჭკუას კარგავდნენ გოგოები, — სიტყვები ლამის დაფიცების ტოლფასია. კაცს როგორდაც უტიფრად უსწორებს თვალს, — თქვენ კი უკარება უფლისწულივით გეჭირათ თავი.

— არაა... მთლად ასეც არ ყოფილ!.. — ისე უარყოფს, ისეთი სასხვათაშორისო მტკიცებით, აშკარაა, არფრისმაქნისად მიჩნევს გაჭიანურებულ დიალოგს. მერე შემცივნულივით წრიალებს სკამზე, ვერაფრით ამოუხსნია ქალის ვიზიტის ნამდვილი არსი.

აკვირდება მის ნაოჭასხმულ სახეს, დაღლილს, დაღდასმულს, მისი ნაჯაფი ხელის თითებზე ფალანგებშუა გაჩენილ პატარა კორძებს, მოუკლელ, უდიერად აშლილ თმას და მოუხდავად ამ მოკლე დროის მანძილზე მიღებული ზერელე შთაბეჭდილებისა, სტუმრის არცთუ სახარბიელო დალხინებულობაზე რომ მეტყველებს, მასში მაინც დაუოკებელ ხალისსა და მიზანსწრაფვას ხედავს, რაღაც ისეთს, ბოლომდე გულგრილს რომ არ ტოვებს და ამდენად, თუმც საფუძველმოკლებულ, მაგრამ მაინც, მისდამი პატივისცემას აიძულებს. აბრუნებს სიჭაბუკის ფათერაკებით სავსე, ლამაზად ჩავლილ დროში, ეს ქალი ახლა საგულდაგულოდ რომ ცდილობს გაახსენოს, თან თავადაც წარსულის შორეულ ახლობლად წარმოჩნდეს, აგრძნობინოს, იმ ძვირფასი წარსულის თაყვანისმცემლად მიგულეთო.

რითი დასრულდებოდა მათი შეხ-

ვედრა, კაცს წარმოდგენაც არ ჰქონდა. ნეტა მართლა რისთვის მოსულიყო იგი?.. სტუმარი არ ჩქარობდა ნამდვილი მიზეზის გამხელას, შორიდან უვლიდა თითქოს. ერთხანს ისევ ჩუმად ისხდნენ, შეჰქორებდნენ ერთმანეთს, არც ერთი არ გრძნობდა უხერხულობას უსაგნო დუმილის გამო.

მერე ქალი აჩქარდა, ჩემი წასვლის დროა, თქვა, წამოდგა, გვეონება, რაღაც მნიშვნელოვნი გაახსენდა, უეცარი გადაწყვეტილება მიიღოო.

ბოლომდე გაურკვეველი რჩებოდა, რისთვის მოსულიყო. თუმც კაცს აზრად არ მოსვლა, ეკითხა. ერთხელ კიდევ დაკირვებით შეაცქერდა, ისე, თითქოს ქალი მოულოდნელად გაღებული სარკმელი ყოფილიყოს, საიდანაც საკუთარ წარსულში შეიხედა.

სწრაფად ადგა კაციც, სკამის საზურგებელ მიფენილი ნაცრისფერი პიჯაკი ჩამოხსნა და ჩაიცვა.

— გაგაცილებთ, — ჩაილაპარაკა ხმადაბლა.

ზღურბლი რომ გაიარეს, ანიტა მხოლოდ იმაზედა ფიქრობდა, ამ ადგილას ახლა მარტოს რომ გამოევლო, რა ფრთხილად, კრძალვით მოიხურავდა ვეება ოთახის კარს. მაგრამ მსგავსი არაფერი დასჭირვებია, უკან კაცის ნაბიჯები მოჰყვებოდა. ასე გაგრძელდა, ვიდრე მიხვეულ-მოხვეული კორიდორი ბოლომდე ჩაათავეს. დაბლა ჩასასვლელი კიბის თავთან კაცი შედგა, სტუმარს ხელი ჩამოართვა დასამშვიდობებლად, თანაც მზად იყო, იქამდე მდგარიყო და დალოდებოდა, სანამ იგი კიბეს ჩაივლიდა.

მანამ კი დიმილით მოისმინა, ქალ-  
მა მორცხვად როგორ თქვა:

— მე ანიტა მქვია, — თითქოს კა-  
ცისთვის ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონ-  
ოდა.

პირველ სართულზე სულის მო-  
სათქმელად შეჩერდა. უცნაურ კმაყ-  
ოფილებას დაექანცა, ძნელად ასახს-  
ნელს, სხვისი ღირსების ხილვით  
განცდილს, ამაღლვებელს და იშვიათს,  
რამდენადმე მასაც რომ ამდიდრებდა,  
იმედს უჩენდა, ადამიანობის სიდიადის  
შეცნობისკენ უბიძგებდა, რაღან ერთ-  
მანეთისთვის აკი მეტის არაფრის გა-  
კოუბა ძალგვიძს, გარდა იმისა, ზოგჯერ  
თუ მოვახერხებთ, გავცეთ მცირედი იმ  
მადლისა, რაც გაგვაჩინია.

მრავალჯერადად იმეორებდა წარ-  
მოსახვა, თუ როგორ დასწვდა მაღალი  
კაცი სკამის საზურგებელ მიფენილ პი-  
ჯაპს, ჩამოხსნა და ჩაიცვა, რათა  
გაეცილებინა სტუმარი, ვისი სახელიც  
კი არ იცოდა. ეს დიდხანს დაახსომ-  
დებოდა ანიტას.

შენობიდან გამოსულმა ოდნავი  
თავბრუსხვევა იგრძნო, ზედმეტმა უანგ-  
ბადმა რომ იცის, ისეთი. ამაში იყო  
რაღაც სიამის მომგვრელი. კალათა  
ძირს დაუშვა წრიულ ფილაქაზე,  
დაფიქრდა, საით ჯობდა წასვლა, რომ  
ყვავილი გაეყიდა. ან იქნებ, ჯერ მაინც  
პარკში შეევლო. ენერგიის რაღაცანირ  
მოზღვავებას გრძნობდა, და კიდევ ისეთ  
თავდაჯერებას, ყველა რომ ინატრებ-  
და. თითქოს განსაკუთრებული არაფერი  
მომხდარა, მაგრამ იგი, საკუთარი  
თავისთვის სრულიად მოულოდნელად,  
გამსდარიყო საინტერესო და პატივსა-

ცემი. შარვლის ტოტებზე დაიხედა,  
გაიფიქრა, ამას აღარ ჩავიცვამ, ცოტა  
ჩემს გარევნობაზე უნდა ვიზრუნოო. კი,  
უსათუოდ შეივლის პარკში, იქ შა-  
დრევანი უნდა ჩუქჩუხებდეს, მის სული-  
ერ მდგომარეობას შადრევნის ცქერა  
მიესადაგებოდა. წასვლა დააპირა თუ  
არა, ლამის ცხვირწინ, მანქანა გაჩერდა,  
წყლისფერი ვებერთულა ლენდროვერი.  
შავსათვალიანმა მძლოლმა ფანჯრიდან  
გადმოყო თავი, ყვავილიან კალათს  
დააცერდა, ქალისთვის არც შეუწე-  
დავს, ისე იკითხა:

— ყიდი? — ხმა შინაურულად, ძვე-  
ლი ნაცნობის ნათქვამივით გაისმა.

მანაც თავი დაუქნია, მომლოდინე  
მზერა აღაპყრო.

— მოდი, — კვლავ შინაურულად  
თქვა მძლოლმა, ხელით ისე ანიშნა, ან-  
იტას მანქანის წინა მხრიდან უნდა  
მოევლო. ამასობაში კაცი გვერდზე  
გადაიხარა, კარი გაუღო.

უყოფმანოდ შეძვრა მანქანის სა-  
ლონში, კალათა მუხლებზე დაიდო და  
გაისუსა.

— მოხურეთ კარი! — ბრძანებასა  
და რჩევის ზღვარზე ნათქვამს ძალა  
ჰქონდა.

როცა ანიტა კარს ხურავდა, ირგვ-  
ლივ საოცარი რამ იხილა: მანქანისკენ  
აქეთ-იქიდან, იფიქრებდი, ქარბორბალ-  
ამ წამოუქროლაო, მოექანებოდა ხალხი,  
აჩქარებით, თვალებგაფართოებული,  
თითქოს ყველა, რაც შეიძლება ახლოს  
მიღწევას ცდილობდა. ინტერესით  
შესცეროდნენ მანქანაში მსხდომთ.

კაცმა მანქანა დაქოქა და სანამ  
იტყოდა, ჯობს აქედან წავიდეთო, კიდევ

დაიძრნენ, გაიქროლეს ადამიანთა გარინ-  
დულ ჯგუფებს შორის, გაეცალნენ იქაუ-  
რობას.

— ნუ გეშინიათ, — თქვა კაცმა შემ-  
ცბარი ანიტას დასამშვიდებლად, —  
თქვენს გატაცებას არ ვაპირებ. ყვავილს  
ვიყიდი. ოღონდ ერთი განსაკუთრებუ-  
ლი თხოვნა მაქვს. მინდა, ჩემს მეუღლეს  
თავად მიართვათ უგ შშვენიერება. უარს  
ხომ არ მეტყვით?

ანიტას ხმა არ ამოუღდა, რაც თანხ-  
მობად ჩაითვალა. ისეთი წონასწორო-  
ბა შესძენდა, ისეთი შინაგანი სიმტ-  
კიცე, უკვირდა კიდეც, მაგრამ იმდენა-  
დაც არა, ამისთვის დიდი მნიშვნელობა  
მიეცა. ჯერაც არ განთავისუფლებუ-  
ლიყო მაღალი კაციდან გამოყოლილი  
შთაბეჭდილებისგან, გული სითბოთი  
ჰქონდა სავსე, შიგ ეჭვისა და ყოფმა-  
ნის მისხალი ადგილიც არ დარჩენო-  
და. იგრძნო, მასთან შეხვედრის შემდეგ  
იმდენად შეცვლილიყო, ლამის დაიჯერა,  
მოკლე ხანში სულ სხვა პიროვნებად  
ვიქეციო. შეცვლოდა აზრებიც. მოეჩე-  
ნა, თითქოს ამ უცხო ადამიანსაც  
ეგრძნო ეს, გადასდებოდა მისი დადებ-  
ითი მუხტი, ამიტომ, რაც ახლა მის  
თავს ხდებოდა, ბუნებრივად მიიჩნია.  
არც ეჭვი სტანჯავდა, არც რაიმეს შიში.  
მზად იყო, ყველასა და ყველაფერთან  
დაედო ზავი. არ უნდა გაუსწროს მოვ-  
ლებებს, დიდი ამბავი, თუ კაცს სურ-  
ვილს შეუსრულებს და ყვავილს პი-  
რადად მიართმევს მის მეუღლეს. კიდევ  
ერთ ადამიანს გაიცნობს და ეგაა.  
დღევანდელი დღე ხომ ადამიანებით  
აჯილდოებდა.

მოიცილა ფიქრი, აზრი მანქანის

სიჩქარეს მიადევნა, მთელი არსებით  
მიჰყვა. მიქროდნენ ფართო ქუჩებში,  
წამოეწეოდნენ და უსწრებდნენ სხვებს.  
ორივე ხელი მუხლებზე დადებული  
კალათისთვის მოეხვია ქალს, მზერა ისე  
მიემართა, თითქოს წინ შემხვედრ  
სივრცეში განზავებას ცდილობდა, რათა  
იქ შეეცნო, რა სიახლეს სთავაზობდა  
ამ გზის დასასრული.

მოედანზე წრეს შემოუქროლეს და  
ახალგაჭრილ ავტოსტრადას დაადგნენ  
— ქალაქში მოძრაობის განსატვირთად  
შეექმნილს, საიდანაც მთელ სიგრძეზე  
მოჩანდა ზოოპარკის ტერიტორია, —  
დაბერებული, ღდინგაცლილი ფლორა,  
კოლიერებში ჩამწყვდეული მხეცები,  
რომლებზეც თურმე მომაკვდინებლად  
მოქმედებდა საგზაო მოძრაობის გუ-  
გუნი. ჰო, ამ ქალაქში ცხოველებიც  
ვეღარ არსებობდნენ დაცულად. აქ ყვე-  
ლაფერი ბეწვზე ეკიდა, ყოველივე, მო-  
მენტიდან მომენტამდე, ვიღაცის ცვალე-  
ბად ნებასა და სუშტურს მორჩილებ-  
და, ობივატელური ფსიქიკით შექმნილ  
ფშვნად და მსხვრევად წესრიგს.

ანიტამ თანდათან კომფორტულად  
იგრძნო თავი, მოსწონდა ამწუთიერი  
მდგომარეობა, განსაკუთრებით ის, რომ  
უცნობი არ საუბრობდა, არ აწუხებდა  
ზედმეტებით, თითქოს ვერც კი გრძნობ-  
და გვერდით რომ ეჯდა ლამაზი ყვა-  
ვილით. ანკი რა ჰქონდათ სალაპარა-  
კო. ქალს უწყინარი ფუნქცია დაეკისრა  
— ამ სიტყვაძვირის მეუღლისთვის  
ყვავილი უნდა მიერთმია და საზღაუ-  
რი მიეღო. სულ ეს იყო, მეტი არაფერი.  
მანამ კი თავისუფლად შეეძლო ემოგ-  
ზაურა საკუთარ ფიქრებში. მოგზაუ-

რობა მოგზაურობაში... ამ ყველაფრისთვის ასეთი კვალიფიკაციის მიცემა შეიძლებოდა. ჰოდა, კვლავ გაიხსენა მაღალი კაცი, აღიდგინა მასთან გატარებული მცირედი დროის დეტალები. ინტელიგენტის განსახიერებად მიიჩნია, ასი პროცენტით ამართლებს კარგი ბიჭის მეგობრის როლსო. ბოლომდე დაჯერა, მისხალი ხელოვნურობა არ ერთა მის ქცევაში. ადგა, სკამის საზურგებელი მიფენილი ჰიჯაკი ჩამოხსნა, ჩაიცვა და გააცილა მთლად დაბლა ჩასასვლელი კიბისთავამდე. უესტის აპოგეა... საამო მოსაგონირად დარჩებოდა, ცხოვრების შშვენიერ და იშვიათ ეპიზოდად. ასეთები ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნამდვილად არ შევხვდება, მაგრამ მცირედთა ერთობლიობაც ამკობს და ალამაზებს რუტინით გაბეზრებულ ყოფას.

მანქანა უკვე ქალაქის ორი რაიონის დამაკავშირებელ, ლარივით გაჭიმულ გზატკეცილზე მიფრინავდა. მაღალი სიჩქარების გავლენით, ანიტა ისეთმა შინაგანმა თავისუფლებამ დაიპყრო, ცოტადა აკლდა დაეჯერებინა, თითქოს თავად იჯდა საჭესთან, თავად ირჩევდა გზებსაც. ეს არც კარგი იყო, არც ცუდი, არაფრის ნიშნავდა, გარდა იმისა, მდუმარე მგზავრობაში შხოლოდ უმნიშვნელო თავშესაფრად გახდომდა. -რ სურდა ეფიქრა, ხომ არ შევცდი, ასე თვინიერად რომ ჩავუჯექი უცნობს, გაურკვეველი მიმართულებით მივყვები, მონუსხულივით ვარ და ვერაფრის შეკითხვა ვერ მომიხერხებიაო. კი გაიფიქრა ეს, მაგრამ ხმის ამოღება არც უცდია. მისი მდგომარეობისთვის იქნებ-

არაბუნებრივიც შეიძლებოდა გეწოდებინა, მაგრამ მაინც მტკიცედ ახერხებდა შინაგან მდგრადობაში ჩაკეტვას, რაც პირდაპირი შედეგი იყო მაღალ კაცთან შეხვედრის, მეტადრე დამშვიდობების ეპიზოდის, რამაც სხვა კატეგორიაში გადაიყვანა მისი ადამიანური ევო. იმდენად ამაღლებული ურჩობა შეეძინა, რომ ახლაც, ამ გაურკვეველი მოლოდინის რეჟიმში ჩაყურსულს თავკერძა, ფარული აღმაფრენის საბაბი გასჩენდა. ამიტომაც, მდუმარე უცნობის გვერდით ჯდომას გადაჭარბებული მნიშვნელობა მისუმოდა, გამორჩეულ შემთხვევად მიერნია იგი, იშვიათ წილზედრად. ვიღაცას ეს იქნებ ავანტიურად ჩაუთვალი, გაუთვალისწინებული, სარისკო თავგადასავლის მოყვარულობად, რაც ნამდვილად ვერ თავსდებოდა ანიტას ბუნებასთან. თუმც ყველაფერი არაფერი იყო იმასთან შედარებით, წინ რომ ელოდა და რაზეც ჯერ წარმოდგენა არ ჰქონდა.

უცებ მოუნდა, თვალებში შეეხედა კაცისთვის, სულ ერთი წამით მოევლო მზერა. ესეც უბრალო თავშესაქვევად მოსურვებოდა, რადგან მუქი სათვალის მოხსნით არაფერი შეიცვლებოდა, ვერანაირ გარკვეულობას ვერ შეიძებდა გზა მანამ, სანამ არ დასრულდებოდა.

ისევ მდუმარედ მიდიოდნენ კარგა ხანს, ვიდრე მანქანა ძველი, უკვე დახურული სასაფლაოს სქელცხაურიან ჭიშკართან შედგებოდა. კაცი სწრაფად გადავიდა. ანიტამაც მას მიბაბა, თქმა არ დასჭირვებია, მიხვდა, ფეხდაფეხ უნდა მიჰყოლოდა თავისი კალათით, მერე ასე ფრთხილად რომ მიჰქონდა საფლავებ-

შუა ვიწრო ბილიკებზე. ბევრი არ უვლიათ, გასცდნენ გადაჭრილი წყვილი ხისგან დარჩენილ კუნძებს, ერთზე შუახნის ფაშტაშა დამლაგებელი ქალი რომ იჯდა და წითელ ვაშლს თლიდა. მათ დანახვაზე თლა შეწყვიტა, ფეხზე წამოჭრა და თოფნაკრავით გაშეშდა.

მაღლობა უფალს, აქ ვიღაც ჰაჭანებდა. ეამა ანიტას მისი ხილვა. მცირედი მნიშვნელობით რომ გასცდნენ, თავი მოაბრუნა, დაკვირვებით გაიხედა გადაჭრილი კუნძებისკენ და ისევ ძველებურად გაშეშებული, მათკენ მზერამომარჯვებული დამლაგებლის მისამართით, დაბნეული ლიმილი გაგზავნა.

ამასობაში კაცი ერთ საფლავთან შეჩერდა. კარგად მოვლილი, თეთრი მარმარილოთი ნაპირეთები საფლავი იყო. ქვიდან ახალგაზრდა, მშვენიერი ქალის მცინარმა სახემ უცებ ნათელი მოჰვინა ყველაფერს.

— აა, ჩემი მუჟლე, — თქვა კაცმა, — მარადისობიდან გვიმზერს. შეარჩიეთ ადგილი და მიართვით!.. — ყვავილზე ანიშნა.

ანიტას უკვე აღარაფერი აოცებდა, ან ცდილობდა, ამაში საკუთარი თავი დაერწმუნებინა. კალათიდან ფრთხილად ამოიღო ქოთანი, გვერდიდან მოუარა საფლავს, გადაიხარა, ყვავილი ნელა გადაატარა დაბალ ჯებირზე, ახალგაზრდა ქალბატონის სურათთან ჩადგა. მერე ის იყო გაიფიქრა, როგორც იქნა, ყველაფერი გაირკვაო, რომ კაცმა სათვალის მუქი შეშიდან მომნუსხავი მზერა ამოაბჯინა. ქალს კი არ დაუნახას, იგრძნო ეს მზერა. ისევ დაიწყო და ისევ ბოლომდე თქვა:

— ერთი სათხოვარიც მაქვს. ყვავილს თქვენნაირად ვერავინ მოუვლის. იქნებ მოხვიდეთ ხოლმე და მიხედოთ, სანამ ამინდები ამის საშუალებას იძლევა.

და ეს სულაც არ იყო თხოვნა, ულტიმატუმს ჰგავდა, უარის შანსს არ ტოვებდა. არც პასუხს დალოდებია კაცი. მან ჯიბიდან ტყავის დიდი საფულე ამოიღო, ცერა და საჩვენებელი თითოთ კარგა ბლომად დააძრო დიდი კუპიურები, დაუთვლებლად გაუწოდა ქალს, თან დასძინა:

— ჩათვალეთ, რომ ლატარეაში მოიგეთ, გამომართვით, წინასწარ გიხდით მთელი სამუშაოსთვის, გენდობით და მაღლობას გწირავთ.

ანიტა ოდნავ დაიბნა. არ იცოდა, ეთქვა თუ არა რაიმე. არა, არაფერი უთქვაშს. კაცმა როცა ისევ გაუმეორა, აიღეთ, აიღოთ, მანაც ჩამოართვა ფული, ორად მოკეცა, იმავე ჯიბეში ჩაიტენა, სადაც ბლანჟეიანის გადახდილი თანხა ედო.

უკანა გზაზე მოხსნოდათ დაძაბულობა. ამას ორივე გრძნობდა, არაფრის დამატება არ იყო საჭირო მეტი სიცხადისა და გარკვეულობისთვის. ჩაუარეს წყვილ კუნძეს, სადაც ისევ გაბეცებული თვალებით იყურებოდა დამლაგებული ქალი, ხელში გამლი აღარ ეჭირა. კუნძები ანიტას სანიშნებლად გამოადგებოდა, შემდეგ მოსვლაზე ადვილად მოაგნებდა საფლავს. იმახსოვრებდა ბილიკებს, ყველაფერს ირგვლივ, რაც სწორ ორიენტაციაში დაეხმარებოდა. სიტყვაც არ უთქვამთ ერთ-

მანეთისთვის, გარდა იმისა, მანქანასთან  
მისვლისას კაცი რომ შეეკითხა:

— სად მიგიყვანოთ?

ანიტამ უახლოეს მეტროსადგურამ-  
დე ისურვა მისვლა. მთელ გზაზე იმის  
შეგრძნებამ, რომ თითქოს უავე ახლობ-  
ლის გვერდით იჯდა, რომლის მიმართ  
მაღლიერება მართებს, გულს უჩქროლებ-  
და, ყელში ეჭვინებოდა შემაწუხებელი  
ბაგუნი. მოეჩვენა, უსწრაფესად  
გალეულიყო გზა.

მანქანა მეტროსადგურის მიმდებარე  
ქუჩაზე შეჩერდა, აქ უნდა ჩასულიყო  
ანიტა. კარის გაღება ვერც მოასწრო,  
ირგვლივ მყოფი ადამიანები მყისიერად,  
გეგონებოდა წინასწარ მოლაპარაკე-  
ბულნი არიანო, ნაკადებად შეერთდნენ,  
აჩქარებით დაიძრნენ მათკენ

— მშვიდობით!.. — წყნარად თქვა  
კაცმა.

— მშვიდობით!.. — წაიღუდუნა ანი-  
ტამაც და ძირს ჩავიდა.

მერე სხვებთან ერთად იდგა თავი-  
სი ცარიელი კალათით, მათსავით გას-  
ცქეროდა მანქანას, სწრაფად რომ ქრე-  
ბოდა თვალსაწიერიდან, სივრცეშივე  
სხებდა, აქეთ-იქით ფანტავდა უამრავ  
გადევნებულ მზერას., რის მხილველ  
ანიტას ვერ გაერკია, იგი უცნაურად  
აკვიატებული იმედის მაუწყებლად  
მიეღო, თვითმიზნურ საყოველთაო ინ-  
ტერესად, თუ სულაც იღუმალ, ზაფრა-  
შეყრილი მოლოდინის ნიშნად. რაღაც  
განსაკუთრებული კი ხდებოდა, გასაოგ-  
ნებელი, ჩვეულებრივი აღქმების სტან-  
დარტს მიღმა გაჩენილი რეალობის  
მსგავსი. თუმც, შეიძლება გეფიქრა, ამ  
ხალხის თვალში შავსათვალიანი უცხო

პლანეტიდან ჩამოსული ყოფილიყო, ან,  
სულაც მიღიარდერი პრემიერმინის-  
ტრი. ამიტომ ყველას მტანჯველ ამოცა-  
ნად ქცეოდა გაეგო, არჩევნებისას მათ-  
დამი დაპირებას საყოველთაო კეთილ-  
დღეობის შექმნის შესახებ, რა პირი  
უჩანდა.

მაგრამ სინამდვილეში ვინ იყო იგი?  
რა აკავშირებდა ცხოვრების უღელში  
შებმულთა გულისთქმასთან? რად შეშ-  
დებოდნენ მის წინაშე, რად იკრავდნენ  
სუნთქვას? ვინ, ვინ აუზსნიდა ამის  
შესახებ ანიტას? ვინ გაუქარწყლებდა  
შემაშვილობებელ კითხვებს, ცოტაც და  
ლამის შიშად რომ გადაქცეულიყო.

ერთ რამეს ზუსტად მიხვდა — ამ  
ხალხიდან სრული სიცხადე ვერ გამოდ-  
ნებოდა. ყოველი მათგანი საკუთარი  
ცოდვა-მადლით სუნთქვდა, საკუთარი  
ბედის უხილავ ბაკანში იყო ჩაკეტილი,  
საიდანაც ვერანაირი ძალა ვერ გამო-  
ათრევდა. მათ იცოდნენ რაღაც ისეთი,  
იოლად რომ არავის გაანდობდნენ.  
ტვინის ჰყლეტას აზრი არ ჰქონდა.  
ამას მიხვდა თუ არა ანიტა, მიბრუნდა,  
მეტროსადგურს მიაშურა. გადაწყვიტა,  
გილბერისთვის ერთი ბოთლი ლუდი  
უნდა ვყიდოლო. იცოდა, რომელი ჩამოსხ-  
მა მოსწონდა. გზაში ისიც იფიქრა, ნეტა  
ისევ შემხვდეს ის ჩიტირეკია მხატ-  
ვარი, აღარ გავაწილებ. უფლებას მიუცემ,  
დამსატოსო. უყოფმანოდ დაუჯდებო-  
და პოზირებაზე, თანაც სიამოვნებით,  
მცირეოდენ ფულსაც შესთავაზებდა,  
როგორც, აღბათ, სხვები აკეთებდნენ.  
აღარ გააღიზიანებდა მგზავრთა სახეე-  
ბზე გაჩენილი ღიმილი, პირიქით, ხალ-  
ისით აჰყვებოდა მათ თამაშს, რითაც

ისიამოვნებდა კიდეც და ამრიგად შეუერთდებოდა გარემოცვას. ბოლოს და ბოლოს, ისინი მტრები ხომ არ არიან, ცხოვრების ტვირთს იმსუბუქებენ იმ ღიმილით, პირად პრობლემებს დროებით აძლევენ დავიწყებას. ამაზე არ ღირდა გაბრაზება. ნერვებმა უმტყუნა, თეთრი ყვავივით აღმოჩნდა მათ შორის. არადა სრულიად მშვიდობიანად შეიძლებოდა მგზავრობა. ცოტა იუმორია საჭირო, თორემ სხვებსაც ურთულებს საქმეს და საკუთარ თავსაც. გილბერსაც უფრო ლმობიერად უნდა მოუქცეს, დაე, აკეთოს აკვიატებული პერპეტუუმ-მობილე, თუ ამისგან შებას გრძნობს. ლეონარდო და ვინჩის რომ არ გამოუგიდა, ეს სულაც არ ნიშნავს, სხვამ აღარავინ სცადოს. ვინ იცის, რა გეგმები აქვს უფალს!.. გილბერი ამბობს, მეცნიერებამ სულ ტყეულად დაყარა ფარ-ხმალი, რადგან დედამიწა ჯერ კიდევ ბრუნავს და მის მოძრაობაში გაჩენილი რხევები გამოსაყენებელიაო. ამების ანიტას ბევრი არაფერი ესმოდა, მაგრამ ეცდება, უფრო გაგებით მოეკიდოს მეუღლის თუნდაც ფუჭი შრომის იდეას.

ლატე მოუსვენრად გაატარა, ნახევრად ძილ-ღვიძილში. ქმრისთვის არაფერი უთქვამს სასწაულებრივად ნაშოვნი ფულის შესახებ. არც დაუთვლია, ისე შეჩერთა იგი წიგნებს შეა, თითქოს მოპარული ჰქონოდა. გულის სიღრმეში აწუხებდა, რომ არ აუხსნა გარდაცვლილი ცოლის გულუხვ პატრონს, ამდენი არ მეკუთვნის, თუნდაც ყოველდღე ვიარო და ვრწყა ყვავილიო. მით უმეტეს, აცივებამდე, ესე იგი, მის დაღუპ-

ვამდე, დიდი დრო აღარ რჩება, ზედმეტ წახალისებას იჩენთ, უხერხულობაში მაგდებთო. ფაქტია, თავში არ მოსვლია მსგავსი რამ, მაშინ ისე იყო დაბნეული.

ვერ მოისვენა. გათენდა თუ არა, სასაფლაოსკენ გაეშურა, რომელიც ქალაქის მეორე ბოლოში იყო. რაღაც ღუმმალი მართავდა, იმისი შეგავს, გუშინ შავესათვალიანი უცნობის ძალას რომ დაამორჩილა. უსიტყვოდ, ყოველგვარი ეჭვის გარეშე მიენდო გამოცხადებასავით უჩვეულო შეხვედრას იმ კაცთან, ვინც სხვებს ანდამატივით იზიდავდა და ვისი სახელიც არ იცოდა. იმედი დაიტოვა, იქნებ სასაფლაოზე გაეგო რამე. დამლაგებელი ქალი ხომ მაინც იქნებოდა იქ, განა შეიძლება არაფერი სცოდნოდა მის შესახებ, ვინც ცოლის საფლავს ასეთ პატივს მიაგებს?

დამლაგებელი მართლაც იქ იყო, საფლავებს შორის დადიოდა, ათვალიერებდა ყოველ მათგანს. მაშინვე იცნო ანიტამ, გაეხარდა მისი დანახვა, უკან დაბრუნებისას გამოველაპარაკები, ჯერ ჩემს საქმეს მოვიმთავრებ, მერე უფრო გულდაჯერებით შემეძლება მასთან საუბარიო. მოზრდილი ბოთლი პოლიეტილენის პარკში ედო, ყვავილის მოსარწყავად, რამდენიმე ჯერზე ეყოფოდა.

აპა, ის ბილიკი, ის გადაჭრილი ხეთა კუნძები, სანდო მანიშნებელი. მიზნამდე ბევრი აღარ რჩებოდა. მაგრამ, მისდა გასაოცრად, თეთრი მარმარილოთი ნაპირკეთებ საფლავს ვერ მიაგნო. ისევ დაბრუნდა უკან, ხელთავიდან გაიარა გზა, რომელიც კარ-

გად ჰქონდა დამახსოვრებული. იმედს არ ჰქარგავდა, ჩემი ყვავილი მაინც დამიძახებს, დამეხმარება, თვალს ამიხელსო. დაათვალიერა ირგვლივ ყველაფერი, მაგრამ ამაռდ, თითქოს საფლავის მიწას პირი ეყო. საზღვარი არ ჰქონდა გაოცებას. დამლაგებელი ქალის ძებნას შეუდგა. მალევე მიაგნო ერთ-ერთ საფლავთან ძელსკამზე ჩამომჯდარიყო, ზურგით ახალგაზრდა ფიჭვს მიყრდნობილი და თვლემდა. ანიტას ფეხის ხმაზე თვალი გაახილა, როგორლაც ქვეშიდან ამოხედა, ისე იცქირებოდა, თითქოს კვლავ ძილის გაგრძელებას ლამობსო. მაგრამ როდესაც ანიტა ხმამაღლა მიესალმა, თავი მოიფხიზლა, სკამზე ადგილი მოინაცვლა.

— გამარჯობა, — თქვა უხალისოდ.  
— იცოდა, რითი დაეწყო ამ ნახევრად მმინარესთან საუბარი. მივიდა, გვერდით მიუჯდა. წყლით სავსე ბოთლიანი პარკი ძირს დადო. დროს იგებდა, რომ ბუნებრივად გამოსვლოდა სათქმელი, რომლისაც ჯერ თავად არა უწყოდა, მაგრამ მაინც უნდა მოეხერხებინა, უნდა დაეწყო, დაეძრა მკვდარი წერტილიდან. დანარჩენი გზადაგზა გამოჩნდებოდა, სიტყვა სიტყვას წაემებოდა, რაღაც გამოვიდოდა ბოლობოლო.

— გუშინ გნახე, — თქვა ანიტამ, — იქ, გადაჭრილ კუნძებთან, — ხელი უმის-ამართოდ გაიქნია უკნისკენ, ესაოდა ადგილს ვაზუსტებო, — წითელ ვაშლს თლიდი.

— ჰო, თქვა ქალმა, — მიყვარს ვაშლი, — გაიღიმა, თითქოს რაღაც მნიშ-

ვნელოვანი გაანდო ამ ღიმილით.

ანიტასთვის არც ერთ მის სიტყვას არანაირი აზრი არ ახლდა, ვიდრე ისინი მისი მთავარი ინტერესის დამაკმაყოფილებელი პასუხის შინაარსს არ შეიძენდა.

— აქ ერთ საფლავს ვეძებდი, — დაიწყო გაუბედავად, აკრძალულ თემას შექმნა თითქოს.

— ეძებდი? — ჩაეკითხა საბოლოოდ მოფხიზლებული დამლაგებელი, — მერე?

— ვერ ვიპოვნე, — გულდაწყვეტით თქვა ანიტამ. თუმც მალევე გათამამდა, ეცადა, მოსაუბრე მოკავშირედ ექცია და, ამრიგად, რაც შეიძლება მეტი გამოეძალა, სრულად დაუკმაყოფილებინა ინტერესი არა მხოლოდ საფლავის შესახებ. — თეთრი მარმარილოს საფლავია, ახალგაზრდა, მშვენიერი ქალბატონის. გუშინ ქოთნის ყვავილი დავდგი იქ. მის მეუღლესთან ერთად მოვედი. გახსოვთ, ალბათ, შავსათვალიანი მამაკაცი...

ქალი ინტერესით უსმენდა, თან შუბლზე განცვითრების ნაოჭებს იჩენდა.

— თეთრი მარმარილოს საფლავი ახალგაზრდა ქალბატონის? გუშინ?.. შავსათვალიანი მამაკაცი?.. — გაიმეორა ანიტას ყველა ნათქვამი.

— დიახ, დიახ, — წაეშველა ანიტა. მაგრამ დამლაგებელმა ქალმა ჯიუტად გაიქნია თავი. ასევე ჯიუტად დააცქერდა მოსაუბრეს და მტკიცედ თქვა:

— თეთრი მარმარილოს საფლავი ამ ტერიტორიაზე საერთოდ არაა. რაც შეეხება შავსათვალიან მამაკაცს, მარ-

თალი გითხრათ, არ მესმის, ვინ გყავთ მხედველობაში.

ანიტა შეწუხდა. ერთი გაფიქრება ისიც გაიფიქრა, ეგებ მეშლება, ეს კი არა, სხვა დამლაგებელი ვნახე გუშინ, მართლა რაღაც ამერია. ყურადღებით დააკვირდა მის გადაბმულ წარბებს. არაფერი ეშლებოდა, ნაძლვილად ეს იყო. იგივე კაბა, იგივე ვარცხნილობა – ბიჭურად შეჭრილი თმა, ბოძებივთ ფეხები... მაინც ვერ ეშვებოდა:

– აქ თქვენი დაც ხომ არ მუშაობს?  
– ღდინამდე ჩასდია.

– და არა მყავს, – დაუზუსტა ქალმა,  
– და, საერთოდაც, მოელ უბანზე მარტო მე ვარ. ზოგჯერ ქმარი მეხმარება, ვუმკლავდებით საქმეს. – ისეთი გამომეტყველებით შესცეროდა, ჩანდა, ვერაფერი გაეგო მისი შეკითხვებიდან. მაინც შეეცადა გარკვევას, – ასე ძალიან რამ შეგაშფოთათ?

რა ქნას, ტყუილში დაადანაშაულოს ისედაც უკვე ინტერესად ქცეული უცნობი ადამიანი? უთხრას, შავსათვალიანის დანახვისას გუშინ კარგად გაშემძირებულივთ, ახლა კი უარყოფი? რა გამოვა ამით, გაანაწყენებს და მეტი არფერი. კონფლიქტი მის საქმეს რაში წაადგება!

– ვალდებულება მაქვს აღებული...  
– საპასუხოდ კი არა, თითქოს თავისთვის, საკუთარი თავისთვის მნიშვნელოვანზე მნიშვნელოვანის შესახსენებლად ამოთქვა.

ადგა მერე, ისევ გაუყვა ბილიკს, გულდაგულ რომ ჰქონდა დამახსოვრებული. კვლავ მოიარა მოელი მონაკვეთი, მაგრამ ამაოდ, თეთრი მარმარილო-

თი ნაპირკეთებ საფლავს ვერსად მიაგნო, ანიტას ყვავილიანად სადღაც გამქრალიყო, თითქოს არც ყოფილა, თითქოს დასიზმრებოდა ყოველივე, ასე რომ აფორიქებდა, საშინელ გაუგებრობასა და სიმარტოვეში აგდებდა.

აღარ იცოდა რა ექნა. ჩაიმუხლავილაცის ბალახგადავლილ საფლავთან, ზედ მიწაზე ჩაჯდა სატირლად გამზადებული ბავშვივით. არ უტირია, მაგრამ ბევრიც არაფერი აკლდა. ახლა ტირილსაც არ ჰქონდა აზრი. იმის ფიქრზედა იმტვრევდა თავს, რა ეღონა, როცა მისხალი შანსი არ დარჩენოდა. იჯდა, დაპყურებდა საფლავზე გადავლილ სარეველას. აშკარად ეტყობოდა, უპატრონო საფლავი იყო, ან, უკეთეს შემთხვევაში, ხელშეშლილი პატრონისამარა დარჩენილი. ამქვეყნიერი და იმქვეყნიური უიმედობა ერთმანეთს შერწყმოდა, ამ პატია მიწის ნაჭერზე დაევანებინა ყოფის წარმავალობის მკაცრ ფილოსოფიას. ნეტავი ვინ იწვა მიწის ქვეშ, თან ვინ ჩაიყოლა თავისი მოძრაობაშეწყვეტილი ჩრდილი? წარწერაზე მნელადგასარჩევი ასოებით ძლივსღა ჩანდა მიცვალებულის სახელი – გიორგი. გვარი ვერ ამოიკითხა, ისე იყო გადარცეცხილ-ჩაბურუსებული. მხოლოდ ეს ერთი სიტყვა... ეს ერთადერთი, იმის მაუწყებლად, რომ ოდესაც იყო კაცი, და კაცი იქცა მიწად.

ანიტამ მკლავი გაიწვდინა, ბლუკად მოგლიჯა ბალახი. მიჰყვა და მიჰყვა გულდაგულ. ეურჩებოდა ძირგადგმული სარეველა, მაგრამ ისიც არ ეპუებოდა, არ აკლებდა ცდას, პირწმინდად ასუფთავებდა შიგადაშიგ თითქმის ად-

ამიანის სიმაღლემდე აბიბინებულს. სანახევროდ ჰქონდა საქმე მოთავებული, დამლაგებული ქალი რომ გამოჩნდა. გვერდით კაცი მოსდევდა, უთუოდ მისი ქმარი იყო. ჩაიარეს მასლაათით. ანიტას მეტად აღარ გაუხედავს იქით, არც ბალახის თხრა შეუწყვეტია. მხოლოდ მათი საუბრის ფრაგმენტი დაიჭირა ყურმა:

— ასე თქვა, ვალდებულება მაქვს აღებულიო, თუ რაღაც ასეთი...

— ვის წინაშე? — ინტერესით იკითხა კაცმა.

— არ ვიცი, უ აღარ მიკითხავს, რა ჩემი საქმეა, — მოუჭრა ქალმა, — ავჩარდეთ, წვიმას აპირებს!

მასზე ლაპარაკობდნენ, თუმც ანიტასთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარია, მიდიოდნენ თავისი გზით, უფრო და უფრო შორდებოდნენ, არ აწუხებდნენ ზედმეტი ცნობისმოყვარე კითხვებით. მათგან დახმარებას არ ელოდა, იმაზეც მადლობელი იყო, თავს რომ არაფერს ახვევდნენ. გლეჯისას ველური ბალახის ხაოიანმა, უხეშმა ზედაპირმა ხელისგულები გადაუსერა. ჭუჭყში ალუფხული სისხლი გადღაბნოდა თითებზე, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა. ისე ხმარობდა ხელებს, გეგონებოდა, ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რომელი მეტ საქმეს გასწვდებოდა და, ამდენად, რომელი მეტ ზიანს მიიღებდა.

მოათავა ყველაფერი, ნაგავი ერთად მოაგროვა. მერე პოლიეთილენის პარკიდან წყლიანი ბოთლი ამოიღო, ჩინური ყვავილის მოსარწყავად რომ ჰქონდა წამოღებული. ხელები დაიბანა და იმაზე დაიწყო ფიქრი, როგორ შეიძლებოდა ნაგვის გაზიდვა, და კოკისპირულმა წვიმამაც დაუშვა. ციდან ჩამოდენილი ლვარცოფის ბადეში აიბლანდა სასაფლაო, თითქმის აღარაფერი ჩანდა. მიხვდა ანიტა, გადასატანი უნდა გადაეტანა, ბედს ვერ გაექცეოდა, ვერსად შეაფარებდა თავს. იქვე, კარგა ნავარგებ ბზის ბუჩქს მიეკედლა, ღვთიური სურნელი რომ ასდენოდა და ოზონით გაჯერებულ ჰაერს კიდევ მეტად აკეთილშობილებდა, სალბუნად და შვებად ქცეულიყო.

ანიტა ემადლიერებოდა გიუურ წვიმას, რადგან უცებ აღმოაჩინა, სხვა არაფერი, მხოლოდ ასეთი განცდები სჭირდებოდა ახლა. სტიქია როგორდაც აცხრობდა მის შინაგან სატანჯველს, სამშვიდობოზე გასვლას ჰპირდებოდა. თავსხმა დიდხანს ხომ არ გასტანდა. გამოიდარებდა, გამოანათებდა მზე, გააჩენდა ჩრდილებს. ის დრო იდგა, როცა ანიტას ჩრდილი სასაცილოდ დაგრძელდებოდა.

წავიდოდა, თან წაიყოლებდა მას. წავიდოდა მოდრეკილი და მორჩილი. შინ გილბერი ელოდებოდა.

## ლალი ბრეგვაძე-კახიანი

თბილისი, 2013 წ. მაისი

## მოთხოვები

### დოდინი

- ბატონი გიორგი, მოპრძანდებით სახლისკენ?
- ჯერ ველოდები, ჩემო დათო.
- მეც დაგელოდებით და ერთად წავიდეთ.

დათო ვერ ისვენებს. ჯერ მანქანის კარი გამოაღო და რაღაც შეამოწმა, მერე მარკეტში შეიარა. თან გიორგისკენ აპარებს მზერას, შემდეგ კი საათზე იყურება.

- დათო, შენ წადი თუ გეჩქარება.
- სულაც არ მეჩქარება, მაგრამ ლოდინი მაგრად ტეხავს. თქვენ კარგი ნებისყოფა გქონიათ.
- რას იზამ, როცა სხვა გზა არაა.
- გაეღიმა გიორგის.
- მაკაცი მყავს, ზურა, ერთი წუთი რომ გააჩერო, კედლებზე ავა ან დალეწავს ყველაფერს.
- ეჭ, ერთი წუთი და საათი კი არა, ზოგჯერ თვეები და წლებიც გიწევს ლოდინი.
- ბატონი გიორგი, სანამ თქვენ ელოდებით, შევირბენ ბანკში და ვნახავ, ხომ არაა გადმორიცხვა.

გიორგიმ აჩქარებულ დათოს ღიმილით გააყოლა თვალი, შემდეგ საათს დახედა და გონების თვალით კიდევ ერთხელ გადახედა მრავალგზის გადამდებულებულ ფიქრს. მაინც რა ხშირად უწევს ადამიანს ლოდინი და რამდენი სახისაა იგი.

ბავშვობაში ლოდინის განცდა უფრო მწვავე იყო. დედა იგვიანებს

სამსახურიდან. დრო საოცრად იწელება. მოთმინების ძაფი გაწყვეტაზეა. ბებია უხმობს ჩაის დასალევად, მაგრამ მას დედის გარდა არაფერი არ სურს.

- არ მოვიდა ის კაცი? – ისევ გამოჩნდა მოუსვენარი დათო.
- შენ წადი, მე კი ჩავყვები ქუჩას, იქნება შევხვდე.

გიორგიმ მცირე მანძილი გაიარა და სკვერთან მიახლოებისას გადაწყვიტა სკამზე ჩამომჯდარიყო. თითქოს ელოდა, თითქოს ლოდინზე ხელი ჩაიქნია, ისევ მოგონებებში ჩაიძირა. ახლა სასაცილოდ ეჩვენება, მაგრამ კარგად ახსოვს ბავშვობისდროინდელი მწვავე განცდა. ახალ წელს ზვდებიან ბიძასთან. მამა თამადობს და როგორც ყოველთვის, ბობოქრობს. სუფრა ბარაქიანია – კარგი ღვინო და პურმარილი. მისაღები ოთახიდან კარგად ჩანს ვაზებზე დაწყობილი ნამცხვარი, ჩურჩხელა, ჩირი, ფურძენი და სხვა. გია ელოდება, როდის მოიტანენ ამ ყველაფერს სუფრაზე, მაგრამ ლოდინს ბოლო არ უჩანს. იმ დროს სუფრაზე ხილის და ტკბილეულის მიტანას წიხლს ეძახდნენ, რაც ნიშნავდა ქეიფის დამთავრებას და სტუმრების გაძევებას. გიას განსაკუთრებით ყურძნის დაგემოვნება სურს. ეს სურვილი ძალზე მძაფრია და ლოდინი აუტანელი. ის უფრო საკუთარ თავზე ბრაზდება, რომ უუხერხულება ყურძნის აღება. იცის, რომ ბიცოლა არ იქნება წინააღმდეგი, მაგრამ მამამ რომ მისცეს შენიშვნა?!

ასაკთან ერთად თითქოს ეჩვევი ლოდინს და ისე მწვავედ აღარ განიცდი. ბიბლიოთეკაში წიგნი გამოიწერე და ელოდები როდის მოგაწვდიან, ქუჩაში ელოდები შევარებულს და ბოლთას სცემ. უფრო დიდ ემოციებთან იყო დაკავშირებული ცოლის თუ შვილის მშობიარობის ლოდინი. ყოველივე ეს მანც თითქოს ერთჯერადი და ხანძოკლე ლოდინია. მაგრამ არის საოცრად რუტინული და დროში ძლიერ გაწელილი ლოდინი. თითქოს ერთი ნაბიჯია საქმის გამოსკლამდე, მაგრამ მის გადადგმას აღარ ადგას საშველი.

გიორგის ფიქრი ფილოსოფიური და ფილოლოგიური მსჯელობებისკენ გადაიხარა. მანც რასთან კავშირდება ლოდინი? მან ასეთი სქემის სახე მიიღო: ლოდინი-მოლოდინი-იმედი-მოთმინება-ნებისყოფა. ამასთან კავშირდება გამოთქმები "მოთმინებითა შენითა", "ვინც მოითმენს ის მოიგებს". ეს კარგი დაცვითი მექანიზმებია, მაგრამ ამაში შველა ნაკლებადაა.

თვით სიტყვას თუ დავყოფთ, საინტერესო დასკვნამდე მივაღოთ: ლოდი-ნი. ე.ი. ლოდთან გვქონია საქმე, რომელიც შეიძლება იყოს დიდი და გვაწევს გულზე. ამიტომაც არის აუტანელი.

მნელი წარმოსადგენი არაა აკაკი ხორავას მდგომარეობა. ქართული კინოს და თეატრის ლეგენდა, რომელთან ურთიერთობისთვის უამრავი ადამიანი მიიღტვოდა, სიბერეში მარტო დარჩა და ხშირ-ხშირად გაჰყურებდა ტელეფონს, იქნებ ვინმექ დამირეკოსო.

მძიმეა პატიმრის ლოდინი, როცა

ციხეში ყოფნის ბოლო დღეებს ითვლის. ამ დროს იგი შეიძლება გაიქცეს კიდევაც თუ ამის საშუალება ექნება, თუმცა დიდი რისკის ქვეშ აყენებს თავს.

ლოდინი წამების იარაღადაც გამოყენება. დასჯილ ადამიანს ასმენინებენ რაიმე ხმას, რომელიც პერიოდულად მეორდება. ამ მოლოდინმა მწვავე ფსიქიკური აშლილობაც შეიძლება გამოიწვიოს.

გიორგის გაახსენდა ფილოსოფონი ვახტანგ შიხაშვილი, რომელიც ახალგაზრდობაში დისიდენტობის გამო დააპატიმრეს. შეიყვანეს უშიშროების კომიტეტის მაღალჩინოსანთან და დასვეს მის წინ მაგიდასთან. ოფიცერმა იცოდა დაპატიმრებულთა განცდები და სპეციალურად გაწელა დაკითხვის დაწყების დრო. ის თითქოს არც აქცევდა ვახტანგს ყურადღებას და გულმოდგინედ ჩაშტერებოდა ქაღალდებს. ოცი წუთის შემდეგ ამოხედა დაპატიმრებულს იმ სასიამოვნო მოლოდინით, რომ დაბერავებულ და განადგურებულ სახეს დაინახავდა. მაგრამ ო საკვირველება – ვახტანგს მშვიდად სძინავს.

გაცოფებულმა ოფიცერმა წყალი შეასხა დაპატიმრებულს გასაღვიძებლად. ვახტანგი ერთი კი შეხტა, მაგრამ როგორც კი თვალი გაახილა, მშვიდი გამომეტყველება მიიღო.

- როგორ დაგეძინა, ნუთუ ვერ ხვდები სად იმყოფები? – უღრიალა ოფიცერმა.

- ვიცოდი, რომ მეტებდით და ძალიან ვნერვიულობდი, ახლა კი ვიცი სადაც ვარ და დავისვენე. – მიუგო ვახტანგმა

### მშვიდად.

როცა ლოდინი ნებისყოფას უკავშირდება, ზოგი მიიჩნევს, რომ კარგ ამბავთან გვაქვს საქმე: ხდება წრთობა და ჭირში გამაგრება.

ერთი კრიტიკოსი, რომელიც სიცოცხლეში იყო ცნობილი მრავალი წიგნითა და მაღალი თანამდებობებით, ნებისყოფანი მოლოდინის მაგალითად რაცხდა მთების ლოდინს ვაჟა-ფშაველას მოთხრობიდან "მთები მაღალი". თითქოს მართლაც ასეა, რასაც ამტკიცებს მის მიერ მოტანილი ციტატა: "უსაზღვროა მთების მოლოდინი... სდგანან წარბშეუხრელად. ელოდენ, ელიან და კვლავ ექნებათ მოლოდინი. რა დააშრობს იმათ გულში იმ მოლოდინის ზღვას?"

ისე, ბოლომდე დაკვირვებით რომ ჩაეკითხა ვაჟას ეს მცირე მოთხრობა, დღეს არაცნობილი კრიტიკოსი დაინახავდა ლოდინის სიძმიმეს: "სდგანან და ელიან. გული სტკივათ, ძალიან სტკივათ. მაგრამ არ იხოცებათ. ელიან ვის? ან რას? რაღაცას. ეს რაღაცაა უნახავის დანახვა".

თურმე ლოდინს გულისტკივილიც სცოდნია. აქ მეტის დანახვაც შეიძლება, რომ ლოდინში კრთება გარკვეული იმედი და უფრო მეტად მომავლის ინტერესი.

გიორგის უცებ გაუელვა თავში აზრმა, რომ ვაჟას პოზიცია ეხმიანება ს. ბეკეტის ნაწარმოებს "გოდოს მოლოდინში". აქც რაღაცის თუ ვიღაცის მოლოდინია, რომელიც აღძრავს ინტერესსაც და იმედსაც. ეს ვიღაც შეიძლება იყოს კაცი – გოდო, ან ღმერთი -

(ინგლ. ღმერთი), რომელსაც იმედით ელიან.

ამ ფიქრმა გიორგი პოეტურ ხასიათზე დააყენა და ლექსად წარმოესახა ფილოსოფიური დასკვნა, რომ გოდოს მოლოდინი არის მიქელ გაბრიელის მოლოდინი. აი ეს "შედევრიც".

გოდო – მიქელ გაბრიელი

გული კვნესის, სული ოხრავს,  
თვით სამყაროც გვრჩება ოხრად,  
ველოდებით მაინც გოდოს,  
თითქოს იმედებია,  
ბოლოს დიდი აღმოჩენა –  
გოდო გაბრიელია.

გიორგის ფიქრები კიდევ უფრო ჩაღრმავდა და ლოდინი დაკავშირდა ეჭვთან და ურთიერთსაპირისპირო მდგომარეობებთან – ენერგიის მატება-კლება, გაბოროტება-მიტევება, ბრძოლა-უმოქმედობა. მსგავსი ვითარებები განსაკუთრებით ხშირად ხდება ხანგრძლივი ლოდინის პირობებში.

ცნობილია, რომ ეს განცდები ძლიერ შინაგან წინააღმდეგობას იწვევს, რაც ზოგჯერ დამანგრეველ ზემოქმედებას ახდენს. როცა რაღაცას დიდხანს ველოდებით, ჩნდება ეჭვი, რომ ვიღაც საეციალურად უშლის ხელს მის განხორციელებას, ან ჩვენ გვაქვს შეცდომა დაშვებული. ამას შეიძლება მოყვეს აგრესია ვინმეს ან საკუთარი თავის მიმართ, რაც თავისთავად უსიამოვნო განცდაა. საჭირო ხდება კარგი თვითანალიზი ვითარებაში გასარკვევად.

გიორგისთვის ლოდინის ყველა სახე თავს იყრის მისი ბოლო მიღწევის რეალიზებაში. მოარელი საღი აზრი გვეუბნება, რომ კარგი და მნიშვნელო-

ვანი თვითონ გაიკვლევს გზას. ამიტომ ბუნებრივია ეჭვი, არის თუ არა შენი შემოქმედების შედეგი სასურველი და მნიშვნელოვანი? თუ უარყოფითი დასკვნა გააკეთე, მაშინ ხელს ჩაიქნევ საქმიანობაზე. დადებითი დასკვნის შემთხვევაში შეიძლება საზოგადოებაზე გაბოროტდე, რომ არ გაფასებდენ. თუ ფილოსოფიურად შეხედავ ამ ამბავს, მიუტევებ მათ – შეუნდოს ღმერთმა, რამეთუ არა უწყიან.

მართლაც მეტად უცნაური ბედი ერგო გიორგის შემოქმედების ნაყოფს – ანთროპომანიას და მეტისმეტად განანგრძლივდა მისი რეალიზაციის მოლოდინი.

გიორგის არაერთი საინტერესო მიღწევა ჰქონია, მაგრამ ანთროპომანია მაინც განსაკუთრებული აღმოჩნდა, რადგან აյ მოიყარა თავი ადამიანის წინაშე მდგარი პრობლემების უმრავლესობამ. მოგეხსენებათ, ანთროპოს ადამიანს ნიშნავს, ხოლო მანია – გრძნობათა სიჭარეს, რომელიც შეიძლება იყოს როგორც მხიარული, ისე სევდიანი. აღმოჩნდა, რომ ეს დაპირისპირებული მდგომარეობა იწვევს მრავალმხრივ გართულებას – გონებრივს, სხეულებრივს, ქცევითს, ურთიერთობითს. ამ აღმოჩენას მოყვა კლინიკური და ექსპერიმენტული კვლევები, რომელიც მიზნად ისახავდა აკადემიურთა განკურნებას. დადგინდა, რომ ყველა დაავადება ანთროპული იყო და პრაქტიკულად ყოველი მათგანის განკურნება – შესაძლებელია. გაიზარდა განკურნებულთა რიცხვი და მეთოდმა მიიღო უნივერსალიზმის სახე.

გამოჩნდა საზოგადოების მასობრივად გაჯანსაღების საშუალება.

და სწორედ აյ აღმოჩნდა გიორგი ფარული თუ აშკარა დაპირისპირების წინაშე. ბევრი სხვადასხვა დარგის სპეციალისტმა იგრძნო თავი შეურაცხყოფილად, მათი რეაქცია კი იყო იგნორირება ან ძლიერი სკეპსისი. იყო გაგებით შეხვედრა და აღიარებაც, მაგრამ ასეთი შემთხვევები ვერ ქმნიდა ამინდს. გიორგის გაუჩნდა ორგვარი მოლოდინი: ვიღაცამ შეიძლება ცილი დასწამოს აუგრისტობაში, მეორე მხრივ კი შეიძლება ვინმე ყურადღებით გაეცნოს სისტემას და აღიაროს. ამ მტანჯველი მოლოდინის გასაქარწყლებლად მოქმედება იყო საჭირო. დაიწერა წიგნები, სტატიები, გაკეთდა მოხსენებები და

ინტერვიუები, მაგრამ წინააღმდეგობრივი ვითარების გადალახვას არ დაადგა საშველი.

უწმუნოების პოზიცია წმირად მართლაც კომიკური იყო: დაუჯერებელია, შეუძლებელია ასეთი რამ. ზოგმა ისიც კი თქვა, რომ ამერიკელებმა, გერმანელებმა და იაპონელებმა ვერ აღმოაჩინეს ასეთი რამ და ქართველი როგორ მოახერხებდა ამასო. მართლაც "დიდებული" არგუმენტია.

არგუმენტთან დაკავშირებით გიორგის გაახსენდა პროფ. ოთარ ტაბიძის მონათხრობი. ინსტიტუტის სწავლულ მდივნად მუშაობის დროს დაურეკეს პარტიის ცკ-დან, რომ იქ უნდა მისულიყო დირექტორი შევბულებაში იყო და მის მოვალეობას დროებით პროფ. ზ. ხო-

ჯავა ასრულებდა. არც მას და არც ოთარს პარტიულ ელიტაში წასვლა არ ეპიტნავებოდათ. ოთარმა როცა მოახსენა წასვლის შესახებ, ზ. ხოჯავამ კბილის ტკივილი მოიმიზება. ოთარმა ეშმაკურად შეაბარა – რა მნიშვნელობა აქვს, კბილი აქ გეტკინებათ თუ იქ, ხომ იცით წასვლა მაინც აუცილებელიაო. ხო, სწორიაო, უპასუხა ნირწამხდარმა ზ. ხოჯავამ და გაუდგა გზას. აი, ერთადერთი შემთხვევა, როცა არგუმენტმა გაჭრაო, თქვა გახარებულმა ოთარმა.

გიორგიმ გაიხსენა ამავე ინსტიტუტში გაკვეთებული მოხსენება, რომელიც ეფუძნებოდა მდიდარ ფაქტობრივ მასალას, ზუსტ სტატისტიკას, ლოგიკურ არგუმენტაციას. სხდომათა დარბაზი გადატვირთული იყო როგორც არასდროს. ე.ი. ინტერესი დიდი იყო, მაგრამ გიორგი ხედავდა ზოგიერთის ცინიკურ გამოხედვას. ეს აისახა შეკითხვებსა და კამათშიც, მაგრამ ერთმა ცნობილმა მეცნიერმა რომ იტყვიან "დახურა". უფროსი თაობის ამ წარმომადგენელმა, რომელსაც ჭკუის სწავლება უფრო ეხერხება, ვიდრე ყურადღებით მოსმენა, ბევრი იცქმუტა მოხსენების დროს, მაგრამ მთავარი დასკვნა სხდომის შემდეგ პირად საუბარში გააკეთა.

- შენ ნიჭიერი კაცი ზარ და იცი, როგორ ვაფასებ შენს ზოგიერთ გამოკვლევს, მაგრამ არ შემიძლია არ გამოვხატო აღშფოთება დღევანდელ გამოსვლაზე. მე არსად არ გამიგია მსგავსი აღმოჩენის შესახებ და შენ საიდან მოიტანე?

- იქნებ მე აღმოვაჩინე? - ეს როგორ, რანაირად? – ვერ მალავს იგი გალიზიანებას.

- ვიღაცამ ხომ უნდა აღმოაჩინოს?!  
- მაპატიე, მაგრამ ეს უკვე თავზე-დობაა! ხედუდი, ალბათ, ზოგს როგორ ეღიმებოდა.

გიორგი მიხვდა, რომ არავითარი არგუმენტი არ გაჭრიდა. გადაწყვიტა, ისევ ლოდინი ჯობსო და სიტუაცია იუმორისტულ ნოტზე გადაიყვანა.

- მე რომ ამას სერიოზულად ვამტკიცებდე, მართლაც თავზედობა იქნებოდა. მართალი გითხრათ, გამიკვირდა და მომზიბლა კიდეც თქვენმა მიამიტობამ. ჩვენ აქ ექსპერიმენტს ვატარებდით, ვინ შეიძლება დაიჯეროს აბსურდი და ვინ – არა. იმიტომ იყო, ზოგს რომ ეღიმებოდა. ისინი ჩაწვდნენ სიტუაციას.

- სლაგა ბოგუ, რომ ასე ყოფილა, თორებ გამიფუჭდებოდა შენზე შთაბეჭდილება. – თქვა მან შემწყალე ტონით და მხარზე მოუთათუნა გიორგის.

გიორგი ცდილობდა მეთოდის სრულყოფას, რათა უფრო ეფექტური, თვალნათელი და მისაწვდომი გაეხადა. შექმნა ანთროპოსკოპი, რომელიც იძლეოდა როგორც დაავადების თავისებურების გამოვლენის, ისე მკურნალობის საშუალებას. გაჩნდა მოლოდინი, რომ უფრო ადვილი გახდებოდა სკეპტიკოსთა დარწმუნება. მართლაც, ყველა პროცესი უფრო დაჩქარდა და შედეგის დანახვაც ძალზე თვალსაჩინო გახდა.

ამან ის შედეგი გამოიღო, რომ იმატა განკურნებულთა რაოდენობამ, მაგრამ

სკეპტიკოსთა რიცხვი თითქოს არ შემცირდა. ზოგი მათგანის აგრესიამ მოიმატა და სხვების წაქეზებაც კი დაიწყეს. მაინც ეს უფრო პარტიზანულად ხდებოდა და აშკარა დაპირისპირებას ერიდებოდნენ. არ დაწერილა რაიმე სერიოზული უარყოფითი რეცენზია, არ მოწყობილა დებატები.

გიორგიმ მოინდომა გამოკითხვის ჩატარება, რათა გაეგო ცნობილი სპეციალისტების აზრი. ორმა ახალგაზრდა თანამშრომელმა უურნალისტის რანგში მიაკითხა მრავალ მათგანს. მათ აღიარეს, რომ ჰქონდათ ინფორმაცია ანთროპომანიის შესახებ, მაგრამ ოფიციალურად საკუთარი პოზიციის დაფიქსირება არცერთმა არ ისურვა. ამას, ალბათ, ერთი დელიკატური ადგილის უქონლობა ჰქია.

ასეთი ხალხი მაინც ვერ ისვენებს და სხვადასხვა ხერხით ცდილობს სხვისი მიღწევის დისკრედიტაციას. ზოგმა გაავრცელა ხმა, რომ ანთროპომანია არამართმადიდებლურია. შექმექს შავ პიარზე დაგეშილი უურნალისტებიც, რომლებიც ცდილობდნენ ცინიზმის ჭაობში ჩაეთრიათ გიორგი და მისი ჯგუფი.

- მართალია, რომ ანთროპოსკოპით შესაძლებელია მოკვეთილი ფეხის ამოზრდა? – კითხულობს "რუსთავი2"-ის უურნალისტი.

- ფეხის ამოზრდა პრობლემა არაა. მთავარია დავამთხვიოთ მეორე ფეხის სიგრძეს, რომ თავიდან არ მოგვიხდეს ყველაფრის დაწყება. უფრო რთულია გახევებული ცალი ტვინის ამოქმედება, რასაც ამ ბოლო დროს წარმატებით

ვახორციელებთ. ისე, შეგიძლიათ მოგვაკითხოთ. შედეგით კმაყოფილი დარჩებით. – პასუხობს გიორგი უურნალისტს ადეკვატურ სტილში.

- ბატონო გიორგი, საიქიოდან თუ იყო მოთხოვნა თქვენი პანაცეა აპარატის შესახებ? – გაიბრწყინა თავისი "თეორი" იუმორით ტელეწამყვანმა.

- ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ აქ ორი საკითხია გასარკვევი და მაყურებლისთვის საინტერესო იქნება თქვენი კომპეტენტური აზრი.

- იქნებ ჩამოაყალიბოთ შეკითხვები და შევეცდები გაგცეთ პასუხი. – დაისერიოზულა თავი უურნალისტმა.

- პირველი კითხვა ეხება საერთოდ საიქიოს არსებობას, მეორე კი – ანთროპოსკოპის მსგავსი ხელსაწყოს არსებობას. იქნებ იქ უკეთესი რამეც შექმნეს? შეიძლება ლოდინის უფრო მაღალი კულტურა აქვთ და ჩემს მისვლას მოთმინებით ელიან.

- აპარატის შესახებ ჩემთვის ჯერ არ უცნობებიათ, მაგრამ საიქიოს არსებობა ნამდვილად მწამს.

- გწამთ თუ რაიმე დამადასტურებელი ფაქტი მოგებოვებათ?

- ფაქტი არა მაქს, მაგრამ მწამს.

- თქვენი მონდომების და შესაძლებლობის ადამიანს არ უნდა გაუჭირდეს საიქიოში აპარატის არსებობის გაგება, ხოლო რაც შეეხება თვით საიქიოს არსებობას, ამის დამადასტურებელი ფაქტი არსებობს.

- თქვენ მართლა მისანი ყოფილხართ.

- გმადლობთ კომპლიმენტისთვის, მაგრამ მე ისეთ ფაქტზე მოგახსენებთ,

რაც ყველა დაკვირვებული ადამიანისთვისაა ცნობილი. ესაა სიგარეტის ანტირკლამა, რომელიც ორი დებულებისგან შედგება: 1. მოწევა კლავს და 2. მოწევა იწვევს კანის ნააღრევ დაბერებას. ლოგიკის მიხედვით, პირველ დებულებას მოყვება მეორე, დასკვნა კი ასეთია: ჯერ სიკვდილი, მერე კი კანის დაბერება.

- ორიგინალური დასკვნაა, -ამოღერდა ნირწამხდარმა უურნალისტმა.

- ვფიქრობ, დაგენმარქათ საიქიოს შესახებ თქვენი რწმენის განმტკიცებაში.

გიორგის ამ გახსენებამ ღიმილი მოჰყვარა. — ისე, მეც კარგად "გამაიზებ" ამ უურნალისტებმა. — გათვიქრა მან.

გიორგის ფიქრი იქით წავიდა, რომ დადებითი მომენტიც დაიჭირა ლოდინში. ამის შედეგია, რომ დაიხვეწა მეცნიერული მონაპოვარი და გამოსაყენებლადაც მარტივი გახდა. ერთი რამე წყვეტდა გულს, რომ ბევრ ადამიანს ესაჭიროებოდა დახმარება და ვერ ხერხდებოდა მასობრიობის მიღწევა.

გაუსაძლისი ლოდინის და სკეპტიციზმის დაძლევა ისევ თვითრწმენის საფუძველზე მოხდა. აქ გიორგის კვლავ ეწვია პოეტური "მუზა":

მეცნიერები და მომეცნიერო  
ელემენტები

მეცნიერებას როცა იპყრობენ  
მომეცნიერო ელემენტები,  
შენ გვერდზე გადექ,  
ნუ გაისვრები ტურტლიანი მათი

გვერდებით,  
მაგრამ არ შედრკე,  
თვითონ გახდი  
ჭეშმარიტების შემქმნელიც და  
შემფასებელიც,  
და აღასრულე შენი გალი,  
თუნდაც არ გყავდეს დამფასებელი.

გიორგის ლოდინი არ ჰგავს დამყაყებულ გუბურას. ის უფრო ვულკანსა ჰგავს, რომელიც შეიძლება ამოიფრქვეს. ფიქრში ბუნებრივად აღმოცენდა ვაჟას სიტყვები: უსაზღვრო ზღვადა სდგას მოლოდინი მთების გულში. გარეთ, სახეზე კი არაფერი ეტყობათ.

"სდგანან და ელიან". გიორგიც ელოდება. მისი ლოდინი შინაგანად დატვირთული და მობილიზებულია, თითქოს სტარტზე დგას და ნიშანს ელოდება. მაგრამ ვინ იცის, იქნებ ესეც გოდოს მოლოდინია?!

## მძიმე ხასიათი

პროფესორმა ზურაბ რათაძემ სტუდენტებს მოხსენებისთვის თემები დაუსახელა სათანადო ლიტერატურით და აუწყა გრაფიკიც, თუ ვის როდის უწევდა გამოსვლა. აქვე აღნიშნა, რომ მოხსენება კეთდებოდა ზეპირად და ამიტომ კონსაექტის მოცულობას მნიშვნელობა არ ჰქონდა.

პირველი მომხსენებელი იყო ფრიადოსანი თენგიზი, რომელიც ტრიბუნასთან წარსდგა სქელი საერთო რვეულით ხელში. პროფესორმა გამოართვა რვეული და როცა ნახა, რომ იჯი თითქ

მის მთლიანად იყო შევსებული, ჩვეულ სტილში დაიწყო თენგიზის გაქილიკება: - ნუთუ ორივე წიგნი სრულად გად- მოწერ!

თენგიზი მორიდებულად უღიმოდა პროფესორს და ელოდა, როდის მის- ცემდა იგი მოხსენების დაწყების ნიშანს. ბატონმა ზურაბმა კარგა ხანს იოხუ- ჯა და შემდეგ არც მოხსენების დროს დაუკლია ქილიკი. თენგიზიც ისევ მორცხვად იღიმოდა და ბოლოს ყვე- ლაფერი დამთავრდა ფრიადი შეფასე- ბით.

შემდეგ კათედრასთან გამოსვლა მოუწია გიას, რომელმაც წარმოადგინა თხელი რვეული და იქაც მხოლოდ გვერდნახვარზე იყო მოცემული მოხ- სენების თეზისები. პროფესორმა აღშ- ფოთება ვერ დამალა: - რა არის ეს, დეპშა წარმოგვიდგინე?

- რატომ დეპშა, ბატონო ზურაბ. როგორც თქვენ ადრე ბრძანეთ, კონ- სპექტი კეთდება მომხსენებლისთვის და მის მოცულობას არა აქვს მნიშ- ვნელობა. – ნაწყენი კილოთი წარმოთქ- ვა გიამ.

- ამ კაცს შენიშვნას ვერ მისცემ. აბა, ვნახოთ ერთი ამ მწირი თეზისე- ბიდან რამხელა მოხსენება გამოგივა. – ისე თქვა ბატონმა ზურაბმა, თითქოს საბრძოლველად მოემზადა.

გიამ მოხსენება დაიწყო ლიტერ- ატურაში სხვადასხვა ავტორის პოზიციის გადმოცემით, რასაც მოყვა კრიტიკული განხილვა და უფრო მის- აღები შეხედულების დაფიქსირება. აქვე იყო ორიგინალური პოზიციის მოკრძა- ლებული წარმოდგენის მცდელობა.

მოხსენების მსვლელობისას პრო- ფესორის მოღუშული-მომჟავო სახე თანდათან ნათელი ფერებით ივსებოდა და ვითარება აღფრთოვანებული შემა- ხილით დამთავრდა: - სულ ვფიქრობ- დი, რომ შენ ნიჭიერი ბიჭი ხარ და მომავალშიც ასეთ სტილში გააგრძელე მუშაობა.

კათედრაზე შესვლისას პროფესორ- მა კიდევ ერთხელ აღნიშნა გიას კარგი მოხსენება და თანამშრომლებს მოუ- წოდა, რომ მისთვის ყურადღება მიექ- ციათ.

ამ დროს ქალბატონმა ნინომაც მოინდომა რამდენიმე კარგი სიტყვა ეთქვა გიაზე.

- გუშინ წიგნების დიდი შეკვრით გავედი ქუჩაში. წიგნების სიმძიმეს ემატებოდა მოყინული გზა და ერთობ საჩოთირო სიტუაციაში აღმოვჩნდი. ასეთ გაჭირვებულ ყოფაში ჩემთან მოირ- ბინა გიამ, წიგნებიც გამომართვა და ხელკავით უსაფრთხოდ მიმიყვანა სახ- ლამდე. ნამდვილად ზრდილი და კულ- ტურული ახალგაზრდაა.

- თითქოს ასეა, მაგრამ ურთიერ- თობის კულტურაში მაინც მოიკოჭლებს – მძიმე ხასიათი აქვს. – განაცხადა ბატონმა ზურაბმა და მას მაშინვე დაუკრეს კვერი მისმა დამ- ქაშებმა.

რამდენადაც უსამართლობაზე უჭირდა აღეკვატური რეაქციის შეკავე- ბა, "მძიმე ხასიათი" გიასთვის ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა და მისი კრიტიკისები ხშირად სარგებლობდ- ნენ ამით. მავანთათვის ეს შეიძლება ასევე ჩანდა, რამდენადაც ბევრი ხელმძ-

ვანელი არამლიქვნელურ ქცევას თავხედობად მიიჩნევს.

უკვე დოცენტის რანგში გია მიწვეულ იქნა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში, სადაც დირექტორი იყო ძველი კომკავშირული და პარტიული მუშაკი თინა ზახარევნა. მას ჩვევად ჰქონდა დღეში ერთხელ მაინც კათედრების და კაბინეტების ჩამოვლა და თანამშრომელთა შემოწმება. ერთი ასეთი ვორაჟისას კარიონავ შეაღო და შეიჭყიტა გიას კათედრაზე. ყველა იქ მყოფი გამგესთან ერთად ფეხზე წამოიჭრა და მიესალმა დირექტორს. გიამ შეხედა ქალბატონ თინას, თავი დაუკრა და განაგრძო წიგნის კითხვა.

- შენ რა, არ გეკადრება ადგომა?

- აღშფოთდა თინა ზახარევნა.

- არ მეკადრება კი არა, არ მეკუთვნის. არაა ასეთი წესი. - დინჯად მიუგო გიამ.

- როგორ კაცო, სხვები თუ ადგნენ!

- ეს მათი პრობლემაა. ასეთი რამ არ არის გათვალისწინებული არც ზრდილობის ნორმით და არც შინაგანაწესით.

- უყურე ამას, ჭკუასაც რომ მარიობებს!

- ჭკუს კი არ გარიგებთ, გიხსნით, რომ თქვენთვის შეურაცხყოფა არ მომიყნებია და ტყუილად ხართ ნაწყენი.

ამასობაში თინა ზახარევნა თანდათან მიუახლოვდა გიას მაგიდას. გია წამოდგა, მოართვა სკამი და დაჯდომა შესთავაზა.

- კიდევ კარგი, კიდევ კარგი. მთლად უსაშველოდ არ ყოფილა საქმე,

რადგან დაჯდომა შემომთავაზე. - ოდნავ მოლბა თინა ზახარევნა.

- ახლა თქვენ პირადად ჩემი სტუმარი ბრძანდებით და ეთიკური ნორმა მავალდებულებს ასეთ მოქცევას. - გაუღიმა გიამ.

- ხედავ კაცო, ხედავ, ეთიკურ ნორმებსაც გვასწავლიან. - მაინც წამოენთო ქალბატონი თინა. შემდეგ უცებ წამოდგა და სწრაფი ნაბიჯით დატოვა კათედრა.

რამდენიმე თვის შემდეგ თინა ზახარევნა გაათავისუფლეს და მის ადგილზე მინისტრმა ახალი კანდიდატი წარმოადგინა. ინსტიტუტის საერთო კრებაზე რვავე გამომსვლელმა მწვავედ გააკრიტიკა ყოფილი დირექტორი, რომელიც დაბნეული შესცეროდა ყოფილ მაქებრებს, რომელთაც ადრე ერთი შენიშვნაც კი არ დასცდენიათ.

ამ ვითარებამ ძლიერ აღაშფოთა გია და მან დაუგეგმავი გამოსვლა მოითხვა.

- სამწუხაროდ, ჩვენმა თანამშრომლებმა ისეთი სურათი დახატეს, რომ დღეს ინსტიტუტში კი არა, მის ნანგრევებში უნდა ვიყოთ. თუ დირექტორი ასეთ შეცდომებს უშვებდა, რატომ არავინ უხელდა თვალს. სასურველი ალბათ უკეთ მუშაობა იყო, მაგრამ ქალბატონ თინას იმის მეათვდი ცოდვა არ ჩაუდენია, რაც დღეს აქ დააბრალეს. სასურველია, მომავალმა ხელმძღვანელობამ ეს გაკვეთილი გაითვალისწინოს და მისცეს თანამშრომლებს საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება, რაც წაადგება როგორც დირექციას, ისე ინსტიტუტის ნორმალურ მუშაობას.

მინისტრმა თავის გამოსვლაში

გაითვალისწინა გიას შენიშვნა, მსუბუქად გაკენწლა დირექტორის კრიტიკოსები და ერთგვარად მოეფერა ასაკოვან თინა ზახარევნას. — ახალი ხელმძღვანელის დანიშვნა დაკავშირებულია არა ძველის ცუდ მუშაობასთან, არამედ თანამედროვე მოთხოვნების შესრულებასთან. — დაასკვნა მან.

სხდომის შემდეგ აცრემლებული თინა ზახარევნა მიიჭრა გიასთან, ჩაეხუტა და ყველას გასაგონად გამოაცხადა: - მართალია, მძიმე ხასიათი აქვს, მაგრამ საოცრად კეთილი გული ჰქონია და, რაც მთავარია, სამართლიანი კაცი ყოფილა.

80-იანი წლების დასაწყისში თბილისში ჩატარდა მეცნიერების ორგანიზატორთა დიდი საერთაშორისო შეხვედრა. ღონისძიება ტარდებოდა მეცნიერებათა აკადემიის შენობაში და გია იყო ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზატორი. თავისუფალ დროს სტუმრები ეცნობოდნენ ქართულ კულტურას, ტრადიციებს, ყოფა-ცხოვრებას. ყველაფერი ეს საქმაოდ ზომიერად და გემოვნებით მიეწოდებოდა სტუმრებს და ისინიც ხშირად ვერ მაღავდნენ აღფრთოვანებას. განსაკუთრებით ეფექტური გამოდგა ჯვრის მონასტრის დათვალიერება, სადაც კაპელა ასრულებდა დიდებულ საგალობლებს. ბევრი უცხოელი სტუმრის ემოცია ცრემლების დვრაშიც კი გამოიხატა.

ყოველივე ამას აღშეფთებამდე მიყავდა მოსკოველი ფუნქციონერი ა. სოლოვიოვი, რომელიც ცნობილი იყო შოვინისტური შეხედულებებით. მან გიას არაერთხელ მოსთხოვა კულტურული ღონისძიებების მინიმუმამდე შეზღუდვა, რაზეც იღებდა პასუხს, რომ

საკითხი სტუმრებთან გაერკვიათ. თუ მათ არ მოსწონდათ ეს ღონისძიებები, მაშინ მოხდებოდა შეზღუდვა. სოლოვიოვი კარგად

ხედავდა სტუმრების კეთილგანწყობას და, ბუნებრივია, არც ეკითხებოდა მათ. ისევ გიაზე ცდილობდა ზემოქმედების მოხდენას და რადგან არაფერი გამუვიდა, გამწარებულმა წამოიძახა: - საშინელი მძიმე ხასიათი გაქვს და იცოდე, ეს წინ დაგხვდება.

მეორე დღეს გია თავისთან დაიბარა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა გ.ჯ.-ძ. იგი ადრე უფრო მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა და აკადემიაში შედარებით ახალი გადასული იყო. სწორედ მის შესახებ კითხეს სხვა ვიცე-პრეზიდენტს, ცნობილ ფსიქოლოგს ვფრანგიშვილს: - რას აკეთებს აკადემიაში გ.ჯ.?

- რასაც მე. — იყო ორაზროვანი პასუხი ფრანგიშვილის ოხუნჯურ სტილში.

- თქვენ რას აკეთებთ? - არ ეშვება აბეზარი შემკითხველი.

- არაფერს, შვილო.

თუ ფრანგიშვილი საღად აფასებდა სიტუაციას, გ.ჯ. საქმიანი კაცის როლს თამაშობდა. მან გია საყვედურებით აავსო, თითქოს უცხოელ სტუმრებს ფუჭად აკარგვინებდნენ დროს გაუთავსელ ექსკურსიებსა და ბანკეტებზე, რასაც მათი აღშფოთება მოყვა.

- ბატონი გ., იქნებ მაინც დავაკონკრეტოთ, ვისგან მოდის ეს საყვედურო.

- მე კონკრეტულად არ შემისწავლია ეს საკითხი და არც ვაპირებ ამას. ჩემთვის მთავარია, რომ ზემოდან დამირეკებს და მითხრებს, მიმეხდა სიტუაციისთვის. — გამკაცრებული კილო-

თი წარმოთქვა გ.-ზ.

- მგონი შეცდომაში შეგიყვანეს თქვენ და ამიტომ ვითხოვ დაკანკრეტულას. იქნებ ის მაინც მითხრათ თუ ზემოდან ვინ დარეკა.

- ახალგაზრდა, აქ კონკრეტიკაზე დიალოგი უსაფუძვლით. მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ, თუ ზემოდან გეუბნებიან, ეს ყოველთვის სწორია და მისაღები. – კიდევ უფრო გაწიწმატდა გ.

გია მიხვდა, რომ დიალოგს აზრი აღარ ჰქონდა და სულმა წასძლია ქილიკში გაეწიოტრალებინა თავისი ემოცია: - სწორი აზრი არა მხოლოდ ზემოდან მომდინარეობს, იგი შეიძლება ქვევდანაც მოვიდეს და გვერდიდანაც.

გ.-მ უსიამოვნოდ აჭიმა წარბები და რაღაცის თქმა დააპირა. მაგრამ ისევ გიამ დაასწრო:

- მაგალითად, ლენინი არაერთხელ მიუთითებდა, რომ საჭიროა მასების აზრის გათვალისწინება, იქიდან ხომ არაერთი ჭეშმარიტება შეიძლება მივიღოთ!?

ასეთი ავტორიტეტის ხსენებაზე გ. ცოტა მოლბა, მაგრამ გიას მაინც ურჩია, რომ მეტი ყურადღება მიექცია ზემოდან წამოსული წინადადებებისთვის.

ვიცე-პრეზიდენტის კაბინეტიდან გამოსვლის შემდეგ გ.-მ განალიზა თუ ვის შეიძლება დაერეკა ზემოდან, რომელთანაც სავარაუდოდ იჩივლა ა. სოლოვიოვმა. ეს უნდა ყოფილიყო ცკის მეცნიერების განყოფილების გამგე

ან მისი მოადგილე. სწორედ ამ უკანასკნელთან დარეკა გიამ, რათა ეთხოვა შეხვედრა. ვარაუდი სწორი აღმოჩნდა, რომ მისგან მოდიოდა განგაშის ზარი. შეხვედრისას დასაწყისში მძიმე საუბარი იყო: - თურმე მოაბეზრეთ თავი ევროპელებს გაუთავებელი წანწალით და ღრეობით.

- ეს თქვენ ევროპელებმა გამოგიცხადეს თუ სოლოვიოვმა? – იკითხა გიამ.

- შენ რა იცი, რომ სოლოვიოვმა მითხრა?

- სხვა ამას არ გეტყოდათ, რადგან ევროპელებიც და სხვა სტუმრებიც მხოლოდ კმაყოფილებას გამოთქვამენ კულტურული ღონისძიებებით, რომელიც ნორმის ფარგლებს არ სცდება.

აქ გიამ კარგად აღუწერა სიტუაცია ცკ-ს ჩინოვნიკს და მომავალ გეგმებზე ესაუბრა. ჩინოვნიკი კმაყოფილი დარჩა საუბრით და ბოლოს სოლოვიოვის მიმართ არც შეკურთხება დავიწყებია: - ოხ მაგის შოვინისტი დედაც..... გააგრძელეთ ეს ღონისძიებები, ხვალ კი მუზეუმის საცავში მეც დავუსწრები ჩვენებას და ერთ-ორ ტკბილ სიტყვასაც ვეტყვი მაგ შოვინისტს.

დასრულდა შეხვედრა. დამშვიდობებისას ჩინოვნიკმა გიას ღიმილით მიმართა: ტყუილად არ ამბობენ შენზე, რომ მძიმე ხასიათი აქვსო, თუმცა ზოგჯერ არც უმაგისობა ვარგა. მთავარია საქმე სწორად კეთლებოდეს და ხასიათს როგორმე ავიტანთ.

## გზები ჭყვილი

### VI თავი

თბილისში დილიდანვე წვრილად წვიმდა, წვიმდა გადაუღებლად, დაჯერებით, მერე დილიდანვე სქელი ნისლი ჩამოწვა, როგორც რამდენიმე წლის წინ მოხდა, მთაწმინდა, ნარიყალა, კუსტბა, წყნეთისაკენ გაბმული გორები საერთოდ აღარ ჩანდა, ქალაქი თითქოს დაპატარავდა და შეიკუმშა, მხოლოდ სახლების წინ მდებარე ქუჩით თუ გაარჩევდით, რომ აქ ქალაქის ნაწილი მდებარეობდა. ჭავჭავაძის, მელიქიშვილისა და ოუსთაველის პროსპექტზე მანქანების ნიაღვარი ანთებული ფარებით მოდიოდა, ნისლი, კვამლი, მანქანების გამონაბოლქვე ერთმანეთს ერეოდა, დამძიმებული ნესტიანი ჰაერი სუნთქვას აძნელებდა, ჰაერს თითქოს ზეთის ბლანტი სიმძიმე დამატებოდა.

იმ დღეს კოკა უბირიას კრძალავდნენ, საათის ორზე იყო გამოცხადებული გასვენება. თერთმეტი საათიდან ხალხი უკვე დაიძრა, გუნდ-გუნდად მოდიოდნენ ყველა რაიონის წარმომადგენლები, დიდ უბანში მცხოვრები ყველა მეზობელიც უკლებლად აქ იყო, ხანდახან ქოლგებით მდგარ და ლაპარაკში გართულ ხალხს თითქოს აშრიალების მსგავსი ტალღა გადაუვლიდა, როცა გამოჩნდებოდა ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელი, ან ცნობილი მწერალი, მხატვარი, კომპოზიტორი თუ მომღერალი. ახალგაზრდა ბიჭის უპატრონოდ დარჩენილი სახლი ფერად-ფერადი გვირგვინებით იყო სავსე, ეს დიდ-პატარა ჭრელი გვირ-

გვინები ოთახებსა და პოლში რომ ვერ დაეტიათ ყველა სართულის კიბეების ორივე მხარე გაევსოთ. ხალხი გაჭირვებით უვლიდა გვერდს ერთმანეთს, ხან ყვავილებსაც ადგამდნენ ფეხს, მაინც მიიწევდნენ და მიიწევდნენ. მალე ვერის უძველესი სასაფლაოსაკენ მიმავალი ვიწრო ქუჩები ხალხით გადაიჭედა, ცოტა ხნის მერე პროსპექტიც კი გადაიკეტა. წინამდლოლის დიდი პატივისცემის ნიშნად უბნის აცვენილმა ბიჭებმა ერთპიროვნულად გადაწყვიტეს უდროოდ გამქრალი ბიჭი სასაფლაომდე ხელით ეტარებინათ. ვახო ძინძიბაძესა და სხვა მეზობლებთან ერთად გიგა მჩაბელიც მიდიოდა სასაფლაოსკენ, ნელ-ნელა თითქოს სვენებ-სვენებით მიიწევდნენ წინ, თან გამუდმებით წვიმდა, ნისლი ხან ქრებოდა, ხან ბამბის თხელი ნაფლეთებივით ისე დაიკიდებოდა ჰაერში თითქოს გაუჩინარება ენანებოდა. საშინლად მძიმე გუნებაზე მყოფი გიგა მაჩაბელი თავისთვის ფიქრობდა: რა უბედურება დატრიალდა, ყველაფრით უზრუნველყოფილ და თანაც ძალიან ნიჭიერ ბიჭის ხომ შეძლო წესიერად ეცხოვრა, ესწავლა, ემეგობრა, კარგი სპეციალისტი გამოსულიყო, შავ აჩრდილად გადაქცეული და რკალივით მოხრილი დედა გაეხარებინა, უმცროსი დები არ დაეტანჯა, ცრემლებად არ დაეღვარა. მის ნაცვლად მან ყველაზე საშინელი გზები აირჩია, უსაქმურობის, ლოთობის, ნარკომანობის, ჩხუბის ცემის, დაჭრის არაკა-

ცობის, არასამართლიანობის გზას დაადგა. ეს თანატოლი ბიჭებიც ასე რომ იცრუმლებიან და ცდილობენ რაც შეიძლება დიდხანს ატარონ ავკაციობის მსხვერპლის კუბო, ხომ იგივე დამნაშავები არიან, როგორც უწყობდნენ ხელს მათ მთავარ ამრევს, რაგინდ ცუდი გაეკეთებინა ერთხელ უარს არ ეტყოდნენ, არ შეახსენებდნენ ქართველობას და ოჯახიშვილობას, პირიქით მზად იყენენ მასთან ერთად მოლიპული გზებით ევლოთ, ოღონდ სასმელი და წამალი მუქთად მიეღოთ, მათი მშობლებიც ვერავითარ ზემოქმედებას ვეღარ ახდენდნენ შვილებზე, თთქოს ავი დინებით ყავდათ მიშვებული და დამნაშავების ხელის შემწყობების როლში გამოდიოდნენ. მთავარზე მთავარი დამნაშავე მაინც აპოლონ უბირია იყო, როგორ მიატოვა ერთ დროს ძლიერი ოჯახი, თხუთმეტ-თექქსმეტი წლის მანძილზე მისი ერთგული ცოლი, სამი მოზარდი ბავშვი და ქვეყნის ნათრევი კოზტაპ-რუწა ლიზი შეირთო, რატომ, რატომ მოხდა ასე, ნუთუ მართლა სიყვარულია თუ აქ სხვა პირუტყვულ-მანიაკალური ვნებაა ჩამარხული. ყველა ამ დანაშაულებრივი მიღომის გამო სამუდამოდ დაკარგულ ბიჭთან ერთად, კარგი ოჯახიშვილი, ნიჭიერი და სრულიად რეალური მომავლის მქონე ბიჭიც კოკასავით არა, მაგრამ ნაწილობრივ მაინც დაიღუპა, გაუბედურდა, ოჯახს მოსწყდა. სწორედ საწყალმა კოკა უბირიამ გახადა იძულებული სიკეთისთვის დაბადებული გიორგი შავდია საშინელება ჩაედინა, სხვა გზა აღარ დაუტოვა, იძულებით მკვლელის

იარღიყიც მიაკერა და სადღაც ცხრა მთას იქით გადაკარგა, ახალგაზრდა ბიჭს ცხოვრება დაუნგრია, მომავალი მოუსპო. რისთვის, რატომ, რა მიზნისთვის, რისი მიღწევისთვის? ეს ფიქრები ტანჯავდა გიგას და თითქოს მექანიკურად მიჰყვებოდა ზემოთ და ზემოთ მიმავალ გზას, მხოლოდ ხანდახან თუ ჩერდებოდა, მეზობლების ლაპარაკს ან რაღაც შეკითხვას ბურუსიდნ გამოჰყავდა, ცივ სინამდვილესთან აბრუნებდა, მწვავე გულისტკივილი არ ტოვებდა იმის შეგრძებით, რომ საქართველომ ორი შვილი დაკარგა, ერთი სამუდამოდ, მეორე დროებით, თუმცა დაკარგვის პროცესი ყოველთვის მტკიცნეულია, რა ხანგრძლივობისაც არ უნდა იყოს იგო.

აპოლონ უბირია დაღვრემილი სახით მიაბიჯებდა, გვერდით მოადგილეები, სამსახურების უფროსები, გენერალი ჯომარდიძე და პოლკოვნიკები მიყვებოდნენ, მლიქვნელთა დიდი წრე უკანა მხარეს იყო მიმდგარი. აპოლონის პირველი ცოლი ოთხი-ხუთი ადამიანის იქით მილასლასებდა განადგურებული და ცრემლებით გაშავებული სახით. გრძელფეხება „შაკალი“ ლიზი, როგორც ვახო ძინძიბაძემ მონათლა, არსად ჩანდა, ალბათ სპეციალურად ჩაიკეტა სახლში, თავი მოიავადმყოფა ან თიკოსთან გაქანდა ფრანგული კონიაკის დასალევად. ლიზის საერთოდ არ უნდოდა აპოს ყოფილ ცოლს თვალში მოხვედროდა, უხერხულად მოეწვენა დედის ცრემლებთან ვითომ დედინაცვლის ყალბი ცრემლები, ამდენი კი მოტვინა, საერთოდ ცბიერი და

მოხერხებული ჭკუა უხვად ჰქონდა მომადლებული. კოკა ვერაზე წმინდა პანტელეიმონის ეკლესიის გვერდით დაკრძალეს, მარჯვენა მხარეს, ტოტებ-გაშლილი ჭადრის ქვეშ. „იქაც კი პრივილეგიები აქვთ და ღმერთმა არ დააკლოთ“, – ჩაილაპარაკა მწარე ენით ცნობილმა მეზობელმა კოტე ფუფუნიაშ.

დაკრძალვის მთელი სამწუხარო პროცედურის დროს ღაულავა აპოლონი გაფითრებული იდგა, ერთი შეხედვითვე ჩანდა მომხდარს განიცდიდა, დანაშაულის სიმძიმე მხრებზე აწვებოდა, უბედურებაში საკუთარ თავს ადანაშაულებდა, გულის სილრმეში გრძნობდა, რომ საქმე ამ ტრაგიკულ დასასრულამდე მისი უყურადღებობით მივიდა, დედის წივილ-კივილზე თვალებს ხუჭავდა და სახეზე ხელებს იფარებდა, ალბათ სურვილი ჰქონდა ცრემლებიც გადმოეყარა, მაგრამ ვერ ახერხებდა.

დაკრძალვის შემდეგ თავვადომარის დამქაშები დადიოდნენ ხალხში, განურჩევლად ყველას პატიუებდნენ და რესტორანს უსახელებდნენ. გიგა მაჩაბელი ნაღვლიანად ფიქრობდა რომელი რესტორანი თუ სარიტუალო დაბაზი დაიტევდა ამდენ ხალხს, ან რა სინდისით უნდა წასულიყვნენ ახალგაზრდა ბიჭის ქალებში საჭმელად და სასმელად, რადგან გულში თვლიდა პატივისცემისა და მწუხარების გაზიარების გულწრფელი მიზნით ძალიან ცოტა ვინმე თუ წავიდოდა უნამუსობითა და უტიფარი ამბიციურობით ცნობილი დიდი თანამდებობის პირის სუფრაზე, თუმცა ხალხს აინტერესებდა რამდენად მდიდრული სუფრა

გაიშლებოდა, თართი და შავი ზიზილალა იქნებოდა თუ არა, ვინ იქნებოდა თამადა, ზოგი ძველი თბილისელი კი ფიქრობდა აუცილებელი იყო შესანდობარის შესმა და ჭამაც, რაც მათი აზრით აუცილებლად მიეგებებოდა უფლის ძალითა და განგებით მარადისობაში გადასულ პატარა ბიჭის.

ხალხის ტალღაში ძლიერს მიაღწიეს მოშორებით მდგარ მანქანებამდე.

- წავიდეთ, წინ დაბრძანდით გიგა,
- შესთავაზა ვახო ძინძიბაძებ გიგა მაჩაბელს.

– არა, მე ვერ წამოვალ, აგრ კიბეზე ჩავალ და ნელ-ნელა დავეშვები.

– რას ამბობ კაცო, აპოლონას გადახდილ ან უფრო ზუსტად მისი ხელქვეითების გადახდილ სუფრაზე როგორ არ წამოხვალ.

– არ შემიძლია ახალგაზრდა ბიჭის მწუხარების სუფრაზე წასვლა და სმის გაჩაღება.

– შენც თუ არ გინდა ნუ დალევ, დაჯექი და უყურე საზოგადოებას, აპოლონს მაინც ეცი პატივი.

– ერთი აპოლონის გათახსირებული დედაც და ცოლიც..., მაგის სუფრაზე წესიერი კაცი არ უნდა დაჯდეს, – გულიანად შეიგინა ქალაქის საბჭოს ყოფილმა თანამშრომელმა ოდარ ჭილაშვილმა, – თუმცა რა მაგის სუფრა, ყველაფერი მუქთად და არმად მიერთმევა, – წავიდეთ, გიგა, ძმაო, მეც წამოგყვები, შევიაროთ ჩემთან ბინაში, წესისამებრ შესანდობარი ავწიოთ, ცოცხლები ვადლეგრძელოთ, ასე გაცილებით აჯობებს ნაღდ ბალაგანში ყოფნას. გიგას და ნოდარის უარის

მიუხედავად ყველა მეზობელი მაინც ჩასტა მანქანაში და მანქანების ნიაღვარში ჩაინთქნენ. დარჩენილები გალის ქუჩისკენ მიმავალ კიბეს ჩაუყვნენ. ოციოდე საფეხური არ ჰქონდათ გავლილი და ნაცნობებიც წამოწიგნენ. აქ იყო ნანა მიქელაძე, მთელ თბილისში ერთ-ერთი ულამაზესი ქალი და ასეთივე ლამაზი ლეილა ჯორჯაძე მეუღლებთან ერთად. ყველანი კარგი ამხანაგები იყვნენ, ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ, დაბადების დღებსა თუ სხვა თბილისურ ღონისძიებებზე. ნოდარმა დამაჯერებელი ჭონით განაცხადა – ყველაზე ახლოს მე ვცხოვრობ, პეტრიაშვილის ქუჩის დასაწყისში, უმორჩილესად გთხოვთ, შვილებს გაფიცებთ არ გაინაზოთ, შინაურულად შევიდეთ ჩემთან სახლში, ორიოდე ჭიქა შევსვათ, გიგა მაჩაბელი უკვე დავითანხმე, ახლა ჯერი თქვენზეა, თან ქართულ წესებსაც დავიცავთ.

– ნოდარის ასეთ გულითად თხოვნას ხელს ნუ ვკრავთ, – განაცხადა ნანას მეუღლემ დავით ნიუარაძემ, – მე მგონი დაძალებას და დიდხანს დატოვებას ადგილი არ ექნება, თან მანქანა სწორედ პეტრიაშვილის ქუჩაზე დავაყენე, არა უშავს, მძღოლი ცოტა ხანს დაგველოდება.

ნოდარ ჭილაშვილის მეუღლემ სასწრაფოდ გაშალა სუფრა. აუცილებელი სადღეგრძელოები შესვეს, ულამაზესი სტუმრები მხოლოდ ნახევარი საათი დარჩნენ, ნოდარი და გიგა კი ისე გულიანად შეპყვნენ საუბარსა და სადღეგრძელოებს, რომ სამ საათამდე მეტი ისხდნენ სუფრასთან და იმ ზღ-

ვართან მივიდნენ, ერთმანეთს სიყვარულს ეფიცებოდნენ. კარგა გვარიანად შეზარხოშებული გიგა სახლში ფეხით წამოვიდა, ის იყო ეზოს შუაში თაღით შევიდა, რომ ზუსტად ამ ღროს ეზოში ათი-თორმეტი მანქანაც შემოგრიალდა, ახლო თუ შორი მეზობლები ხმაურით გადმოდიოდნენ მანქანებიდან, მწუხარუ სუფრიდან კი არა, გეგონებოდათ ქორწილიდან დაბრუნდნენ. ერთ ერთი მანქანიდან ვახო ძინძიბაძეც გადმოვიდა, გიგა შენიშნა და დაუბახა, მივიდა, მაგარი მთვრალი ლაპარაკის იშტაზე იყო მოსული, თან გიგა გადაკოცნა თითქოს დიდი ხანი გავიდა, რაც არ ენახა.

– მოდი რა, ცოტა გავიაროთ, მთვრალს მაინც არ დამეძინება, არ გაინტერესებს სად ვიყავით, რა ხდებოდა.

– ეჰ, რა ხდებოდა და უბედურება ხდება, ასე კარგავს საქართველო სისტემატურად თავის შვილებს, მიდიან ახალგაზრდები, მიდიან და რას ეწირებიან – ათასი სახის საწამლავს, ძველს თუ ახლად გაგონილს, ასე თუ გაგრძელდება კატასტროფულ შედეგს მივიღებთ. ღმერთმა არ ქნას ასეთი მდგომარეობა, მაგრამ სამწუხაროდ იქით მივდივართ, თან დაჩქარებული ტემპით.

– რას იზამ, ეს ცხოვრება მაინც ძველებურად გრძელდება, ოღონდ ძველზე გაცილებით უარესად. მოკლედ, ვიყავით დიღმის ტრასაზე მდებარე რესტორნის უზარმაზარ დარბაზში, ასევე გვერდითა დარბაზიც გადაჭედილი იყო, რესტორნის მენეჯერმა მითხრა ათას კაცს აღარაფერი აკლიაო. სუფრას დიდი აპოს მოადგილები თამადობდ-

ნენ, სასტიკად იყვნენ გატლეჭილები. გასაოცარი ის იყო, რომ ხალხი ყოველ-გვარი დაგვიანების გარეშე ზღვასავით მივარდა, ალბათ ყველას აინტერესებ-და როგორი სუფრა გაიშლებოდა. ის ნაბოზარი ლიზი ანუ გრძელებება „შაკალი“ იქაც არ ჩანდა, ალბათ ფრან-გული კონიაკით მიირთმევდა შესან-დობარს თავის ჩათლას მეგობრებთან და ზედ ნაზად აყოლებდა შავ ხიზ-ილალას. იმდენი ხალხი მივარდა დილომში, რომ მაგიდები სარდაფიდან ამოჰენდათ და გაუწმენდავად შლიდ-ნენ.

— საშინელება დაკანონდა, მმა ვახო, ამ ქელების სახით. ადრე დაუპატიჟე-ბლად ვინ იკადრებდა მისვლას, ახლა ერთი-ორი კი არა, ათობით და ასო-ბით მიდიან. ხალხი პანაშვიდზე თანა-გრძნობის გამოხატვის მიზნით ნაკლე-ბად მიდის, გასვენების დღეს კი ყველა ერთბაშად მოზღვავდება, ქელებზე დასწრებას დიდ აუცილებლობად და პატივისცემად თვლიან, ვინც სასა-ფლაოზე ინტებს წაბრძანებას, თითქ-მის ყველა ქელებსაც უნდა დაესწროს, ფეხებზე ჰკიდიათ დაპატიჟებულები არიან თუ არა, ჭირისუფალი დარიბია თუ მდიდარი, მთავარია კახურად რომ ვთქვა, მიგებების საბაბით ნებისმიერმა გაიჭირვოს და გაშალოს დიდი სუ-ფრა, ოჯახებიც ვალში ვარდებიან, ფულს უგროვებენ, სესხულობენ და მაინც იხდიან დიდ ქელებს. აი შენ ხომ ამ-ბობ ძალიან ბევრი ხალხი იყო და მეეჭვება ყველა დაპატიჟეს თუ არაო, პატიჟით ზოგადად კი პატიჟებენ, მა-გრამ ეს ხომ არ ნიშნავს უკლებლივ

ყველამ დაადოს თავი და სასმელ-საჭ-მელად გაემართონ. ერთ უტყუარ მა-გალითსაც მოვიყვან. ამ ცოტა ხნის წინ ჩემი მეგობრის, საყოველთაოდ ცნობილი მხატვრის ზურაბ მაჩაბლის მამა გარდაიცალა 99 წლის ასაკში, დიდი ხნის მანძილზე მასთანაც ვმეგო-ბრობდი, ზურაბთან ხომ მოგვარეობის გარდა ახლო მეგობრობა მაკავშირებს, ამიტომ აუცილებლად უნდა ვყოფილ-იყავი. სუფრა რესტორან „არაგვში“ გაიმართა. მე და ჩემი უახლოესი მე-გობარი ნოდარ ჩილუნიძე ერთად მივედით, ხალხი სწრაფად მიეშურე-ბოდა, ჩვენ ნელ-ნელა მივდიოდით, ან სად გვეჩერებოდა. შევედით და უზარმაზარი დარბაზი გადაჭედილი დაგვხდა, ადგილი კი არა ფეხის დას-ადგმელი აღარსად ჩანდა. ხუთას კაც-ზე დიდებული სუფრა იყო გაშლილი, მაგრამ მოხდა ისე, რომ სამასორ-მოცდაათი კაცი დაუპატიჟებლად მოვ-იდა. ხალხი სწრაფად და მადიანად ჭამდა, თითქოს ბრძოლის ველიდან იყვნენ მოსულები. დარბაზის მეორე ნაწილში სახელდახელოდ შლიდნენ სუფრებს, მაგიდები შემოჰენდათ. გაო-ცებულები და შინაგანად აღშფოთე-ბულები ერთ-ერთ ცარიელ მაგიდასთან დავსხედით. ცოტა ხანში მათხოვრე-ბივით თუ დამკვრელებივით მოგვიტანეს პური, ერთი გრაფინი ღვინო და რაღაც ნახმარი შესახედაობის ლანგეტი მოყავ-ისფრო კარტოფილის პიურესთან ერ-თად, რესტორანს ამდენი ხალხისთვის მარაგი არ აღმოაჩნდა, ორმოცდაათ კაცზე მომზადებული მარაგი კი სა-მასორმოცდაათ კაცზე ვერ გადანაწ-

ილდა. პირში ლუკმა არ ჩაგვიდევს, თითო ჭიქა შესანდობარი შევსვით და ჩუმად წამოვედით საღმე სადილობის მიზნით. ასეთი უმსგავსობა, ძალიან ხშირად ხდება, გახსენებაც კი არ მსია-მოვნებს.

— რასაც ლაპარაკობ თითქმის ასე იყო დღესაც. როგორც გავიგე სამწუხ-არო სუფრა ხუთას კაცზე გაეშალათ ასი კაცის მარაგის გათვალისწინებით, მაგრამ ხალხი მართლა ზღვასავით მოვარდა, აპოლონას ხელქვეითების დაპატიჟება ყველამ თავის თავზე მი-იღო და თითქოს საჭიროდ ჩათვალა დიდი თანამდებობის პირის სუფრაზე აუცილებლად მისულიყო. მიუხედავად წუთიერი უხერხულობისა მაგიდებიც გაჩნდა, ადგილებიც, საკუთარი თვალით დავინახე, საკუთარი მარაგის გარდა, როგორ ეზიდებოდნენ მეზობელი რე-სტორნებიდან სანოვაგეს დიდი კალათებით, აპოლონს ვინ გაუბედავდა რამეზე უარს, მერე თავისი ხელისბიჭი ჯომარდიძის საშუალებით ყველას ხომ ღვთის რისხვას დაატეხავდა თავზე.

— ასეა მმაო, ეს ცხოვრება მხოლოდ ძლიერებსა და მდიდრებს აქვთ მორგე-ბული, საწყალი და გაჭირვებული ხალხი ისევ საშინელ დღეშია, უკი-დურეს სიღატაკეში ცხოვრობს, მათ ვერასოდეს ვერ მოკითხავ რატომ გარ-ბის თუნდაც სხვის სუფრაზე დაუ-პატიჟებლად, უნდა გემრიელი საჭმე-ლი მიირთვას, თან ნახოს როგორ ცხ-ოვრობენ მდიდრები და ე.წ. მაღალი ფენის საზოგადოებაშიც გაერიოს, ასე უსამართლოდ იყო შექმნილი და ახლა მითუმეტეს უსამართლოდაა მოწყობილი

ეს საწამლავივით წუთისოფელი.

— ეჭ, რას იზამ, ყველაფერი ძველე-ბურად გრძელდება, მდიდარი და ნაღ-დი ქურდი გალაღებულია, ღარიბი კიდევ უფრო გაღარიბებული და საშინელი უთანასწორობისაგან სა-სოწარკეეთილი, მისი მომავალი ლუკ-მა-პურის შოვნაა და თვიდან თვემდე სამარცხინო პენისის მოლოდინი, ან კიდევ უფრო მათხოვრული დახმარებ-ის დროის დადგომის ცდა. რაც ამჟა-მად პენისაა დაწესებული, ადამიანმა ნორმალურად რომ იკვებოს, ერთი კვირა თუ ეყო, ესეც დიდი ამბავია, ხალხი დასალუბად არის განწირული, ყველა მთავრობა და მთავრობის წევრები საკუთარი ცხოვრების უსაზღვროდ მაღალი დონის მოწყობაზე ფიქრობენ, უზარმაზარი ხელფასების მქონენი კიდევ უფრო დიდ დახმარება-პრემიე-ბს იწერენ, მთავარია ოჯახი იყოს ყვე-ლაფრით უზრუნველყოფილი, შვილებს, შვილიშვილებს და ჯერ ქვეყნად არ-მოვლენილ ბავშვებს მილიონებს და მილიარდებს უტოვებენ, ხალხი კი შიმ-შილით სულს ღაფავს. კარგად რომ ჩაუღრმავდეს ვინმე და რეალურად შეის-წავლოს საკითხი, დღევანდელი მძიმე გაჭირვების დროსაც კი საქართველო-ში ათი-თხუთმეტი მილიარდერი და ხუთასამდის მილიონერი მაინც იქნება, ამ დროს კი სიღატაკის ზღვარმა ლამის სამოცდაათ-ოთხმოც პროცენტს მიაღ-წიოს. ასეთ დროს უდიდესი ფინან-სური სახსრების ათობით თანამდებო-ბის პირის ხელში მობილიზება, ძალიან დიდი დანაშაულია.

გვიან ღამემდის იარეს და ილა-

პარაკეს, ორივე გვარიანი მთვრალი იყო, რაც უბიძგებდათ მთვრალი კაცის ულოგიკო საუბარში გაელიათ დრო. გიგა მაჩაბელი გვიან ავიდა ბინაში, ოთხი-ხუთი საათი თუ ეძინა, დილით დანიშნულ დროს მაღვიძარას გაბმულ წკარუნზე ადგა, მოემზადა და სამსახურში წავიდა, ბევრი შეხვედრა ჰქონდა დანიშნული და ვერაფრით ვერ გააცდენდა. მისაღებ ოთახში შევიდა თუ არა დაინახა ვიღაც მაღალი სიმპათიური აზალგაზრდა კაცი ფანჯარასთან იდგა და ელოდებოდა.

— მე ხომ არ მელოდებით, — წესი-სამებრ ჰკითხა გიგა მაჩაბელმა.

— დიახ, ბატონი გიგა, თქვენ გელო-დებით, ბოდიშს ვიხდი, რომ ასე დი-ლაადრიანად გაწუხებთ.

— არაუშავს, მოპრძანდით, ოთახში ვილაპარაკოთ, — თან გაიფიქრა ჩემი სახელიც სცოდნია, ნეტავ რა საქმეზეა მოსული, დროზე უნდა მოვრჩე, თორემ დაბარებულები მოვლენ და მერე ვეღ-არ მოვიცლიო. ოთახში ფართო მაგი-დასთან მოკალათდა და მოულოდნელ სტუმარსაც დაჯდომა შესთავაზა.

— გისმენთ, ამ დილაადრიან ტყუი-ლად არ შეწუხდებოდით

— დიახ, აუცილებელმა საქმემ ანუ გაჭირვებამ მომიყვანა თქვენთან, თან სოხუმიდან ჩამოგიტანეთ ზებო შათაშ-ვილის წერილი.

— მართლა, — სახე გაუნათდა გი-გას, — რას შვება, როგორ არის, ოჯახი როგორ ჰყავს?

— საერთოდ ყველაფერი არის ძალიან ცუდად, აუტანლად, იგივე დღეშია ზებოც. ამასობაში გიგამ ზებე-

დეს წერილიც გადაშალა:

„ჩემო საყვარელო მმაო გიგა, ყვე-ლას ძალიან მოგვენატრე, მაგრამ ნახ-ვის და მოფერების არავითარი საშუ-ალება არ არსებობს. აქ საქმე ძალიან მძიმედ არი, ცხოვრება აუტანელი გახ-და, ყოველი დღე შიშით იწყება და შიშით მთავრდება. მეც კი ვინც ოც-დათხუთმეტი წელი ვიცხოვრე სოხ-უმში და ასე თუ ისე მთელი აფხაზე-თი მიცნობს, ვეღარ ვახერხებ გაძლე-ბას, ყოველდღე სიკვდილს ჩემმა მტერმა უცქიროს თვალებში. თუ არაფერი გვეშველა, მალე ჩამოვალ თბილისში. ამ წერილს ვატან ჩემს ახლო მეგობარს, შენს სრულ სეხნიას გიგა მაჩაბელის“, გაოცებულმა გიგამ თავი ასწია, წა-მოდგა და კიდევ ერთხელ თბილად ჩამოართვა ხელი წყნარად მჯდომ კაცს.

— ეს რა წავიკითხე მოულოდნელად, მართლა გიგა მაჩაბელი ხართ? როგორი დამთხვევაა.

— კი ნამდვილად გიგა მაჩაბელი ვარ.

— საიდან ხართ წარმოშობით, სად არის თქვენი ძირი.

— წარმოშობით ცხინვალთან ახ-ლოს მდებარე სოფელ თამარაშენიდან ვართ. პაპაჩემი ვანო მაჩაბელი ცნო-ბილი ფარმაცევტი იყო. ათასცხრაას-ოცდაშვიდ წელს ის გადაუყვანიათ აფხაზეთის სააფთიაქო ქსელის მმართველად, ამ კუთხეში ფარმაცევტუ-ლი საქმიანობის განმტკიცებისა და თანამედროვე მეთოდების დანერგვის მიზნით. მას შემდეგ სულ აფხაზეთში ვცხოვრობდით, სამწუხაროდ ამ ბოლო ტრაგიკულ მოვლენებამდე, სანამდის

რუსეთმა ქართველი და პატარა აფხაზი ერი არ გააუბედურა.

მასპინძელმა გიგა მაჩაბელმა ზებოს წერილის კითხვა გააგრძელა. . .

„ეს გიგა მაჩაბელიც ჩემი ახლო მეგობარი და საყვარელი ადამიანია ისე როგორც შენ, ჯერ ათწლიანია ეს მეგობრობა, მერე კი რჯულის მადლმა, იმედი მაქვს სულ მოიმატებს და მოიმატებს. ახლა ჩემო გიგა, შენ როგორც ადამიანების მოყვარულ დიდ პიროვნებას გთხოვ: სოხუმელი გიგა მაჩაბელი იძულებულია ცოლით და სამი შვილით თბილისში წამოვიდეს, მანდ ნათესავები და ნაცნობები ნაკლებად ყავს, ჩემსავით სულ სოხუმშია ნაცხოვრები, თუ ძალიან გაუჭირდება და ვერაფერს მოახერხებს, მაშინ მოვა შენთან და ძალიან გთხოვ შენებურად, კაცურად დაეხმარე, კიდევ ერთი მადლიანი საქმე გააკეთე. მეც მაღე გამოვიქცევი სოხუმიდან და გნახავ. შენი ძმა ზ. მ. შათაშვილი“.

— გიგა სოხუმელო, რა მოხდა, რა გაგჭირვებია ასეთი, თანაც წერილი დაწერილია ოორმეტ რიცხვში, დღეს ცხრამეტია, ამდენ ხანს რატომ არ მოხვედი თუ რაღაც მმიმე გაჭირვებაში იყავი ჩავარდნილი, ვერ მიპოვე თუ რა იყო?

— როგორ ვერ გიპოვნიდით, მაგრამ ვფიქრობდი იქნებ ჩემით მომეგვარებინა საქმე და აღარ შემეწუხებინეთ ისედაც უამრავი საქმით დატვირთული. ჩამოვედით რაღაც ფანტასტიკური წამების შემდეგ. წასასვლელი არსად გვქონდა, იძულებული ვიყავი დედა, მეუღლე და სამართლის მეგობრულად, ნათესაურად მიგვიღებდნენ, მაგრამ სამწუხაროდ ასე ოდნავადაც არ აღმოჩნდა. სინამდვილემ სულ სხვა სურათი დამანახა, დავრჩით ქუჩაში.

სადგურში დამეტოვებინა, მე კი საძებნელად, ანუ თავშესაფრის მოსაპოვებლად წამოვედი. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი რომ საწყალ ლტოლვილებს მეგობრულად, ნათესაურად მიგვიღებდნენ, მაგრამ სამწუხაროდ ასე ოდნავადაც არ აღმოჩნდა. სინამდვილემ სულ სხვა სურათი დამანახა, დავრჩით ქუჩაში.

— ახლა სად არის შენი ოჯახი?  
— სად იქნებიან, ვერაფერი ვერ გავაკეთე, დედა, მეუღლე და ორი გოგონა სადგურში არიან, ხმელ სკამლოგინებზე სძინავთ, კიდევ კარგი იქიდან რომ არ ვერეცებიან, იმდენი ლტოლვილია, მსგავს საქმეს ვერ ბედავენ, უბედური ხალხის აბუნტების ეშინიათ.

— როგორ, რას ამბობ, ერთი კვირა სადგურში არიან?

— კი იქვე ჭამენ, იქვე ვითომ იპანენ, იმდენი ფული არ ჩამომყვა სადმე სარდაფი მაინც დამექირავებინა, ასეთი უბიდურესი გაჭირვების გამო მოვედი თქვენთან, შეგაწუხეთ, ახლა სასტუმრო „ივერიაში“ ნაწილდება ოთახები, იქნებ ვინმე ნაცნობი გყვდეთ, რომ ამ საშინელ განსაკდელს გადამარჩინოთ, თქვენ მთელი საქართველო გიცნობთ, ყველგან ანგარიშს გიწევენ, იქნებ ჩვენც გადმოგხვდოს ღმერთმა მოწყალე თვალით.

— ამ გადაუდებელი საქმის მოგვარებას დღესვე შევუდგები, რაც არ უნდა მოხდეს, ქაც რომ გავხეოქო მაინც რამეს გავაკეთებ. მანამდის ჩემი მეუღლის დედის ბინა ხშირად თავისუფალია, უფრო მეტად ჩვენთან არის, საკუთარ შვილიშვილებს თავს დასტრი-

ალექს.

— აჰ, ასე ვერ შეგაწუხებთ, ოთახის საქმე რომ არ გამოვიდეს იქ ხომ ვერ დავრჩებით.

— მოწესრიგდნენ, იბანაონ, ადამიანურად შეჭამონ, ამასობაში რამეს გავაკეთებთ.

ტელეფონით დაურეკა მძღოლს — რამდენ ხანში შეგიძლია მოხვიდე? კარგი ნახევარ საათში გელოდები.

— სანამ მანქანა მოვა, მომიყევი სად და როგორ დაუახლოვდი ჩემს ძმაკაც ზებოს და კიდევ ერთხელ რა კატასტროფა ხდება სოხუმში.

— მე მუსიკოსი ვარ, საგუნდო-სადირიჟორო სპეციალობის განხრით დვამთავრე თბილისის კონსერვატორია, უკვე ოცდაერთი წელიწადია, რაც სოხუმის მუსიკალური ტექნიკუმის დირექტორი ვარ, ანუ ვიყავი, ახლა ყველაფერი მინგრუელ-მონგრუელია. ზებოს გოგონები ესთერი და ზორა ჩვენთან სწავლობდნენ, ორივემ წარმატებულად დაამთავრა ტექნიკუმი. განვლილი წლების მანძილზე ამ საოცრად ყურადღებიან კაცს ძალიან დავუახლოვდი, მასაც განსაკუთრებით შევუევარდი, ახლა კი ვხვდები რატომ. ისე ხშირად მიყვებოდა თქვენს შესახებ, მეუბნებოდა ამ სახელისა და გვარის მატარებელი კაცი როგორ შეიძლება არ მიყვარდო. უამრავი დახმარება გაგვიწია, მის მიერ გადმორიცხული თანხით შევიძინეთ საუკეთესო როიალი და სხვა აუცილებელი მუსიკალური ინსტრუმენტები, ის კი არა ტექნიკუმის სტუდენტებისათვის ძალზე საჭირო სასა-დილოც ზებედ მაისევიჩის თაოსნობი-

თა და დიდი დახმარებით გაიხსნა. სამი წლის წინ რემონტის ჩატარებაშიც დიდად დაგვეხმარა. რაც შეეხება სოხუმს, ახლა იქ რუსეთისა და მისი ცნობილი „გრუ-ს“ უშუალო ჩარევითა და ყოველდღიური აქტიური მონაწილეობით ნამდვილი ჯოვანხეთი ტრიალებს, ჭურდობა, ყაბალია, წართმება, მკვლელობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, როდესაც პურის საყიდლად მიწევდა გასვლა ან უსაშველოდ გაძვირებულ ბაზარში რაიმე აუცილებელი პროდუქტის საყიდლად შევლა, შიშით სულ აქეთიქით ვიყურებოდი, რომ არავის ესროლა, შემთხვევით ან განზრას არ მოვეკალი, თანაც მე, ვისაც არავისთან ჩხუბი კი არა ოდნავ კამათიც არ მომსვლია. აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს სისხლხორცულ ნაწილად მიმაჩნდა, ჩემს უპირველეს სამშობლოდ ვთვლიდი, აფხაზური ფოლკლორის ნიმუშებს თვალისწინივით ვუფრთხილდებოდი და ჩემს მეგობარ იულონ მარღანიასთან ერთად ყველაფერს ვაკეთებდი მისი ფართო პოპულარიზაციის მიზნით. საშინელი უნდობლობაა გამეფებული მთელს აფხაზეთში რუსეთის მზაკვრული მიზნების ცხოვრებაში დანერგვით, ერთ მხარეს აფხაზები, სომხები და ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენლები დგანან, მეორე მხარეს კი მგონი მხოლოდ ქართველები, რუსულმა პროპაგანდაში ბევრი გააერთიანა ძალით თუ მატერიალური დაინტერესებით. გაძარცვა-გაუბედურებას ვერავინ ვერ გადაურჩა, ყველას ულმობლად გადაუარეს, რაშიც ქართველი „პატრიოტებიც“ დიდი გატაცებით

მონაწილეობენ, საქართველოს იმდენი წარმომადგენელი მოროდიორობს, ყველას რომ წესიერად ებრძოლა, ალბათ, საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე არ დაიკარგებოდა.

ამ ცოტა ხნის წინ, კერძოდ სექტემბრის პირველ რიცხვებში, მეტის-მეტად ანერვიულებული და ცრემლებამდე აღელვებული ზებო მომიევა: იმის გამო, რომ პატრონი აღარავინ ჩანდა, აღარც მილიცია, აღარც „კაგებე“, აღარც ჯარი, პირადი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სამი ჯანიანი ახალგაზრდა დაუქირავებია, ფულს აძლევდა, ასმევდა, აჭმევდა, რომე მეტი ერთგულება გამოეჩინათ, არ ეღალატათ. ამის გამო შედარებით მშვიდად ემინა მასაც და ცოლშვილსაც, მაგრამ თურმე სად ხარ. ისეთი საშინელი დრო დადგა ქვეყანაში, ანუ უნდა ვიგულისხმოთ აფხაზეთში, დაცვაც ვეღარაფერს შველის, გამდის დაცვასაც დაცვა სჭირდება. სწორედ სექტემბრის თვის დასაწყისის ერთ კოცისპირულ წვიმაში ჩამკვდარი დამის დროს ექვსი ბიჭი მივარდნილა ზებოს ბინასთან, დაცვის სამიევ წევრი დაუჭრიათ ფეხებში, მერე შეუკრავთ და დაუყრიათ, შეცვენილანოთახებში, ზებო სასტიკად უცემიათ, მეუღლისა და გოგონებისთვის დიდი შეურაცხყოფა მიუყენებიათ, თან მაცი-კარში ჩაციებული კონიაკებით, ბოდიში ამგვარი გამონათქვამისთვის, დახეთქილა, ანუ დაცემამდის დამთვრალან, ერთ დაბალი ტანის თავდამსხმელს ნიღბად აფარებული შავი ნაჭერი ჩამოვარდნია, თუმცა ისეთი უგონი მთვრალი ყოფილა აღარც აუფარებია, წაუ-

ღიათ უამრავი სიმდიდრე და წასულან. ზებომ მითხრა, მართალია სისხლით და ცრემლებით მქონდა სავსე თვალები, მაგრამ ის ერთი უნიღბო თავდამსხმელი მაინც სამუდამოდ დამამახსოვრდა, მიწიდან რომ ამოვთხარო და ძებნა მილიონებიც რომ დამიჯდეს მაინც უნდა ვიპოვნო და ყველაზე სასტიკი წესით ვაზლვევინო, ან ჩემი ხელით ვაწამოო, თან ყველა ქართულად ლაპარაკობდა და ეს უფრო მეტ ტკივილს მაყენებდაო. კაცს ვისაც ჭიანჭველისთვისაც კი არ დაუდგამს ფეხი, ისე გაამწარეს და გააუბედურეს, უკვე ადამიანის მოკვლაზე ფიქრობს, ამ საშინელებით სავსე ცხოვრებამ ადამიანებიც გაამხეცა, დანდობა აღარ არსებობს, მიმტევებლობა კი სასაცილო სიტყვად იქცა, წარმოდგენაც შეუძლებელია რა გვეშველება.

— ძალიან სამწუხაროა მაგ ამბის მოსმენა, არ მეგონა თუ სიკეთითა და ხელგაშლილობით ცნობილ ზებოს ამდენს გაუბედავდნენ, მაგრამ როგორც ჩანს, ადგილობრივები არ იქნებოდნენ, საშოვარზე ჩასული მოროდიორები უნდა ვიგულისხმოთ.

— ზუსტად ასე უთქვამთ ზებოსთან მისულ ძმაკაცებს, მათ შორის რამდენიმე სოხუმელი ეგრეთწოდებული კანონიერი ქურდიც ყოფილა, ამ მეორედ მოსვლის დროს ვერავის ვიპოვნით, კიდეც რომ ვიპოვოთ, შელაპარაკების შემთხვევაში, მთელ ჯარს მოგვისევენ და ყველას გაგვანადგურებენო. ისიც უთქვამს — ახლა ყველაფერს მხედრიონს აბრალებენ, თუმცა მხედრიონს ყალბი ერთგულებით მიწებებულები

უარესს შვებიან, მათ სახელსაც ფეხებზე იკიდებენ და საქართველოს სახელსაც, მხედრიონს განმასხვავებელი სპეციალური ნიშანიც ჰქონია ყელზე ძეწვით ჩამოსაკიდებელი, ეს ნიშანიც გაუყალბებიათ, ანუ მსგავსი დაუმზადებიათ, ახლა საჭიროების დროს ყელზე იკიდებენ და უსასტიკეს თარეშს იწყებენ, ვინ შეძლებს, ვინ ალაგმავს ასეთ საშინელ ვითარებას, ასეთ შერეკილ ხალხთან ჩვენ საქმეს ვერ დავიჭეროთ.

ამ ლაპარაკში მძღოლმაც შემოიხედა, მოვედი, დაბლა ვიქებიო, თქვა. აბა წავედით სეხნია, — მიმართა სოხუმელ სტუმარს, თუმცა ორი წუთიც მოგაცდენ, ახლავე მოვალ. მეორე ოთახში გავიდა, რომ მოულოდნელ სტუმარს ლაპარაკი არ მოესმინა. მეუღლეს დაურეკა: ქეთი, სოხუმიდან ჩამოვიდა ძალიან ძვირფასი, პატივსაცემი ხალხი, თან ოჯახის უფროსი, შენ წარმოიდგინე გიგა მაჩაბელია. დედა საქმის კურსში ჩააყენე, ბუნებრივია, თან თხოვე და ბოლიშიც მოუხადე, უთხარი ორი ან ყველაზე მეტი სამი დღით სტუმრებს მოიყვანს, მალე კი სასტუმროში გადავლენ-თქო. ახლა რომ ამათ დროებით მოწყობაზე ვითიქრო ქალაქის რომელიმე სასტუმროში, ალბათ ძალიან გამიჭირდება, ყველა სასტუმრო გადაჭიდილია. მეორე თხოვნაც მომისმინე, სადილად რაც კი გვაქვს, ყველაფერი ჩამილაგე, რაც არ გვაქვს როგორმე იყიდე, რომ სამ დიდს და სამ პატარას ეყოს, მე ახლა გამოვივლი, გასაღებს ავიღებ, მერე წავალთ სადგურში და წამოვიყვანთ იმ საცოდავებს, ერთ კვი-

რაზე მეტია ხმელ სკამლოგინებზე წვანან დაუბანელები, თან პურითა და ყველით სადილობენ.

ათიოდე წუთში მოკლე საქმიანი განმარტებისა და ბინის გასაღების ჩაბარების შემდეგ, საღვურისაკენ წავიდნენ. ისედაც ყოველთვის ხალხმრავალი სადგურის დიდი დარბაზები ხალხთ იყო გადაჭედილი, ზოგი იჯდა, ზოგი იწვა, ემინათ, ბავშვების გუნდი აქთიქით დარბოლა, მძიმე სუნი იდგა. სოხუმელი გიგას ოჯახი ერთმანეთს მიღმულ ორ სკამზე მოთავსებულიყო, ხის საგარძლის საზურგებზე ბავშვების სარეცხიც იყო მიუენილი, ეტყობა როგორლაც ბავშვებისთვის გამოცვლა და გარეცხვაც მოახერხეს. გიგა მაჩაბელს გული მოუკვდა ძელსკამზე ბელურებივით მობუზული ქერაომიანი, ერთი შეხედვით ლამაზი ბავშვების დანახვაზე. სოხუმიდან ძალით ლტოლვილები გაიცნო, მოეფერა, თბილი სიტყვები უთხრა, დაიმედებას შეეცადა, მერე რადგან საკმაოზე მეტი ბარგი ჩანდა, მძღოლი გაგზავნა და ურიკიანი მებარგული მოაყვანინა. ბარგით გაიტენა მანქანა, ბავშვები და დედა ძლივს მოთავსდნენ, მეორე მანქანაც დაიქირავა, რომ დიდებიც ჩამსხდარიყვნენ. მალე მივიდნენ ვაკეში, მეუღლის ყოფილ ბინაში, სადაც თვითონაც ნორმალური ბინის მიღებამდე მთელი ათი წლის განმავლობაში ცხოვრობდა, ბარგი აზიდეს მეოთხე სართულზე, ბინის კარები გააღო და მოულოდნელი სტუმრები შეიპატიუა. გაოცებული ქალები წამდაუწუმ ილოცებოდნენ, უაღრესად ზრდილობიანი და ზედმიწევნით ინტელიგენ-

ტი სოხუმელი მოგვარეც ბოდიშების მოხდას ვეღარ ასდიოდა. ცოტა ხანსაც ილაპარაკეს, მალე გიგა მაჩაბელმა წამოსვლა დააპირა, უნდოდა ოჯახი მარტო დაეტოვებინა, რათა თავი შებოჭილად არ ეგრძნოთ, სტუმრებს უთხრა ხვალამდე დაისვენეთ, მე ყველაფერს დავაზუსტებ და გნახავთო. მერე ოჯახის უფროსებს საჭირო ტელეფონის ნომრები ჩააწერინა და წამოვიდა. სოხუმელმა გიგამ გამოაცილა.

— არ ვიცი პირდაპირ რა ვქნა, მადლობა როგორ გადაგიხადოთ, ამხელა ყურადღებით დაბრუული ვარ.

— რას ქვია დაბრუულობა, ეს ჩვენი ადამიანური მოვალეობაა, ასე რომ არ იყოს, საერთოდ დავიღუპებოდით. დარწმუნებული ვარ მე რომ გამჭირვებოდა, შენ ჩემზე მეტს გააკეთებდი, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ მაჩაბლები ვართ.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, თქვენზე მეტს ვერა, მაგრამ თავს კი დავდებდიო.

— ჰოდა მეც მინდა თავის დადება. ახლა ორი რამ, პირველი თქვენობით ნუდა მელაპარაკები და მეორე, ფულს დაგიტოვებ, ბავშვებს რამე რომ დასჭირდეთ შეგიძლია ჩახვიდე და ამოიტანო, აქვე რამდენიმე მაღაზია განთავსებული.

— დიდი მადლობა, მაგრამ ფულს ვერ ავიღებ, ამ გაჭირვების პერიოდში მეტს ვეღარ დაგაზარალებთ, არაფრით არ გამოგართმევთ.

— რას ქვია არ გამომართმევ, თუ რამდენ ხელს გიშლის, ჩვეულებრივად

შეგიძლია ვალად ჩათვალო და სოხუმში როცა დაბრუნდები მერე გადამიხადო.

— ასე როგორ შეიძლება, ძალიან გვანებივრებთ, ოღონდ სოხუმში დაბრუნება მელირსოს, რაც რუსების ხელში ზღაპრად მეჩვენება, თანხას დაგიბრუნებ კი არა თან გადაგყვებით.

— ჰოდა, ახლა ჩემი რიგია, ამიტომ აჯობებს მე დამიჯერო, აბა თქვენ იცით, აუცილებლად დაგირეკავთ, თუ რამე დაგჭირდეთ დამირეკეთ, ხვალ მოვალ.

სახლში დაბრუნებული გიგა მაჩაბელი გამუდმებით თავის მოგვარეებზე ფიქრობდა, რა დღეშია ხალხიო, ხშირად სიმწრით ჩაილაპარაკებდა, მთელი საღამო და ღამეც სულ მათზე ფიქრობდა, მეგობრებს ურეკავდა, სხვათა აზრის გაგება აინტერესებდა, ეკითხებოდა ხომ არავის იცნობდნენ, ვისაც დახმარება შეეძლო, ათობით მოსაზრებას აჯერებდა, ფიქრობდა რომელი უფრო რეალური ვარიანტი იქნებოდა. დილით სამსახურში ბევრი ფიქრისაგან დაღლილი მივიდა, იქაც ახლობელ თანამშრომლებს ეკითხებოდა ვის შეეძლო ამ საქმის გაპეთება, უგულოდ გამოყრილი უმწეო ოჯახის დაბინავება. ნოდარ ჩიღუნიძემ უთხრა: შე კაი კაცო, რას ეძებ ამდენს, შენი ყოფილი თანამშრომლის და მეგობრის ლიკა მხეიძის ქმარი ამხელა თანამდებობაზე მუშაობს, მინისტრია, მაგას ნამდვილად შეუძლია დახმარებაო. — აუკ სულ გამომრჩა, ახლავე წავალ, ცოლს გავუგზავნი და ის უკეთ ეტყვისო. მალე ძველ სამსახურში მივიდა, მყუდრო ოთახში სამი ახალგაზრდა ქალი მუშაობდა, გახარებული ლიკა

წამოხტა და გიგა რამდენჯერმე გადაკოცნა.

— რამდენი ხანია აღარ მოსულხართ, სულ დაგვივიწყეთ, ასე როგორ შეიძლება, — საყველურით შეხვდა ლიკა, — მაღალი, ლამაზი, საოცრად მომხიბლავი ახალგაზრდა ქალი.

— ძალიან ბევრი საქმე მქონდა და ვერაფრით ვეღარ მოვედი, ძალიან კი მინდოდა.

— მართლა რომ გდომოდათ, როგორმე მოახერხებდით მოსვლას, ფეხით ხომ არ დადიხართ, — საყველურობდა ლიკა ყოფილ უფროსს, — ახლა კიდევ სადმე ხომ არ მიბრძანდებით უცხოეთში?

— ისეთ ადგილას შენ რომ გაგიხარდეს არა, მოსკოვში მივდივარ შეხვედრაზე, იქიდან ვარმავაში. დღეს ხომ პირველი რიცხვია, შვიდში საღამოს უნდა წავიდე, ამიტომ ძალიან ვჩქარობ ჩემი გაჭირვებული სტუმრების სადმე დაბინავების საკითხის გადაწყვეტა მოვახერხო.

— რაშია საქმე, რომელ სტუმრებს აბინავებთ?

— სოხუმიდან ძალიან დიდი გაჭირვებით ჩამოვიდნენ ჩემი ახლობელი ადამიანები, თანაც ოჯახის უფროსი გიგა მაჩაბელია, ეს თითქოს კიდევ უფრო მეტად მავალდებულებს. ექვსი სულია, სამი პატარა საცოდავი ბავშვი, ერთ ოთახში ვერ დაეტევიან, თორემ რამეს მოვახერხებდი, სამი თუ არა, ორი აუცილებლად მაქს საშოვნელი, იქნებ შენი ძვირფასი მეუღლე დაგვეხმაროს, ან უარს როგორ გავიბედავს, შენნაირი ლამაზი ცოლი რომ მყავდეს, მეც არავ-

ითარ შემთხვევაში უარს არ ვეტყოდი.

— ჰო, ჰო, ჰო, ცოლი კი გყავთ ლამაზი, თუმცა ბევრი მამაკაცივით სხვაგანაც გაგირბით თვალები, ეს ხუმრობით, ახლა კი კარგ რამეს გეტყვით, ჩემს ქმარს რომ ვთხოვო, მაინც მაგათ უნდა უთხრას, თქვენ კი ყოველგვარი თხოვნების გარეშე შეგიძლიათ გაკეთება, — ლიკა პატივისცემის ნიშნად უკვე სხვა სამსახურში გადასულ ყოფილ უფროსს მაინც თქვენობით ელაპარაკებოდა, — თანაც თქვენ უფრო გაგიკეთებენ ვიდრე ჩემს ქმარს. ახლავე გეტყვით, ქალაქის საბჭოში შეუქმნიათ ლტოლვილების მიღება-განაწილების განყოფილება თუ კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს კიდევ უფრო ადრეული სამსახურიდან თქვენი თანამშრომელი თუ ხელქვეითი გივი ჯანელიძე, ეს კიდევ არაფერი, ერთ-ერთ მოადგილედ თქვენი კარგი ნაცნობი და თაყვანისმცემელი ფარიდა ასოევა დაუნიშნავთ, რომელიც დიდი ხანია გეტრივით და მგონი თქვენც არ ხართ მისდამი მთლად გულგრილად განწყობილი, — ქალური ეჭვები გადმოაფრქვია მშვენიერმა ლიკამ.

— უკ შენ რა გითხრა, რამდენი რამე გცოლნია, მე ეს ხალხი საერთოდ აღარ გამსხენებია, ახლა ავდგები და რახან ქალაქის საბჭოსთან ძალიან ახლოს ვიჭყოფებით, გადავალ, ჩემს ძვირფას ნაცნობებს მივადგები, ძალიან კი მეზარება, მავრამ სხვა გზა ჯერჯერობით ვერ ვიპოვე.

ლიკა მხეიძემ ჩასასვლელ კიბეებამდე მიაცილა ყოფილი უფროსი, იქ დატმშვიდობა, რამდენჯერმე გადაკოცნა,

თან ჩასჩურჩულა – ძალიან მიყვარხართ, ძალიან. შინაგანად აღელვებული გიგა მაჩაბელი ნელი ნაბიჯებით მიღიოდა ქალაქის საბჭოსკენ, თან ფიქრობდა, როგორ შეხვდებოდა ფარიდა, რომელიც ორი-სამი თვე აღარ ენახა, უყურადღებობა კი კარგად იცოდა ქალებს ძალიან აღიზიანებდათ, მიტოვების გარდა ყველაფერს აპატიებდნენ კაცს.

ფარიდა ასოევა გიგას სამსახურის გვერდით, დიდ და ფართო ეზოს მარჯვენა ნაწილში მდებარე საქართველოს მინისტრთა საბჭოს ტიპოგრაფიაში მუშაობდა. მრავალი წლის მანძილზე გიგას ახლო ამხანაგი კარლო სარჩიმელია განაგებდა ამ არც ისე დიდ სტამბას. გიგას ხშირად უხდებოდა ტიპოგრაფიაში გადასვლა, ხან ქაღალდი იყო საშოვნი, ხან მუყაო, ხან წებო, ხან მასალის დაბეჭდვა სჭირდებოდათ. ქუთაისში დაბადებული და გაზრდილი სარჩიმელია ამ უმცელეს ქართულ ქალაქში მყარად ფეხმოკიდებული ჩვეულების თანახმად გულლიად, ხმამაღალი საქებარი სიტყვებით და ფართოდ გაშლილი ხელებით ეგებებოდა გიგას, ამხანაგსა და ახლოს მდგარი ცნობილი დაწესებულების ხელმძღვანელს. ყოველთვის ასე იყო, მარტო გიგას კი არა, მის თანამშრომლებსაც პატივისცმით ხვდებოდა, განსაკუთრებით ულამაზეს ლიკა მხეიძეს, რადგან კარგად იცოდა მის მეუღლეს ძალზე საპასუხისმგებლო პოსტი ეკავა და ისიც კარგად იცოდა, რომ მინისტრთან საქმეზე მისვლა აუცილებლად დასჭირდებოდა, ამიტომაც თადარიგსაც

ადრიანად იჭერდა. ალბათ, ამითაც იყო გამოწვეული, რომ გიგა მაჩაბელი რაიმე საქმის დროს თითქმის ყოველთვის მშვენიერ ლიკა მხეიძესთან ერთად გადადიოდა, კარლოც ყოველთვის თბილ შეხვედრასთან ერთად საალერსო სიტყვებსაც არ იშურებდა. დაახლოებით ერთი წლის წინ კარლომ ანუ კარლოსმა, როგორც გიგა მაჩაბელი ხუმრობით ეძახდა, თავისი თანამშრომელი გააცნო. გიგა ამ დროს ლიკასთან ერთად დაბეჭდილი მასალის წამოსალებად იყო მისული.

— გაიცანი გიგა ჭირიმე, ეს არის ჩვენი ახალი თანამშრომელი, გამოცდილი და კარგი გოგო ფარიდა ასოევა, საბეჭდი ცეხი ამას აბარია და ბუნებრივია, ხშირად დაგჭირდება. ხოდა ეს ჩემი მეგობარი კაცი აი, ამ ორგანიზაციის უფროსია, — თითო გაიშვირა გვერდით მდგარი შენობისაკენ, — ქალბატონი ლიკა კი მისი მთავარი რევერენტია, მე თუ გასული ვიქნები ამ პატივცემულ ადამიანებს პირველ რიგში გაუკეთე, რაც დასჭირდებათ.

გიგამ საშუალო ტანის სიმპათურ ახალგაზრდა ქალს ხელი ჩამოართვა, თან კითხა: ქართულს მშვენივრად ლაპარაკობთ, წარმოშობით სომეხი ბრძანდებით?

— როგორ გეკადრებათ, სომეხს რა მიგავს, იუზიდი ვარ, — ისეთი ნაწენი ხმითა და თან ისეთი სიამაყევარული ტონით განაცხადა ფარიდამ თითქოს სულ მინიმუმ ფურანგი ან ინგლისელი იყო, — ჩემი წინაპრები ორი საუკუნეა საქართველოში ცხოვრობენ და ქართული ენა მშობლიურად მიმაჩნია.

ისიც მინდა გითხრათ, ჩემთვის დარქმეული სახელი ფარიდა ცოტა გრძელია, ამიტომ ყველა, შინაურებიც და ნაცნობ-მეგობრებიც სულ იდას მიძახიან, ჩემი თავდაპირველი სახელი აღარც მახსოვს. თუ გნებავთ თქმენც ასე დამიძახეთ, რომ არ შეწუხდეთ.

— დიდი მადლობა, კი ასე ჯობია, მეც იდას დაგიძახებთ, უფრო მოსახერხებელია. დაუფიქრებელი შეკითხვის ბოდიშს გიხდით, უცებ ვერ მივწვდი, აი ახლა კი გამახსენდა ანა კალანდაძის ლექსი: „დგახარ ქუჩის განაპირას, იებს ყიდი გეპითხები არა-ბი ხარ, — იეზიდი“.

იდამ გადაიკისკისა და მიჯრით მიწყობილი თეთრი კბილები გამოაჩინა.

— ეგ ლექსიც კარგად ვიცი და ანა კალანდაძეც ძალიან მიყვარს, საოცარი პოეტია.

— კარგია ქართული პოეზიაც რომ გყვარებიათ, — შეაქო გიგამ.

— განათლებული გოგოა, ქართული უმაღლესი აქეს დამთავრებული, — კარლომ შექება გააღრმავა.

ცოტა ხანსაც ილაპარაკეს, მერე გაეთებული მასალა წამოიღეს და სამსახურში დაბრუნდნენ.

— არაუშავს გოგოა ცუდი შთაბეჭდილება არ დატოვა.

— რა გოგოა, რას გავს, თავისნაირი ქურთებისთვის შეიძლება კარგია, მაგრამ თქვენნაირი მაღალი გემოვნების პატრონს მაგას არ უნდა ამბობდეთ.

— რატომ საყვარელო, თვალები კარგი აქეს, ცხვირი და კბილები, მეტი რა გინდა.

— მეტი რა გინდა, გამოაჯავრა ლიკამ, თუ ასე მოგეწონათ, გყავდეთ ეგ უარს არ გეტყვით.

— რატომ, რაშია საქმე, ასე უცებ რა გაიგე, თუ ადრეც იცოდი რამე.

— როგორ არ ვიცოდი, თბილისში რა დაიმალება, ორჯერ ყოფილა გათხოვილი-გამოთხოვილი, ახლაც თუ ვინმებ თხოვა, თუ არ თხოვა თვითონ ათხოვნინებს, უარს არავის ეუბნება, ამბობენ ძალიან ხათრიანიაო.

— კარგი ჯანდაბას მაგის თავი, რაც თქვი ერთი რამე კი ნაღდად სწორია, შენნაირ ლამაზ და მომხიბლავ ქალთან სხვა ქალის ქება მართლა მკრებელობაა, ეგთი ათასი გოგო რომ შეკრიბო, შენ მაინც ვერ გადაგწონიან, შვილებს ვფიცავარ სრულ სიმართლეს ვამბობ, იდა კი არა შენ მთელი ამხელა ქალაქიდან იშვიათად ვინმე თუ დაგიდგება გვერდით.

— რა საძაგელი ხართ, კარგად გაქვთ შესწავლილი ქალის სუსტი ადგილები, უცებ გადაწყვიტეთ ჩემი მონადირება ანუ მოთაფლვა, — ხელი ხელზე მოუჭირა ლიკამ.

გიგა მაინც თავის გულში ფიქრობდა — ხედავ ამ იდას, უმწიკვლო სახით რომ ზის, ისე გვარიანად უგულავია, ქალს რას გაუგებ, ისე ერთჯერადი ხმარებისათვის არ უნდა იყოს ცუდი, მე არ დავუწყებ სიყვარულობანას, თავად თუ იაქტიურა, უარს არ ვეტყვი, მაინც სექსუალური გოგოა.

იდა ასოევა მალე დაუახლოვდა გიგას, ყველა მისვლაზე აშკარა სიხარულით ხვდებოდა, ყველაფერს სასწრაფოდ უკეთებდა, თავს ევლებო-

და, რამდენიმე შეხვედრის შემდეგ კვლავ ლიკასთან ერთად საქმეზე გადასული ისე გადაკოცნა, თითქოს ერთი წელიწადი მაინც არ ენახა, რითიც თვალწარმტაცი ლიკას გულისწყრომა დაიმსაუხრა, — რას კოცნი მაგ შეუხედავ უწმაწურ გოგოსო. თუ მისვლა დააგიანდებოდა, უკვე თვითონ გადმოდიოდა ამბის საკოსხავად, ხომ კარგად ხართ, რამე ხომ არ გჭირდებათ. ეს ვითარება ლიკას ძალიან აღიზიანებდა და იდასაც გვარიანად ლანძღავდა.

ერთ დღეს გვიან საღამომდე იმუშავეს გიგამ და განყოფილების გამგე ბორის გუსევმა. როცა გარეთ გამოვიდნენ უკვე მაგრად ბნელოდა, ეზო მოდადაქცეული ყვითელი ფერის ნათურებით ნაღვლისმომტკრელად იყო განათებული. სამსახურის მანქანა ოციოდე მეტრის იქით იდგა სპეციალურად გადახურული თაღის ქვეშ. მანქანისკენ ნელი ნაბიჯით წავიდნენ, რომ უკვე გაციებული ჰაერი შეესუნთქათ. ამ დროს სტამბის მძიმე რკინის კარი გაიღო და ხუთი-ექვსი ახალგაზრდა ქალი გამოვიდა, ერთი შეხედვითვე აგზნებულები ისეთი სიცილ-კისკისით გამოცვილნენ, რომ გარკვევით ჩანდა რაღაც ღონისძიება ჰქონდათ და წესისამებრ ცოტა გადაეკრათ კიდეც. მათ შორის იყო იდაც. ის სწრაფად გამოეყო თანამშრომლების აუგიტირებულ გუნდს, გიგასთან მივიდა და რამდენჯერმე გადაკოცნა.

— ო, იდა ასე გვიანობამდე რას აკეთებდი, ეტყობა ცოტა ალკოჰოლიანი სასმელებიც მიგილიათ.

— ჰო, გიგა, ჩვენს თანამშრომელს

მრგვალი თარიღი შეუსრულდა და აღვნიშნეთ, შენ რატომ ასე გვიან.

— ვმუშაობდით, მოსკოვში მივდივარ და ანგარიში გვქონდა დასამთავრებელი, ისე დავიღალე ფეხითაც ვეღარ გავივლი, სახლში მოვრბევარ, რომ ნორმალურად გამოვიძინო. თქვენ ალბათ ფეხით გავლას აპირებთ თანამშრომლები.

— არა, მეც ძალიან დავიღალე, მთელი დღის მუშაობა, მერე დაბადების დღე, ცეკვები, ხმაური, თუ მეტი არავინ გყავთ, იქნებ მეც გამიყოლოთ, საბურთალოზე ვცხოვრობ, სააკაძის მოედანთან. იდამ გოგონებს დაუძახა, მე მანქანას წავყვები, ვეღარ მოვდივარ, აბა კარგად იყავით.

გიგა და იდა უკან ჩასხდნენ, აშკარად დაღლილი და როგორც თავად თქვა, რამდენიმე ჭიქა შამპანურდალეულ ქალს ეძინებოდა, მანქანის რწევაში თავი გადახარა და გიგას მხარს მიადო, ხელს კი მუხლზე უსვამდა და თავისთვის ჩუმად იმეორებდა — „მე მიყვარს გიგუჩი, მე მიყვარს გიგუჩი“, ჩანდა კოცნაც უნდოდა, გიგა მოხერხებულად იცილებდა მის განზრახვას, ამასობაში მაღალ-სართულიან საცხოვრებელ სახლსაც მიადგნენ.

— ნახვამდის იდა, აი შენი სახლიც, ძალიან ჩქარა მოვედით.

— როგორ, ქალს მარტო მიშვებ, გაჭირვებით აქამდე მომიყვანე და სად ვცხოვრობ, როგორ ბინაში ვცხოვრობ, თვალი მაინც არ უნდა გადაავლო? წამოიყვანე მეგობარი, მაგასაც კარგად ვიცნობ, ძალიან ხშირად ვხვდები სამსახურის საქმეებზე, ამოდით, თითო ჭიქა

ღვინოთი მაინც დამლოცეთ, მსუბუქად წაივახშმეთ, მძღოლსაც ვპატიჟებ, ოღონდ მაგას დაღვეა ეკრძალება.

ქალი არაფრით არ ისვენებდა, ბორის გუსევმა აუცილებელი შეხვედრა მოიმიზება, სახლში მეღოდებიანო. რამდენიმეჯერ გამეორებული თხოვნის შემდეგ გიგამ მძღოლს უთხრა ბორისი სახლში მიყვანა და დაპრუნებულიყო, ამასობაში მეც ჩამოვალო.

რვალსართულიანი სახლის მერვე სართულზე მდებარე ოროთახიან ბინაში იდა მარტო ცხოვრობდა, მშობლები რამდენიმე წლის წინ გარდაცვლოდა, ერთი წლის წინ ქმარსაც გაცილებოდა და ახლა საკუთარი თავის ბატონპატრონი გამხდარიყო. მყუდრო ბინა საკმარი კარგად იყო გარემონტებული და თანამედროვე ავეჯით გაწყობილიც, რაც დაუყოვნებლივ ხვდებოდა თვალს. იდამ შეამჩნია გიგას დაინტერესება და თითქოს განმარტება მოაყოლა:

— ჩემი ქმარი ძალიან მდიდარი კაცი იყო, მილიონერი, მსუბუქ მრეწველობაში ცეხები ჰქონდა, თეორანში წავიდა საცხოვრებლად, სადაც დიდი სახლი და ქონება დარჩა მემკვიდრეობით. მე არაფრით არ წაგევევი, უთბილისოდ ცხოვრება ვერ წარმომედგინა, ძალიან გაბრაზდა და ამის გამო დიდი ჩხუბი გვქონდა, ნერვიულობის ნიადაგზე მუცელიც მომეშალა და ამან კიდევ უფრო დააჩქარა მისი წასვლა, ყველაფერი დატოვა, ბანგში ფულიც დამიტოვა და წაგიდა, მას სხვანაირად არ შეეძლო, მეც სხვანაირად არ შემძლო, აქ დავიძე, გავიზარდე, უმაღლე-

სი დავამთავრე, აქ მყავს ნათესაობა, ნაცნობ-მევობრობა, სამსახური, ჩემი წრე, თეირანში როგორ უნდა მეცხოვრა სრულიად უცნობ გარემოში.

ამ ლაპარაკში იდამ სუფრა გაშალა, ორი ბოთლი ღვინოც გახსნა. გიგამ წესისამებრ ჭერი დალოცა, მასაც ახალი ბედნიერება და წარმატებები უსურვა. ორი ჭიქა ღვინის დალევის შემდეგ ქალი უფრო მეტად შეთვრა, ალაპარაკდა, თითქოს ხელახლა გახალისდა.

— აი, რა კარგია რომ ამოხვედი, ნახე სად ვცხოვრობ, როგორ ვცხოვრობ, მეც გამახარე, მასიამოვნე, ხომ იცი რომ ძალიან მიყვარხარ, მართლა ძალიან, ძალიან, ის ლამაზი ლიკუნა რომ დაგყვება მცველით, ისე კი არა, ნამდვილად წრფელი გულით და გრძნობით. ამ სიტყვებთან ერთად, წამობარბაცებული იდა გიგას კალთაში ჩაუჯდა და კოცნა დაუწყო. ქალის თბილი უკანა ნაწილის შეხებამ გიგა აღავზნო, თან ხელებმა თითქოს თავისთავად ძუძუების ზელვა-სრესა დაიწყეს, თუმცა საქმით ძალიან დაკავებულმა გიგამ მაინც წასასვლელად გაიწია, ჯობია ახლა წავალ, ძალიან დაღლილი ვარ და ხვალ შეგხვდეთ დამშვიდებულ ვითარებაშიო. იდამ არაფრით გაუშვა, ხვევნა-კოცნით საწოლ ოთახში გაიყვანა და საწოლშიც ჩაიკიტრიალა. ქალმა უცებ გაიძრო ტანსაცმელი, ძალალყელიანი წინდების გახდით, თეთრი კრიალა ბარძაყების გამოჩენითა და უცებ წარლვნასავით მოგარდნილი მხურვალე სითბოთი გიგაც აეგზნო, გვერდით საწოლზე ხელად მიაგდო შარვალიც, პიჯაკიც, სვიტ-

რიც, და ვნებიან ალერსში ჩაიძირა. ახალგაზრდა ქალი ისე ოსტატურად ირწეოდა, პრაქტიკული გამოცდილების ისეთი კორიანტელი დააყენა, რომ გიგას ყოველგვარი დაღლა დაავიწყდა. პირველი სეანსის შემდეგ უკვე გაშინაურებული და გათამამებული იდა უკვე ზემოდან ეჯდა და გიგა რომ არ შეეწუხებინა, წისქვილის დოლაბივით ტრიალებდა. დაღლილ და ვნებისაგან დაცლილ ქალს უკვე აშკარად ევვინეთებოდა, გიგა ადგა ჩაიცვა, კარების ინგლისურ კლიტეს გავიკეტავო უთხრა, თან დააყოლა — იყავი, გაცილება არ მინდა, მალე გნახავო, კარები მიიშურა, გასინჯა რომ ნამდვილად იყო ჩაკეტილი, მალე ჩაძინებული მძღოლიც გააღვიძა და გვიანი ლამის სიმუდროვეში სახლისაკენ გაქანდა. ამის მერე კიდევ რამდენჯერმე ჰქონდა სანდომიან ქალთან შეხვედრა, მაგრამ ზშირი მივლინებებისა და სამსახურებრივი თუ შემოქმედებითი დაკავებულობის გამო ზვდებოდა კი არა, იშვიათად ზედავდა.

ამგვარ ფიქრებსა და მოგონებებში ჩაძირული მივიდა გიგა ძველი სამსახურიდან ქალაქის საბჭომდე, როგორც იქნა ხალხის დიდ ჯგუფში გამვრა, კარში ჩამდგარებს საბუთი უჩვენა და მათაც ზრდილობიანად მიიპატიუეს. აშკარა გაჭირვების გამო შეკრებილმა ადამიანებმა შერით, ბოლმით, უნდობლობით სავსე მზერა გააყოლეს ქალაქის საბჭოს აღმასკომში შესულს, სადაც მათ არაფრით არ უშვებდნენ, შესვლა კი ძალიან უნდოდათ, რადგან ჭერისა და სარჩოს შოვნის იმედი სწორედ ამ პირქუში შესასვლელის იქთ ეულე-

ბოდათ, წყალწალებულები ხავსს ისე იყვენენ მოჭიდებულები, სხვა რაიმე ფიქრი აღარ ამოძრავებდათ.

გიგა კითხვა-კითხვით მიადგა იმ ლურჯად შეღებილ ვიწრო დერეფანს, სადაც ლტოლვილების აღრიცხვა-დაბინავების ე.წ. დროებითი კომისია იყო განთავსებული. საკმაოდ დიდი მისაღები ოთახი ჭრელი, უფერულად გამომზირალი ხალხით პირთამდე იყო გაჭიდვილი, მდივანი გოგონა გრძელ სის ახალ-ახალი მომსვლელების გვარებს უმატებდა, რითაც რიგითობის დაცვას ცდილობდა. პირდაპირ გავლა და კომისიის ოთახში შესვლა გიგას ძალიან ეუხერხულა, დატანჯული ხალხი ერთ ამბავს ატეხავდა, იდგა და ფიქრობდა როგორ მოქცეულიყო, მერე მდივან გოგონას ტელეფონის ნომრები გამოართვა. ისევ დერეფანში გამოვიდა, კვლავ ვერ გადაეწყვიტა რა გზას დასდგომოდა. გაიფიქრა რომელიმე ნაცნობის ოთახში შევალ და იქიდან დავურეკავ გივის ან იდასო. რამდენიმე წუთი კიდევ იდგა გაურკვეველი ფიქრებით სავსე. ამ დროს ვიღაცამ გააღო მაღალი მბიმე კარი და საწინააღმდეგო მიმართულებით წავიდა, გიგას მყისვე ეცნო ქალი და ხმადაბლა დაუძახა — იდა. ახალგაზრდა ქალმა თავი მოატრიალა, შემობრუნდა, გიგა დაინახა, გახარებული სახით გამოექნა და ჩაეხუტა.

— გიგა, აქ რა გინდა, რას აკეთებ, რამ შეგაწუხა, — კითხვები დააყარა იდამ.

— რას ვაკეთებ და შენთან მოვედი, აუცილებელი საქმე გამომიჩნდა, როცა

ვიკითხე, შენთან მომასწავლეს, თანამდებობის პირი გამხდარხარ, თურმე ყველაფერს შენ წყვეტ.

— ყველაფერს გივი ჯანელიძე წყვეტს, მე უბრალოდ მისი მოადგილე ვარ, რა დიდი ადგილი ეს არი, რაღაც დროებითი კომისია, საწვალებელი და თავში საცემი კი ძალიან ბევრი. ეს ლტოლვილები უკან მალე დაბრუნდებიან და მერე სხვა სამუშაო უნდა ვეძებო. წამოყვანე რა შენთან სამუშაოდ, ყველაფერს გავაკეთებ, საქმის კეთება არ მეზარება.

— თუკი საჭირო გახდება მერე ამის შესახებაც მოვილაპარაკოთ.

— ახლა რა საკითხზე ხარ მოსული, ამხელა კაცი რამ შეგაწუხა.

— რამ და საერთო უბედურებამ, რაც ჩვენ მოულოდნელად თავს დაგვატყდა. სოხუმიდან ჩამოვიდნენ ახლობელი ადამიანები, ექვსი სულია, შმობლები, მეუღლის დედა და სამი დატანჯული ბავშვი, თან ოჯახის უფროსია ჩემი სრული სეხნია — გიგა მაჩაბელი, გაჭირვებით რომ დაეტიონ ორი ოთახის შოვნა მაინც მჭირდება.

ფარიდას ხალისი თითქოს გაუნელდა, მაგრამ უკან დახევა არც უცდია.

— შენც იცი, არ არის ადვილი საქმე, მაგრამ არც უიმედოა, შენთვის ხომ იცი ყველაფერს გავაკეთებ. ახლა ჩამომიწერე უფროსების გვარ-სახელები განკარგულებაში შეტანის მიზნით, ბავშვების წლოვანებაც მიუთითე, თან ერთი-ორი წუთით გივისთან შემყვევი, ხვალ საღამოს კომისიის სხდომაა დანიშნული და მერე არ დაიწყოს ვინ არიან და საიდან მოვიდნენ.

ფარიდამ ხელკავი გამოსდო გიგას, დიდი ოთახი გაატარა და შეიყვანა ოთახში საიდანაც მიღებაზე მყოფი ორი პირი გამოვიდა.

დროებითი კომისიის თავჯდომარე გივი ჯანელიძე გიგას დანახვისას ფეხზე წამოიჭრა, ხელი ჩამოართვა და ხეპრულად კითხა აქ როგორ შემოხვდით?

— შე კაი კაცო, მთავრობის სხდომა ხომ არ არი რომ ვერ შემოვსულიყვავი, მინისტრთა საბჭოში მიშვებენ და უზენაეს საბჭოში, აქ რა დაწესებულებაა ისეთი რომ შემოსვლა გამჭირვებოდა. ცოტა ტვინნაკლული ამბიციური გივი უცებ ბრინჯივით დაიძნა.

— არა, მე უფრო მინდოდა მეკითხა რამ მოგიყვანათ, რამ შეგაწუხათ-თქო და ნათელი სწორად ვერ გამომივიდა.

— ჰო, შენ საერთოდ ბევრი რამე ვერ გამოგდის ხოლმე სწორად, ხომ არ დაგვიწყდა სამ წელზე მეტი ვიწავი შენი უფროსი და სულ ვცდილობდი ნამდვილ კაცად გამომეუვანე, ისე არ გააკეთო აკაცი წერილის სიტყვები დამჭირდეს — „სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდიხა“.

— რას ბრძანებთ, ბატონო გიგა, მეყოველთვის უდიდეს პატივს გცემდით, გცემთ და მზად ვარ თქვენთვის ყველაფერი გაგაკეთო.

— ძალიან კარგი, მაშინ არ მინდა ეს საწყალი ხალხი გავაჩერო, იდამიცის და გეტყვის ყველაფერს, თუ გაკეთდება, რაშიც ეჭვიც არ მეპარება, შენი ძალიან მაღლობელი ვიქნები.

— იდა, გააცილე ბატონი გიგა, მე

კი ისევ ხალხს მივიღებ, ხვალისთვის გამზადებულ კონტიგენტს ცოტა აკლია, ხვალ კიდევ ერთხელ უნდა გადავსხედოთ დოკუმენტაციას. მიღება კი ზეგისთვის გამოვაცხადოთ.

იდამ გიგა გამოცილა — შენ კი გენაცვალე, რა ვაჟკაცურად მიურხიე, ასე უნდა მავას, თავი რომ დიდი კაცი პგრია, იქნებ ჩაუფიქრდეს და ჭკუა ისწავლოს, მე ყველაფერს გავაკეთებ, ხვალ საღამოს ან ღამე, როგორც კი მორჩება სხდომა — განაწილება, შევალჩემს ოთახში და დაუყოვნებლივ დაგირეცავ, შეგატყობინებ, არ ინერვიულო, არ იფიქრო, იცოდე რომ აქ არის შენი მოსიყვარულე იდა.

ამ დროს გიგამ დაინახა ვრცელ ლამაზად მოხატულ ვესტიბიულში თავჯდომარე აპოლონ უბირია ათიოდე გამცილებელთან თუ დაცვასთან ერთად ცენტრალური გასასვლელისაკენ მიდიოდა, შეჩერდა, რომ არ დაენახა კარგად ნაცნობ აპოლონს, რომელსაც შინაგანად ვერ იტანდა.

გიგამ გადაკოცნა ქალი, და კვლავ ხალხით გავსილი მისაღები დერეფნიდან ქუჩაში გრილ ჰაერზე გავიდა. აპოლონის დიდმა შავმა მანქანამაც გაიქროლა, უკვე მოსაღამოვდა და ალბათ მოშივდა ან თავისი გრძელფეხება ბულდოგი მოენატრაო, — გაიფიქრა გიგამ.

პოზიორობას დაჩვეული ლიზი, როგორც ყოველთვის ნახევრად შიშველი, დიდი რევერანსებით შეეგება გავლენიან მუშალეს, მდიდრული საჩუქრის გაკეთების შემდეგ მისდამი ცხოველური სიყვარული განსაკუთრებით გაუძლიერდა და სულ ცდილობდა აპო-

ლონში მისუსტებული ვნებების აფეთქება გამოეწვია.

აპოლონი სასადილო ოთახში შევიდა ლიზისთან ერთად და სადილობას შეუდგნენ.

— ხვალ ბრიუსელში მივურინავ დელეგაციასთან ერთად, დაძმობილების განახლების ხელშეკრულებას ხელი უნდა მოვაწეროთ, სულ ორი დღით.

— მერე მე, ნუთუ შენი საყვარელი ცოლის გარეშე აპირებ წასვლას.

— რას იზამ პროტოკოლი ასე გვიბრძანებს, ცოლთან ერთად არ ვარ მიწვეული, ძალიან საქმიანი სამუშაო შეხვედრაა და ალბათ ამიტომ, პირი-ქით, სამსახურის უფროსები მიმყავს, რომ იქ თავიანთი სფეროების შესახებ შექმნილ გეგმებსა და დებულებებს მოაწერონ ხელი, თან ახალი მიზნები დასახონ, ახალი ურთიერთობები გაამყარონ. ხვალ საღამოს ამირან ნიბლაბის აგარაკზე წავკისში ღონისძიება გვქონდა დაგეგმილი, ძალიან ეწყინათ ჩემი სასწრაფო წასვლის ამბავი რომ გაგიგეს, პურ-მარილის გადადება უკვე შეუძლებელია, მერე ძალიან მთხოვეს იქნებ ქალბატონი ლიზი მაინც დაგვეწვიოს, ვეცდებით უთქვენობა არ ვაგრძნობინოთ, გავართობთ, გავამხიარულებთ და დედოფალივით მივაბრძანებთ სახლშიო. მე უარი არ მითქვამს, ალბათ ერთი ორმოცდაათი ჩემი თანამშრომელი და სტუმარი მაინც იქნება, მანქანა დაგელოდება და როცა მოგინდება ან მოგწყინდება წამოხვალ, მადლობა ღმერთს შორს არ არი, თბილისამდე სულ რაღაც თხუთმეტი წუთის სავალზეა.

— რახან შენ გინდა და მავალებ, თუ გინდა ერთი დღის სავალი იყოს მაინც წავალ, თანაც შენს თანამშრომლებს კიდევ უფრო ახლოს გავიცნობ, პირობას გაძლევ გასახელებ.

მეორე დღეს საღამოხანს დიდმა სამთავრობო მანქანამ მოაკითხა კოტად გამოწყობილ, მაღალქუსლიან ფეხსაცმელებზე შემდგარ ლიზის და წავისისკენ გააქანა. ქეიფი თუ ბანკეტი შედგა ფართოფანჯრებიან ვრცელ დარბაზში, სადაც ორმოცდაათი კაცი თავისუფლად ეტეოდა, მუსიკოსებისა და მოცეკვავებისათვის კი ცალკე ადგილები იყო გამოყოფილი. ასევე რამდენიმე ფოტოგრაფისათვის. სუფრას თხუთმეტიოდე მაღალი დონის ჩინოვნიკის მუულებებიც ესწრებოდნენ, ისინი თვალებში შესციცინებდნენ ლიზი კოშაძეს და მისი კეთილგანწყობის დამსახურებას ცდილობდნენ. მალე სანოვაგის სიუხვისაგან გაზნექილ სუფრას შემოუსხდნენ, თავჯდომარის პირველი მოადგილისა და დიდებული სახლ-კარის პატრონის ამირან ნიბლაძის წარდგინებით თამადად აირჩიეს 28-29 წლის ახალგაზრდა, მაღალი და ლამაზი ბიჭი, იურიდიული სამსახურის უფროსი კხნი ანთაძე, მასაც დიდი თავპატიუ აღარ დაუწყია და შეუდგა მოვალეობის შესრულებას. სუფრის პრეზიდიუმში თამადის გვერდით დასვეს ყველაზე საპატიო სტუმარი ლიზი, შემდეგ ნიბლაძის მეუღლე, თავად ნიბლაძე და თავჯდომარის ოთხი მოადგილე. შეხვედრის მიზეზისა და ოჯახის სადღეგრძელოების მერე ფეხზე ადგომით შეისვა ქალაქის

ნაცადი ხელმძღვანელის, ყველა დიდი საქმის წამოწყებისა და ორგანიზატორის კრისტალური პატიოსნების ადამიანის აპოლონ უბირიას სადღეგრძელო, რომელიც აუცილებელი ვთარებიდან გამომდინარე იძულებული იყო საზღვარგარეთ წასულიყო, თუმცა კოლეგტივისადმი თავისი პატივისცემა იმით დაადასტურა, რომ სანაცვლოდ ულამაზესი, უბრწყინვალესი და უჭირანესი, მისი ყველაზე დიდი განბი და სიამაყე ქალბატონი ლიზი მოავლინა. ყველანი მიდიოდნენ ლიზისთან, ადღეგრძელებდნენ ქალები კოცნიდნენ, ისიც მადლობას იხდიდა და სპეციალურად ამ დღისთვის ლეჩხუმიდან ჩამოტანილ ქარვისფერ ღვინოს წრუბავდა, რომელიც უსახელოურის სახელწოდებით იყო ცნობილი. თამადა შესანიშნავად ლაპარაკობდა, სიტყვის შემდეგ ლამაზი ტემბრით სიმღერასაც იწყებდა, ლექსებსაც უხვად ამბობდა და სუფრას ამხიარულებდა, ეტყობოდა ამ საქმეში უკვე მაგრად იყო გაწაფული. ამავე დროს ერთი წამითაც არ აკლებდა ყურადღებას უსახელოურისგან წამოწიოლებულ და თითქოს უფრო გალამაზებულ ლიზის, ჭიქას უვსებდა, ნაირ-ნაირ კერძებს სთავაზობდა, პირდაპირ ზედ დაპფოფინებდა. რაც ავადმყოფური ამბიციებით სავსე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალს აშკარად მოსწონდა, ქალაქის პირველი ლედის მიერ გამომუშავებულ მდაბალ ვნებებს აკმაყოფილებდა და მეტად ახალისებდა. დაახლოებით ექვსი-შვიდი ჭიქის შემდეგ ენაწყლიანმა თამადამ ხმამაღლა გამოაცხადა: „ჩვენ უკვე შევსვით ჩვენი

სახელოვანი ხელმძღვანელისა და მისი ოჯახის სადღეგრძელო, მაგრამ დამეთანხმებით ეს სულაც არ არის საკმარისი. ოჯახი, რა თქმა უნდა, უმთავრესია, ქალბატონი ლიზი კი ჩვენი მეგობრული საზეიმო სუფრის ყველაზე საპატიო წევრია, თან ის პირველად არის ჩვენთან, ამიტომ კოლექტივისაგან ვიღებ რწმუნებას და პერონალურად განსხვავებული სასმისით ვსვამ მის სადღეგრძელოს. უკვე ოცდამეცხრე წელში გადავდექი, ბევრი რამეც მინახავს, თუმცა იშვიათი შემზედრია ისეთი უმაღლესი დონის ქალბატონი, რომელშიც საოცარი პარმონით იქნებოდა შერწყმული დამატყვევებელი ფიზიკური და სულიერი სილამაზე, ადამიანურობა და ნიჭიერება, ნამდვილი დედოფლისათვის დამახასიათებელი დიდებულება, ბუნებით უსპეტაკეს ადამიანს უსპეტაკესი მეუღლეც შეხვდა, მე ძალიან მეამაყება ასეთ ადამიანთან ახლოს ჯდომაც კი. ბატონი აპოლონი საკუთარ თუ მეუღლის წარმატებებზე არასდროს ლაპარაკობს, ჩვენ კი გავიგთ, რომ ქალბატონმა ლიზიმ ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმატებით დაამთავრა მთავარი მენეჯერის უმაღლესი კურსები და შესაბამისი სერტიფიკატიც სრულიად უხმაუროდ ჩამოიტანა. სხვა რომ ყოფილიყო ამბავი ქვეყანას მოედებოდა, აქ კი სრული დუმილია, ამგვარი თავმდაბლობაც არ ვარგა, ამ შემთხვევაში ბატონი აპოლონის ზედმეტი წესიერი ხასიათი რომ არა, ქალბატონი ლიზი უკვე ძალიან დიდ ადგილზე იქნებოდა დანიშნული, თუმცა ეს აუცილებელი ამბავიც

მჯერა ძალიან მალე მოხდება. აი ახლა წინასწარ შეთანხმების გარეშე ვთავაზობთ ყველას, ეს ფაქტი მოხდება თუ არა, კიდევ ერთხელ შევიკრიბოთ ამ უმშვენიერეს ოჯახში და ერთხმად აღვნიშნოთ ულამაზესი ლიზი უბირიას წარმატება. მაშინ ბატონი აპოლონიც ჩვენთან ერთად იქნება და მისი ხელმძღვანელობით გაცილებით უკეთესად მოვილებთ. ახლა კი მუხლს ვიყრი შეუდარებელი ქალბატონის წინაშე და მის ნაზ ხელებს მოწიწებით ვემბორები“. ამ სიტყვების შემდეგ თამადამ ლიზის წინ დაიჩოქა და ხელზე აკოცა. სადღეგრძელოსა და ამ მამაკაცური ჟესტის შემდეგ უკვე კარგად შექეიფიანებულმა პუბლიკამ ისეთი ტაში დასცხო, ოთახი ლამის იყო აზანზარდა. გულაჩუებულმა ლიზიმ წამოაყენა თამადა და მოწყალებაც გამოიჩინა, სუფრის ლიდერი გადაკოცნა.

ამის შემდეგ საცეკვაო შესვენებაც გამოცხადდა ოცი წუთით. თამადამ დედოფალი მიიპატიჟა და აქეთ-იქით მოხდენილი ტრიალი დაიწყეს, სხვა წყვილებიც თავდავიწყებით ცეკვავდნენ. ღვინომოკიდებული ლიზი შინაგანად კიაყოფილი იყო ენამჭევარი კაზი ანთამის, რომელმაც მისი სწავლა-წარმატების საკითხიც ამცნო მთელ საზოგადოებას, მადლობის ნიშნად ათქვირებული მუტუებით ეხუტებოდა, თან თავბრუდამხვევი ტრიალის დროს მსუქან ბარძაყებს მოხერხებულად უგდებდა კავალერს ფეხებს შუა, რითაც ახალგაზრდა ბიჭის გაღიზიანებას იწვევდა, თუმცა ისიც კარგად გამოცდილი ჩანდა ასეთ დელიკატურ

ვითარებაში.

ქეიფი გვიანი ღამით დამთავრდა, სუფრაც აირია, ზოგი ცეკვავდა, ზოგი როიალსა თუ გიტარაზე უკრავდა, ზოგი მიდიოდა, ზოგი ერთმანეთს ეარშიყებოდა, ზოგი კი ისევ სვამდა. კახიძ ლიზის უთხრა: თუ ნებას დამრთავთ მე გაგაცილებთ ქალბატონო ლიზი, ჩემი მანქანით, თუკი ასეთი ბეჭნიერების უფლებას მომანიჭებთ.

— მოვრალი რომ ხართ, ამდენი რომ დალიეთ.

— მაინცდამაინც ბევრი არა, შიგა-დაშიგ ვიპარავდი კიდეც, თქვენც კი ვერ შეამჩნიოთ, ნელ-ნელა ვივლით, თანაც ისეთი ნომერი მაქს, ჩემს მანქანას არავინ გააჩერებს.

— მაშინ თანახმა ვარ, თუკი ასეთი სურვილი გაქვთ. უკვე დარბაზში შე-მოსულ და ჯერ კიდევ სუფრასთან მჯდარ მძღოლს დაუძახა — ვასო, შენ წადი, გამოიძინე, მე გამაცილებენ, ხვალ თერთმეტი საათისთვის მოდი.

კიდევ იცეკვეს, ილაპარაკეს, იმხ-იარულეს, მერე შემორჩენილმა რამდენ-იმე წყვილმა მსუბუქი ბარბაცით გაი-არა გრძელი ეზო და სპეციალურ საღვრომზე მანქანებში ჩასხდნენ. ყველა მანქანა სწრაფად გაქანდა, კახის მან-ქანა კი სპეციალურად ნელა მიდიოდა, თან გატაცებით საუბრობდნენ, მამაკა-ცი კომპლიმენტებს აფრქვევდა, ვერ მალავდა ლიზის სილამაზით გამო-წვეულ აღტაცებას, განაზებული ქალი კი შიგადაშიგ მადლობას იხდიდა. უცებ საკმაოდ მთვრალ ლიზის საოცარმა უინმა მოუარა, მიიწია და ბიჭს მაგრად აკოცა. დაბნეულმა ყოფილმა თამადამ

ძლივს შეიკავა ნაპირისაკენ გადახრილი ავტომანქანა, ლიზის კოცნითვე უპასუხა და მანქანა საკმაოდ დიდი კლდის გვერ-დით მიაყენა, აქ მარჯვენა მხარეს არაფ-რის დანახვა არ შეიძლებოდა, მარცხე-ნა მხრიდან მომავალს კი შეეძლო მან-ქანა შეემჩნია. მიბნედილ მდგომარეობაში მყოფი ქალი ბიჭს კოცნიდა, ენას უტრი-ალებდა, მერე ხელი ღრმად ჩაუყო, როცა დარწმუნდა საქმე მაგრად იყო, ქვედა-ტანი აიწია და მოულოდნელობისაგან დანეულ, ოღონდ უცებ გაქტიურებულ ბიჭს გადააჯდა, ისიც დიდი გატაცე-ბით ხმის ამოულებლად შეუდგა საქმეს, სასწრაფოდ გადასწია სავარძლები და ლიზიც გადააწვინა. ღვინითა და მყ-ისიერი ურთიერთობით დაღლილები მანქანის სავარძლებში ნახევრადმიწო-ლილები მძიმედ სუნთქავდნენ, ისვენებდ-ნენ. ცოტა ხნის შემდეგ უკვე შინაგა-ნად გალალებულმა ლიზიმ თავის მი-ერვე დაპყრობილ ბიჭს კიდევ გადა-უყო ხელი, ცოტა ხანს ასე სიამოვნებ-და, მერე კი მთლიანად გვერდით გადა-იწია, თავი დაბლა ჩარგო და დაეწაფა. კიდევ უფრო დაღლილები ნახევრად იწვენ, ცოტა ხანში ლიზის თითქოს შეპარულმა სიმთვრალემ გაუარა, მან-ქანის კარი გააღო, ჩაიცვა, მიწოდებუ-ლი ბორჯომის ბოთლი აიღო, ცოტა მოსვა, მერე პირზე შეისხა, კისერზეც მოისვა, ჩაჯდა მანქანაში და მძღოლს ნაზი ხმით უთხრა: — „წავედით კახი, ალბათ, სადაცა გათენდება“.

მეორე დღეს პირველ საათზე ლი-ზიმ ძლივს გაიღვიძა, მოახლეს უთხრა „მძღოლს დაურეკე, ჯერ არ მჭირდება, დაისვენოს, მეც ჯობია დავისვენებ, გუშინ

ძალიან გადავიღალე ღვინის წრუპვით, საღდეგრძელოებითა და გაუთავებელი ცეკვებით“.

დღის სამ საათზე, როცა ქალს ხელახლა გამოედვიძა, ტელეფონმაც დაიწკრიალა.

- ქალბატონი ლიზი ხართ?
- დიახ.

შეისვე იცნო ხმა და რატომდაც არ ესიამოვნა, რომ სიმპათური ბიჭი უკვე როგორც გამოჭერილსა და საქმეში ჩათრეულს ისე ურეკავდა, ასეთ ფამილარობას ვერ იტანდა, არ უყვარდა ვინმესთან მოვალის ამპლუაში ჩამდგარიყო.

— როგორ ბრძანდებით, ქალბატონო ლიზი? თქვენი ამბავი მაინტერესებს.

— არამიშავს, გუშინ ის ტკბილი შემპარავი ღვინო მართლა ზედმეტი მომივიდა, შენც მე მგონი ძალიან მთვრალი იყავი. ამიტომაც არ შეიძლება სულ რომ ღვინოს გისხამენ და ჭიქებს გიმარჯვებენ, ახლა უკვე გვიანია წუწუნი, მეტი წინდახედულება და ჭკუაა საჭირო. წესით აქ არ უნდა დაგერეკა, მაგრამ შეგეშალა და გაპატიებ. ამაღამ გათენებისას აპოლონი უკვე ჩამოდის, გთხოვ მეტი აღარ დარეკო, მე მაქვს შენი სავიზიტო ბარათი და ოუ როდისმე რაიმე საჭიროებამ მოითხოვა, რაშიც ეჭვი მებარება, თავად დაგირეკავ.

ეს ძალიან ლამაზი და დათავლული ბიჭი, ყველა წვრილმანის გონებაში გაანალიზების შემდეგ აღარ მოეწონა, ზედმეტად და რაღაც გამაღიზიანებლად მოეჩვენა ის დაუმთავრებელი ქება-დიდება, რაც მას თითქოსდა ნამდვილი დედოფლის რანგში წარ-

მოადგენდა. თავისთვის ფიქრობდა ფრთხილად უნდა ვიყო, საერთოდ ზედმეტობა, დაუკვირვებლობა არცერთ საქმეში არ ვარგა, შევეცადო ფეხი არ გადამიბრუნდეს.

გიგა მჩქმელი დილის შევდ საათზე გამოვიდა სახლიდან, ფიქრობდა უნივერსიტეტის ბაღში გავივლი, მუხლს გავმართავო, სწორედ ამ დროს გრძელი ეზოს ორი სართულის ოდენა თაღში ექვსი-შვიდი ფარებგაბრდდვიალებული მანქანა შემოგრიალდა, მარცხენა მსარეს მოუხვიეს და პირდაპირ უბირიას საპარადოსკენ წამოვიდნენ. გიგა დაინტერესდა რა ხდებოდა ამ ადრიანი დილით და ძელსკამზე ჩამოჯდა, რომ კარგად დაენახა ათიოდე მეტრის იქით მდებარე საპარადოში ვინ შევიდოდა. დაცვის ორი ბიჭი მიიჭრა მთავრობის შავ მანქანასთან და ორივე მსარეს გააღეს კარები, ერთიდან ქალბატონი ლიზი გადმობრძნდა, მეორედან კი ყოვლისშემძლე ჩასუქებული ბატონი აპოლონი.

— აა, როგორც ჩანს, ქალბატონი ლიზი აეროპორტში დახვედრია მეუღლესო, — გაიფიქრა გიგამ. დაცვასა და მძღოლებს უკვე შეპქონდათ ლიფტში ჩემოდნები და მრავალრიცხოვანი ჩანთები. აპოლონი დ ლიზი დამხვდურებს და კარამდის მიმცილებლებს თბილად ემშვიდობებოდნენ, აპოლონი მოადგილებს ეუბნებოდა ცოტას წავიძინებ და მოვალო, მერე კი ზელისმქნეველებს დაცილებულები სადარბაზოში გაუჩინარდნენ. გიგამ გულში მწარედ გაიცინა ზუსტად ასეა როგორც გატლეკილი თამადა ამბობდა, უს-

პეტაკეს პიროვნებას უსპეტაკესი მეორე ნახევარი შესვდაო.

გიგა ვერ იყო კარგ გუნებაზე, შეპირებისამებრ იდამ ღამით არ დაურეკა, ახლა უკვე ამ დილის იმედი ჰქონდა, ცხრის საათის მერე მაინც დარეკავს, ან ჰოს მეტყვის ან არასო. კარგა ხანს იარა წინ და უკან, ნაცნობებიც შეხვლნენ, მოჯახაქცეულ პოლიტიკურ თემებზე საუბარიც მოასწრეს, მიღებული წესისამებრ მთავრობასაც აგინეს მათი აზრით არასწორი ქმედებების გამო. ცხრის ნახევრისთვის სახლში დაბრუნდა, გაიპარსა, ჩაი დალია, ფინჯრიდან გადაიხედა, სამსახურებრივი მანქანა უკვე იდგა. გიგა ფეხს ითრევდა, არ იცოდა სამსახურში წასულიყო თუ შინ დალოდებოდა ზარს, ათის თხუთმეტ წუთზე ტელეფონის წკრიალი გაისმა, იდა რეკავდა დავალებული თუ ნათხოვარი საქმის შემსრულებლის კმაყოფილებით გაამაყებული ხმით.

— დილამშვიდობის გიგა, ბოდიშს გიხდი წუხელ რომ ვერ დაგირეკე, ღამის პირველ საათზე დამთავრდა სხდომა და მომერიდა ოჯახის შეწუხება. დღეს დილით ადრე მივედი და შესაბამისი ორდერიც გავაფორმე, თუარადა შეძილება საღამოდე მოგწეოდა რიგში დგომა. „ივერიაში“ გამოყოფილია ლუქსი, მე-7 სართულზე, ნომერი 719.

— დიდი მაღლობა ჩემი საყვარელო, ეს რამხელა პატივი მეცი, შენი ვალი როგორ უნდა გადავიხადო.

— ძლივს კარგი სიტყვით მომმართე, ასეთი სიტყვა ნებისმიერ საჩუქარს მირჩევნია. თუ პატივისცემა გინდა მოდი

ჩემთან ბინაში, რვა საათზე, დღეს შედარებით ადრე დაგამთავრებთ. ვახშამსაც მოვასწრებ.

— კი ბატონო, როგორ არა, ამხელა საქმის მერე ხომ უნდა ვილაპარაკოთ. ახლა როგორ მოვიქცე?

— გამოგზავნე ვინმე, საშვს დავუშვებ, რომ ეს ნაბრძოლი ორდერი წამოიღოს, რაც შეიძლება დროზე დააბინავე სტუმრები, რა იცი უცებ ვინმე არ შევარდეს. სხვათაშორის ამ დებილმა გივი ჯანელიძემაც მაგრად ივაჟკაცა, მადლობა უთხარი.

— აუცილებლად დავურეკავ. შევარდნისაგან ღმერთმა დაგვითაროს, მე მოვდივარ, საშვი არ მინდა, 5-10 წუთში მანდ ვიქები, ერთი თხოვნა მაქვს დერეფნის დასაწყისში კარებთან დამხვდი, რომ აღარ გეძებო. უცებ გადაიცვა და დარეკა კიდეც.

— გიგა, ბოდიში ადრე გაგაღვიძეთ.

— რას ბრძანებთ, ექვსი საათიდან ფეხზე ვარ, რა ჯანდაბა დამაძინებს.

— გიგა, სასტუმრო „ივერიაში“ მოხერხდა ორთახიანი ლუქსის გამოყოფა, ახლა ორდერზე გავრბივარ, მითხრეს შესახლება სასწრაფიდ ჯობია, ამიტომ ნელ-ნელა დაიწყეთ ჩალაგება.

— თქვენი ჭირიმე, თქვენ გენაცვალეთ, თქვენ გაიხარეთ, ნელ-ნელა კი არა ახლავე ჩავალაგებთ, მაგას უკვე მიჩვეულები ვართ. როგორ უნდა გითხრათ მადლობა, ეს რა ბედნიერება გვარგუნეთ.

გიგამ ორდერი აიღო, იქიდან მეგობართან გაქანდა, რომელიც დიდ დაწესებულებას ხელმძღვანელობდა,

მიკროავტობუსი გამოართვა, რომ ბავშვების გადაყვანა და ბარგის გადატანა არ გასჭირვებოდა, საათონახევარში ორი მანქანით მოადგა მეუღლის დედის ბინას. სტუმრებს უკვე ჩალაგებული პქნდათ ბარგი, ქალები ბინას აღავტდნენ, ყველაფერი კრიალებდა, სიხარულით და მადლობებით შეხვდნენ გიგას, პატარა, გამზღარი, ძლიერს ნორმალურ ფერზე მოსული ბავშვებიც ყოველ წამს იმეორებდნენ „დიდი მადლობა, ბიძია“, რაც განსაკუთრებით მძიმედ მოქმედებდა. ორმა გიგამ და ორმა მძლოლმა ბარგი სასწრაფოდ ჩაიტანეს, მალე სასტუმროსაც მიადგნენ. გიგას აქც შეხვდნენ ძველი ნაცნობები, ურიკა მოატანინეს და ნომრის კარამდეც მიაცილეს. ისეთი კარგი ოროთახიანი ლუქსი შეხვდათ, რომ გიგასაც ძალიან მოეწონა, გრძელი აივნიდან ლამაზად ჩანდა რუსთაველის პროსპექტი, მოედანი, მთაწმინდა, ძველი თბილისის უბნები და მტკვარი. ცოტა ხნის საუბრის შემდეგ გიგამ დატოვა ცრემლებამდე გახარებული, საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილად ქცეული გაუბედურებული ოჯახი, ბავშვებს ფული აჩუქა, ტელეფონის ნომერი ჩაწერინა და სამსახურში წავიდა.

შუადღისას თაკო სულაქველიძემ დაურეცა ლიზის.

— სად ხარ გოგო, არ გრცხვენია რომ არ დამირეკე? ტელევიზით მოვისმინე სამთავრობო დელეგაცია აპოლონ უბირიას ხელმძღვანელობით ბრიუსელს გაემგზავრა ახალი ხელშეკრულების გასაფორმებლადო. ისე ვიყავი დარწმუნებული შენც გაემგზავრებოდი

საზღვარგარეთ, რომ აღარც კი დამირეკავს, ამ დროს ვიგებ შენ არ წასულხარ, უჩემოდ რას აკეთებდი, რით ერთობოდი.

— ნამდვილად არსებობს ტელეპათია, ამ წუთას ვფიქრობდი შენთან დარეკვას და მოსვლას, შენ კი დამასწარი. ისეთს არაფერს ვაკეთებდი, გუშინწინ გადასარევ ბანგეტზე მომიწია ყოფნა, აპოლონის პირველი მოადგილის არაჩვეულებრივ აგარაკზე წავისში, როგორდაც ზედმეტის დალევა მომიწდა, ძალიან ტკბილი და არაჩვეულებრივი ღვინო იყო „უსახელოური“, ვეღარ მოვზომე, ლიმონათივით ისმებოდა და მოულოდნელად დავთვერი, მოკლედ ტელეფონში ხომ ვერ მოგიყვები ყველაფერს, ახლა ტელეფონზე საუბრებს ისე იწერენ, თითქოს ყოველდღიური უკანასკნელი ცნობები იყოს, აი შენ ხომ გვინდა აპოლონი დიდი თანამდებობის პირია და ჩაწერას ვინ გაუბედავსო, ამ დროს, პირიქით დიდი თანამდებობის პირების საუბრებს უფრო იწერენ, მერე როცა დასჭირდებათ, ყველაფერს ამოალაგებენ და საბუთივით წინ დაუდებენ. დავდებ თუ არა ყურმილს, ჩავჯდები ჩემ ჯიპში და წამოვალ, თუმცა გაცილებით აჯობებს შენ მოხვიდე ჩემთან, აპო წასულია, მოსამსახურეს კარგ სადილს მოვამზადებინებ, საუკეთესო ვისკისაც ავიღებ, კარგად შეგუბეროთ, თან ვილაპარაკოთ და ვილაპარაკოთ.

მდიდრულად გამოწყობილი კარგი შესახედაობის თაკო ნახევარ საათში მოქანდა უახლოეს მეგობართან, ერთმანეთი სიყვარულით მიიკითხ-მოიკითხ-

ეს, მალე ლიზიმ შინამოსამსახურეს სადილი ვრცელ სასტუმრო ოთახში გააწყობინა, თავად აპოლონის გამოულევი მარაგებიდან უმაღლესი ხარისხის შოტლანდიური ვისკი მოიტანა, წვერებიც მოყოლა და საქმეს შეუდგნენ. თითო-ორი პატარა ჭიქა გადაჰკრეს ცოტა შეგვიანებული შეხვედრის აღსანიშნავად, მერე ვისკისაგან აღტაცებული, ისედაც ზედმიწევნით ემოციური ლიზი ყველაფერს დაწვრილებით მოუყვა მეგობარს, გულახდილს ერთი ნიუანსიც არ გამოუტოვებია.

— რა იყო გოგო, რა დაგემართა, ასეთი რამე ამხელა თანამდებობის პირის ცოლს ნამდვილად არ უნდა მოუვიდეს.

— ღვინომ მომატყუა და ამამჩატა, თან იმ ბიჭმაც მოუღოდნელად გამიტაცა, თითქოს სულ სხვა სამყაროში გადავედი, ჩემს თავს ანგარიში ვედარ გავუწიე, ასეთი რამ სხვა დროსაც მომსვლია, ახლაც მომივიდა და მეც თავაწყვეტით გადავიჭერი.

— იმ ბიჭს კარგად დაუბიხარ, მგონი საკმაო და შებერტყილი ბიჭია, ერთხელ სადღაც სუფრაზე შევხვდით, როცა უთხრეს რომ შენი უახლოესი მეგობარი ვარ სულ ფეხქვეშ გამეგო, შენც გაქო და გადიდა, ღმერთქალიაო, აპოლონიც ცაში აიყვანა, რა ვიცი რა გითხრა, ფრთხილად იყავი, წმინდა წყლის მლიქვნელი, სილამაზით გათამამებული ალფონსი და ლოველასი ჩანს. საკუთარი საქმის გამო, საკუთარი სიკეთის მოსაპოვებლად უკან არაფერზე დაიხევს, უჩემოდ არაფერი გააკეთო.

ხუთი დღის შემდეგ, როცა ბატონი

აპოლონი სამსახურში წაპრძანდა და თან ჩვეულებისამებრ დაიბარა გვიან მოვალო, ტელეფონის ზარმაც დაიწკრიალა. ჯერ კიდევ ლოგინში მონებივრე ლიზიმ კურმილი უხალისოდ აიღო, სასტიკად არ უყვარდა უადგილო დროს ტელეფონზე დამრეკავთან საუბარი.

— დილა შვიდობის, ქალბატონო ლიზი, დიდ ბოდიშს გიხდით რომ ცოტა ნაადრევად მომიხდა თქვენი შეწუხება, ხომ არ ისვენებდით, ხომ არ შეგაწუხეთ? — მიაყარა შეკითხვები ქალმა.

— არა არ ვისვენებდი, ვინ ბრძანდებით, რაშია საქმე?

— მე თქვენ არ მიცნობთ, ირინა ანთაძე ვარ, მეუღლე ურუშაძე მყავს, თქვენგან ორი-სამი სახლის იქით ვცხოვრობ, ხანდახან მაქს ხოლმე ბედნიერება თქვენს დიდებულ, განუმეორებელ სილამაზეს მოვკრა თვალი, ზოგჯერ თქვენი მეუღლის მეფური შესახედაობითაც ვტკბები.

ლიზის უცქ თავში დარტყა, ანთაძე, თითქოს ნაცნობი ხმა, დაშაქრული ყალბი სიტყვები და ჯიქურ ჰქითხა ქალბატონს:

— თქვენ ქალაქის საბჭოს თანამშრომლის კაზი ანთაძის უფროსი და ბრძანდებით?

ქალს კინაღამ ხმა ჩაუვარდა, ისე უცბად მოხდა მისი ამოცნობა.

— გაოცებული და აღტაცებული ვარ, დიდ სილამაზესთან ერთად ღმერთს თქვენთვის დიდი სმენა და გამჭრიახობაც მოუმადლებია, გაოცებული ვარ ასეთი გონიერებით.

— კარგით შევეშვათ ამ გულისამრევ ლაპარაკს, წასასვლელი ვარ

პირდაპირ მითხარით რა გინდათ.

— გადაუდებელი აუცილებლობითაა გამოწვეული თქვენი ნახვა, თორემ დარეკვასაც ვერ გავტედავდი. რაღაც უნდა განახოთ, თორემ სათქმელს ტელეფონშიც გეტყოდით.

— ვატყობ ვერ ითმენთ ან დავალება გაქვთ შესასრულებელი ან რაღაც ავნტურას ხლართავთ. კი ბატონი დავრეკავ, წასვლას გადავდებ, მოვემზადები და ერთ საათში გამოიარეთ. დაცვამ თუ გაგაჩეროთ, უთხარით რომ მე საქმის კურსში ვარ, დაგიბარეთ.

დათქმულ ვადას მცირედ იყო გადაცილებული და ზარმაც დაიწკრიალა. შინამოსამსახურებ კარი გააღო, მომსვლელი ლიზიმ მეუღლის ფართო კაბინეტში მიიპატიუა. კაბინეტში მაღალი ლამაზი ქალი შევიდა, ისეთი მოხდენილი, რომ ლიზიმ გაოცებისაგან ლამის პირი გააღო, უცებ თავისთვის გაიფიქრა, ამ დაშაქრული და-მმისთვის ღმერთს მართლა კარგი შესახედაობა მოუციაო. გაცნობის შემდეგ ქალბატონმა უბირიამ მყარად შემუშავებული მბრძანებლური კილოთი მიმართა ქალს — ბევრი დრო არ მაქვს, გისმენთ, რაშია საქმე, რა გნებავთ, რაზე შეწუხდით.

— არც მე მაქვს ბევრი დრო, საერთოდ ასი წელი რომ მეცხოვრა, თქვენთან სათხოვნელად არაფერზე მოვიდოდი, მაგრამ რას იზამთ, ასე მოხდა.

ლიზი დააეჭვა ქალის კატეგორიულმა პასუხმა და გაჩუმება ამჯობინა, უკვე დააინტერესა რა საქმეზე მოვიდა ეს ლამაზი ქალი, შესახედავად ალბათ ლიზისაც რომ სჯობნიდა.

— დარწმუნებული ვარ თქვენთვის

იოლი არ იქნება ამ მასალის ნახვა, მაგრამ ჯერჯერობით სხვა გზა არ არსებობს. ბევრი იმიტომ ჩანს, რომ სამ-სამ ეგზემპლარადაა დაბეჭდილი, აქვეა ფირიც და ნეგატივებიც.

ლიზიმ ინტერესით გამოართვა პაკეტი, გადაშალა და სიბრაზისა თუ სირცვილისაგან სახეზე ალმური მოედო. თითქოს მთელი საღამოს მანძილზე გადაღებული მისი ფოტოსურათები ელაგა და შემდეგ მოყვებოდა პატარა ხეობის პირას დიდი კლდის გვერდით გადაღებული საშინელი სურათები.

— ეს რა უქნია, ეს რა სულმდაბლობა უკისრია, ჩემი ცხოვრების მანძილზე მე უკვე მეორედ ვხვდები ამ უდიდეს საზიზლრობას და მიუხედავად იმისა რომ ქალი ვარ, დიდი სიამოვნებით მივახვრეტდი ამგვარი არაადამიანობის გამკეთებელს.

— გეთანხმებით ქალბატონო ლიზი, სავსებით გეთანხმებით და ამიტომაც მოვედი თქვენთან. ახლა ზუსტად გეტყვით რაში და როგორ არის საქმე. ეს უმსგავსობა თქვენ რომ გენახათ და მე არ ამეხსნა, შეიძლებოდა გეფიქრათ კიდეც, რომ ვიღაც ავადმყოფურად დააგადებული ადამიანი შეიძლება ჩემი მმაც კი იყოს.

— სხვათაშორის ასეც ვიფიქრე, მაგრამ ბევრმა შტრიხმა დამატება.

— მე ყველაფერი ბოლომდის არ ვიცი, თუმცა გარკვევით ჩანს, რომ ეს ვიღაც ფოტოგრაფი ანუ დღეს მოდურად ქცეული პაპარაცი იმ ბანკეტის დროს სადღაც იდგა თუ იჯდა, მერე კი ღვიოდალეულებს უკან გამოგყვათ.

— ვინ ჯანდაბამ მოიყვანა სუფრაზე ეს ფოტოგრაფი?

— როგორც დავაზუსტე იქ ოთხი-სუთი ფოტოგრაფი ყოფილა, ხომ იცით დიდ ხალხს ძალიან უყვარს საკუთარი დროსტარების აღბეჭდვა, რომ მოვძებნოთ კიდეც ვინ იტყვის მე გადავიღეო, ან როგორ დაუმტკიცებ. თანაც ძიება-ხმაური თქვენს ინტერესებში არ შედის.

— მეც მაგაზე ვფიქრობ რომ დიდი ხმაურის ატეზვა არ ღირს, თორემ ვიჩალიჩებდი, პირველ ნაწილში კარგად ჩანს რომ მე ვარ, მეორე ნაწილში კი უფრო თმები ეფარება, შემეძლო მტკიცება კომბინაციის გაკეთების შესახებ.

— ყველა შემთხვევაში ხმაური იქნება, თან როდესაც თქვენნაირი ცნობილი და ულამაზესი ქალია საქმეში გარეული, თან ამხელა ქალაქის პირველი ქალბატონი.

— კარგით, ამ ლაპარაკში მთავარი დაგავიწყდათ, საიდან, როგორ და რა მიზნით მოხვდა ეს კასეტა თქვენთან.

— გუშინ ჩემს ძმასთან მოსულა ერთი შორიდან ნაცნობი პაპარაცი, უთქვამს ისეთი საქმეა, შენც გაილანდები და სამსახურსაც დაკარგავ, ამიტომ მოდი ერთად ვიმოქმედოთ, უბირიას ცოლს ამ საქმეში სულ ცოტა თავისუფლად შეგვიძლია ორი ან ერთი მილიონი მაინც შევაწეროთ და გავმდიდრდებით, მე ადრეც მაქვს გადაღებული ფოტოები მაგ ქალის და მაგის ქმრისთვის და კარგი ხეირიც მაქვს მიღებულიო. ჩემი ძმა ამაზე გაგიჟებულია, ფეხქვეშ გაუგდია ის ახალგაზრდა, აპარატი გაუტეხავს, ფირუბი წაუ-

რომევია, ფოტოაპარატიდანაც ამოუღია, ყველა სურათი გაუსინჯავს. მერე ფოტოგრაფისთვის ახალი აპარატის საყიდლად და გასაჩუმებლად შეგროვილი თანხებიდან ასი ათასი მანეთი მოუგდია და სულ რტყმება-რტყმევით გაუშვია.

— ახლა იმ ასიათასის დასაბრუნებლად ხართ მოსული, თუ თქვენც მიღიონს მოითხოვთ.

— ღმერთმა დაგვიფაროს, სამწუხაროდ აქ ჩემი ერთადერთი ძმის მომავალიც დევს სასწორზე. ამიტომ პირდაპირ გეტყვით, ამ ყოველგვარ სამხილს თქვენ მოგარომევთ და რაც გინდათ ის უქენით, დაწვით ან დამარხეთ, მე კი ერთი ადამიანური თხოვნით მოგმართავთ. ძალიან მაღლე თურმებატონი აპოლონის ერთ-ერთი მოადგილე შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაჰყავთ, თქვენ მართლა ღმერთქალს და ძლიერ პიროვნებას ყველაფერი შეგიძლიათ, თან კარგად არის ცნობილი ბატონი აპოლონის უსაზღვრო სიყვარული თქვენდამი, დაგვეხმარეთ, გვიშუამდგომლეთ, ხელი ჰყარით მართლა ღირსეულ პიროვნებას კანონიერ დაწინაურებაში და ჩვენც არაფრით ვალში არ დაგრჩებით, მთელი ცხოვრება მონებივით მოგეშახურებით, თან თქვენზე ვიღოცებთ.

საკითხების გადაწყვეტაში ხშირად აჩქარებული და ამჩატებული ლიზი უცებ ღრმად ჩაფიქრდა: კინაღამ უზარმაზარ უბედურებაში ჩავარდა, თავისი სულელური ნაბიჯისა და ცხოველური მოქცევის გამო უკვე მეორეჯერ უმძიმეს, თითქოს გამოუვალ

ვითარებაში მოხვდა. პირველად ვითომ აპოლონის მგზნებარე სიყვარულისთვის გაწირა თავი, სინამდვილეში კი მისი პიკანტური სურათებიც იყო იმ არამზადა ბაკურ ჯაბიძის ხელში და რომ არ ემარჯვა დაღუპვა არ ასცდებოდა, ახლა უფრო მეტად და უფრო მასშტაბურად იღუპებოდა, ქალაქში რომ ნახავდნენ ქეიფში ცანცარის, ვნებიანი ცეკვების მერე ახალგაზრდა კაცის ხვანჯარში თავჩარგულს, რამზელა ხმაური, ხმაური კი არა აფეთქება ატყდებოდა, აპოლონი გადაღებოდა, ლიზის ხმაურით დასცილდებოდა, დასცილდებოდა კი არა ძაღლივით გააგდებდა, ნამდვილად იღუპებოდა, ახლა კი რაღაც სასწაულით ღმერთმა გადაარჩინა, უჩვენა რომ ასე მოქცევა არ შეიძლება, რომ სმა და უაზრო სექსი ღუპავს ადამიანს, უფსკრულში ჩეხაგს, საიდანაც ამოსვლა შეუძლებელია, ამიტომ აუცილებლად უნდა დათანხმდეს ამ ღამაზი ქალის თხოვნას, აპოლონს ფეხებში ჩაუვარდება, რამეს მოიგონებს, მის პირველ მოადგილესა და მოადგილებსაც გაიყვანს საქმეში, არც ისეთი ფანტასტიკური თხოვნაა კაცმა რომ ვერ წარმოიდგინოს, დიდი ამბავი, ვიღაც ხომ უნდა დაინიშნოს, რა მოხდება ეს ახალგაზრდა კაციც დაწინაურდეს, იმდენ მახინჯებში ერთი ნორმალურად შესახედი ადამიანი გამოერევა, ფაქტია მეც რაღაცაში გამომადგება, სანამ შემიძლია, მაგრად მეყოლება გამოჭრილი.

კარგა ხნის ფიქრის შემდეგ ლიზ-იმ თავი ასწია, შეეცადა რაც შეიძლება დინჯად, დაკვირვებით ელაპარაკა: ამ

საშინელებას რა თქმა უნდა დავწვავ და გავინადგურებ, მიუხედავად უსიამოვნო უჭვებისა, მე მაინც მაღლობელი ვარ, რომ თქვენი მმა და თქვენ ადამიანურად მოიქეცით, სხვა უკეთური გზების ძებნა არ დაიწყოთ, პირდაპირ ჩემთან მოხვედით, ასეთ საქციელს და გულწრფელ თხოვნასაც ვაფასებ, ბუნებრივია, ახლა გადაჭრით არ შეიძლია გითხრათ – კი ბატონო, დავნიშნავ, დავაწინაურებ-თქო, თქვენც იცით, ამხელა ადგილზე კაცის დანიშვნას მე არავინ მეკითხება, ეს რომ შემეძლოს მაშინ სახლშიც არ დავჯდებოდი, პატიოსან სიტყვას კი ვდებ, რომ ყველაფერს გავაკეთებ თხოვნის შესასრულებლად, პირდაპირ ვიძრძოლებ, აპოლონს წამითაც არ მოვასვენებ, მოადგილეს კადრების დარგშიაც დავქოქავ, ერთი სიტყვით არავითარ ცდას არ დავაკლებ, როგორც მე გენდეთ, თქვენც ისე უნდა მენდოთ, როგორც თქვენ შეგიძლიათ თქვენი მოსაზრების დამტკიცება, მეც ისე შევეცდები ჩემი მოვალეობა შევასრულო და სიმართლე დავამტკიცო.

გახარებული ქალი ფეხზე წამოიჭრა – რასაც ამბობდნენ თქვენზე სწორი ყოფილა, ულამაზეს შესახედაობასთან ერთად უნიჭიერესი და გამჭრიახიც ბრძანდებით, თქვენი უტყუარი იმედი მაქსს, ისე ჩამოაყალიბეთ ყველაფერი, თქვენ კი გაიხარეთ და იბენიერეთ, – ამ სიტყვებით ქალბატონი ირინა მივიდა ლიზისთან და მაგრად გადაკოცნა, ლიზისაც გული აუზუყდა, კოცნითვე უპასუხა, თან გაიფიქრა კარგად დავაბამ, მაინც ქალია არსად

### არაფერი წამოცდესო.

ამ დროს შესასვლელ კარზე ზარ-მა დაიწყრიალა, მოსამსახურე ქალმა კარი გააღო, ოთახში თაკო სულაქველ-იძე შემოიჭრა.

— სადა ხარ გოგო, როგორა ხარ, დილიდან ვრეკავ მობილურზე, ვერაფ-რით ვერ გამოვედი, ქალაქის ტელე-ფონის ყურმილიც ეტყობა გადადებული იყო, შემეშინდა და გამოვიქეცი.

— აა, მობილური ტელეფონი გავ-თიშე და ჩართვა დამავიწყდა, ქალაქის ტელეფონის ყურმილს კი როცა ბევ-რი ადამიანი რეკავს, მოსამსახურე გადა-დებს ხოლმე, ალბათ მასაც დავიწყდა, არა უშავს, გაიცანი ჩემი ახალი ნაცო-ბი ირინა, ძალიან კარგი ადამიანი.

— სასიამოვნოა, ასეთი ახლო მე-გობრების ნახვა, ახლა კი წავალ, მეც ბევრი საქმე მაქვს, ძალიან დავაგვიანე, ქალბატონო ლიზი, დაგირეკავთ ხოლმე.

— მეც დაგირეკავთ, იმედია მობი-ლურ ჩემსავით არ გამორთავთ, თუ არა და ქალაქის ტელეფონითაც მოგძებ-ნით.

ქალბატონი ირინა გააცილა კარე-ბამდე და დაპრუნდა თაკოსთან.

— ეს რამდენი სურათი გიყრია იატაკზე, რაშია საქმე, იმ ქალთან ხომ არ გიჩხებია, რამეს ხომ არა მიმალავ.

ლიზი დაწვრილებით მოუყვა დაქალს როგორ მოხდა ეს ამბავი. კიდევ ერთხელ გაიხსენეს და დაკვირვებით განიხილეს დეტალები, რა მოხდა და რატომ მოხდა, რამ გამოიწვია აფეთქება.

— ეგეთი მომსვლია, არის ქალში თუ კაცში რაღაც უცნაური ლტოლვა,

რაც თითქოს შენდაუნებურად ხდება, გითრევს და თავს ვეღარ აღწევ, აღ-ბათ სიტყვა თავდავიწყებაც აქედან არის წარმოშობილი, ამის შესახებ უკვე ვილაპარაკეთ, რას იზამ, უნდა შეეცა-დო საკუთარი თავი დასძლიო, დაიმორ-ჩილო, ყველას ხომ არ მოსდის ასე, მოსდით ძალიან იმპულსურ, ემოციურ და სიყვარულით განებივრებულ ადამი-ანებს. ისე სიმართლე გითხრა, მაგრად ხარ გადარჩენილი, ძალიან მაგრად, მარ-თლა მოსალოცი ამბავია, ეს ათასში ერთხელ თუ ხდება.

— ამ ქალმა ისიც თქვა ფო-ტოგრაფს თუ პაპარაცს წამოცდენია, რომ ადრეც ჰქონია ჩემთვის და ნა-პოსთვის სურათები გადაღებული. ნათქ-ვამშა ძალიან დამაინტერესა, მაგრამ აღარ შევიმჩნიე, იქნებ ჩვენს მიერ მოპ-ოვებული და ჩამოტანილი ფოტოსუ-რათებიც მისი ნამამაძალლარი იყოს. ვინ იცის, მაშინ უმკაცრესი წესით უნდა დაისაჯოს, ამ ქვეყნიდან გაქრეს, დიდი მტერი გვყოლია, რომელიც ფულის გაკეთების მიზნით არ მოისვენებს, წინასწარი ზომების მიღება მაინც საჭიროა.

— ეს ძალიან რთული საქმეა, ახლა ამის დრო არ არის, მერე დაგსხდეთ და კარგად მოვილაპარაკოთ, ყველაფერს ერთად ნუ მოინდომებ, ნუ ხარ მაქსი-მალისტი, ჯერ ერთი საქმე დაამთავრე, მერე მეორე წამოიწყე. ადამიანი ცხ-ოვრებაში რაიმე დიდ ხიფათს რომ გადაურჩება, თანაც ერთხელ თუ ორ-ჯერ, რასაც მისი ცხოვრების გაუბე-დურებაც კი შეეძლო, ჭკუა უნდა იხმა-როს, ძალიან ფრთხილად იყოს და

კვლავაც საშინელ განსაცდელს არ გადაეყაროს.

გიგა მაჩაბელს მთელი დღე დაკავებული ჰქონდა, რამდენიმე ადგილას იყო მისასვლელი, სამსახურში ელოდებოდნენ, უკვე გამზადებული ანგარიში მანც საჭიროებდა გადახედვასა და ჩასწორებას, მოადგილეებისთვისაც გასაკეთებელი გეგმა უნდა დაეტოვებინა, მივლინების თანხა აელო და მოსკოვისთვის საჭირო ღვინისა და კონიაკის ბოთლებიც გაემზადებინა. ცხრა საათისთვის ლტოლვილებს გამოუარა, ეს ტანჯული ოჯახი უკვე თავისიანად მიაჩნდა, ახლო ნათესავებად თვლიდა მის წევრებს. ბავშვებს ტყბილეული უყიდა და მეშვიდე სართულზე ლიფტით ავიდა. ყველა შინ იყო, ისე მოხდენილად მოწყობილიყვნენ, თითქოს საკუთარ სახლში იმყოფებოდნენ. ლაპარაქში სოხუმელ სტუმრებს უთხრა, რომ ხვალ მივლინებით მოსკოვსა და ვარშავაში მიდიოდა, პატარა ბავშვებს საჩუქრების ჩამოტანას შეპირდა, რითაც ისინი ძალიან გაახარა, მერე კონვერტში ჩადებული მცირე თანხა მაგიდაზე დატოვა და შინისკენ წავიდა.

მეორე დღეს ახლო მეგობრის არჩილ მურუსიძის დაბადების დღე იყო, რამდენჯერმე დაერეკა და ეთხოვა დამირეკოსო. დაურეკა, არჩილმა ძმობა დააფიცა, მანც ლამის თერთმეტ საათზე მიდიხარ, მოდი ორიოდე საათით, ისადილე და ისე წადიო. უარის თქმა შეუძლებელი იყო. დილიდანვე დარჩენილი და შემდეგ გახსენებული საკითხები მოაგვარა, ბარგი შეკრა, გაამზადა და დღის ოთხ საათზე ვაკის პარკში

მდებარე რესტორან „ბუდაპეშტში“ მივიდა. ცალკე მოზრდილ კაბინეტში დიდებული სუფრა იყო გაშლილი, მალე გრძელ მაგიდას მიუსხდნენ. ცნობილი მოქეიფე, მაგარი მსმელი და მომღერალი კოტე ჩხეიძე აირჩიეს თამადად. ისეთი ლხინი გაჩაღდა, წასვლაც კი ენანებოდა. ერთი საათის შემდეგ შველა გვარიანად იყო შემთვრალი. ერთი ნაკლებად მსმელი მეგობარი რამაზ კიკაძე რატომლც გიგას აუტყდა, რახან მიდიხარ იმიტომაც იაპავე, მე ჭიქებს ბოლომდე მალევინებენ და დავთვერი, მაგრამ შენ მანც დაგათრობო. კი ბატონო, თუ ასეთი სურვილი გაქვს დამათვრეო. მაშინ მოდი თითო ყანწი დავლიოთო. მოზრდილი ყანწები შეავსეს შესანიშნავი კახური ღვინით, დალლილობიდან თავდაღწეულმა და შინაგანად გამხიარებულმა გიგამ სადლეგრძელო თქვა და ყანწიც სიამოვნებით გამოცალა, რამაზს კი აშკარად გაუჭირდა, ორჯერ შეისვენა, მაგრამ სუფრაზე თავი რომ არ შეერცხვინა მანც გამოცალა. ცოტა ხანში მართლა მაგრად დათვრა. რამაზი დიდი წარმოების უფროსი იყო და ფულიც არასოდეს აკლდა. უკვე თვალებამლვრულმა დიდი ხნის ახლო მეგობარს გიგა მაჩაბელს მანც დაუწყო კამათი, მითხარი აღიარე რომ დაგათვრეო. სმის დროს ასეთი სახის ჭინჭყლი და კინკლაობა რამაზს საერთოდ ახასიათებდა. გიგას მსგავსი ბავშვური თუ სასაცილო შემოტევა ოდნავადაც არ სწყენია, პირიქით უფრო ამხიარულებდა, ამიტომაც მიუგო მეგობარს, კარგი დამათვრე, გაიმარჯვე, მეტი რაღა გინდაო. ამ პასუხზე

რამაზი კიდევ უფრო აენთო, თითქოს რაღაცის მიღწევა უნდოდა.

— მოღი, დამიწერე რომ დაგათვრე, ხელიც მოაწერე და ხუთას მანეთს მოგცემო, გიგამ გაიფიქრა ხომ არ მომეშმო, მაგრამ რამაზმა გარკვევით გაიძეორა წინადადება. უცებ არ გადაიფიქროსო, — ესეც გაიფიქრა, გულისჯიბიდან ქალალდი ამოიღო და იქვე მაგიდაზე დაწერა — ამა და ამ დღეს, ამა და ამ რესტორანში, ამა და ამ კაცის დაბადების დღეზე რამაზ კიკვაძემ მაგრად დამათრო და ხელიც მოაწერა. სიტყვა მაგრად იმიტომ ჩაწერა, უფრო ესიამოვნება და უარის თქმას საერთოდ გადაიფიქრებსო. რამაზმა ჯიბიდან შეკვრა ამოიღო, თანხა გადათვალა და გიგას უთხრა ოღონდ ხელი ხელშიო. გიგამ გადააწოდა პირდაპირ მჯდარ მეგობარს ხელწერილი, მან კი ხელში მოლაპარაკებული თანხა ჩაუკუჭა. ორივე კმაყოფილი დარჩა, მაღვე რამაზი შეუმჩნევლად აორთქლდა, გიგამ კი ცოტა ხანსაც გულიანად იქე-

იფა, მერე გადაკოცნა სუფრის წევრები, ერთი ყუთი კონიაკის ბოთლებიც მივლინებაში გამოყენების მიზნით იუბილარისაგან საჩუქრად მიიღო, რაც მძღოლმა მანქანის საბარგულში მოათავსა და წამოვიდნენ. ზეაწეულ გუნებაზე მყოფს ძალიან სიამოვნებდა, რომ მისი მოკრძალებული თანხა საგრძნობლად შეივსო და უამრავი დამზვდურისათვის გამიზნული ალკოჰოლის მარაგიც გაიზარდა. გამხიარულებული მივიდა სახლში, ცოლ-შვილს დიდი სიყვარულით დაემშვიდობა, შვილები დიდხანს კოცნა და რაც კი თხოვეს ყველაფერს შეპირდა, მერე გასაცილებლად მოსულ სამ უახლოეს მეგობართან ერთად ჩაჯდა მანქანაში და სადგურისაკენ გაემართა. მისი ვაგონი ბოლოსწინ იყო ჩაბმული. ბარგი დაალაგეს, ოციოდე წუთიც ბაქანზე მდგარებმა ილაპარაკეს, გზაში საჭირო მინერალური წყალიც შეიძინეს, მერე მეგობრები გადაკოცნა, კიბეებზე ავიდა და მატარებელიც დაიძრა.

### ნუგ ზარ წერეთელი

*მეგაბენ თავის დასასრული.  
გავრძელება იქნება.*

**შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს  
(პარაოლიმპიური საორტის ისტორია)**



**სპორტული ცხოვრების წესი**  
საუკუნეების წინ ჩამოყალიბდა და  
საზოგადოების განვითარების სხვადასხ-  
ვა სტადიებზე უფრო და უფრო იგ-  
რძნობოდა პროგრესი. საინვალიდო  
სპორტს განვითარების საინტერესო  
ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 100 წლის  
წინათ ჩამოყალიბდა სპორტი დარღვევე-  
ბის მქონე ათლეტებისათვის. პირვე-  
ლი სპორტული კლუბები სმე-  
ნადაქვეითებული ადამიანებისათვის  
ჯერ კიდევ 1888 წელს ბერლინში  
შეიქმნა.

იმ ალტერნატიული სპორტუ-  
ლი მოძრაობიდან, რომელსაც საინვალი-

დო სპორტული მოძრაობა წარმოად-  
გებს, პარაოლიმპიურ მოძრაობას გან-  
საკუთრებული ადგილი უჭირავს საერ-  
თაშორისო სპორტულ ცხოვრებაში.

მინდა ცოტა რამ მოგიყვეთ პარა-  
ოლიმპიური თამაშების ისტორიის  
შესახებ:

პარაოლიმპიური თამაშები, ოლიმპი-  
ური თამაშების მსგავსი საერთა-  
შორისო სპორტული შეჯიბრებაა,  
რომელიც თანდაყოლილი ან შეძენი-  
ლი ფიზიკური ნაკლის მქონე ადამი-  
ანებისთვის იმართება. საერთაშორისო  
ოლიმპიური კომიტეტის დახმარებით,  
იგი ოთხ წელიწადში ერთხელ, იმავე  
ადგილას ტარდება, სადაც ოლიმპიური  
თამაშები იმართება.

ასპარეზობის შემოღების იდეა  
უკავშირდება ინგლისელი ნეიროქირუ-  
რგის ლუდვიგ გუტმანის სახელს,  
რომელმაც მეორე მსოფლიო ომის  
დროს ქალაქ ეილსბერიში, სტოქ-  
მენდევილის ჰოსპიტლის ბაზაზე ხე-  
რხემლის ტრავმების სამკურნალო  
ცენტრი დააარსა. მან პირველმა ჩარ-  
თო აქტიური სპორტი იმ ჯარისკაც-  
თა რეაბილიტაციის პროცესში, რომ-  
ლებსაც ზურგის ტვინი ჰქონდათ და-  
ზიანებული. 1948 წლის 28 ივლისს  
სტოქ-მენდევილის ჰოსპიტალში გაიმ-  
ართა პირველი შეჯიბრება მშვილდოს-  
ნობაში შშმ პირთა შორის, მონაწილე-



ნი სარბიელზე ეტლებით გამოვიდნენ. ტურნირი სტოქ-მანდევილის თამაშების სახელით გახდა ცნობილი და სიმბოლურად დაემთხვა ლონდონის ოლიმპიური თამაშების გახსნის თარიღს. 1956 წელს ლუდვიგ გუტმანმა შეიმუშავა ქარტია, რომელიც საფუძვლად დაედო პარა სპორტის განვითარებას მთელ მსოფლიოში. 1960 წელს, რომის XVII ოლიმპიური თამაშების დამთავრებისთანავე გაიმართა შშმ პირთა საერთაშორისო შეჯიბრება ერთდროულად რამდენიმე სპორტულ დისციპლინაში. მონაწილეობდა 23 ქვეყნის 400-მდე სპორტსმენი. 1960 წელს ასევე ჩამოყალიბდა საერთაშორისო ორგანიზაცია სპორტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთაოვის (ISO), რომელმაც მისცა შესაძლებლობა ჩართულიყვნენ სპორტში უსინათლოები, ამჟუტანტები, ცერებრალური დამბლის და პარაპლეგიის მქონე პირები, ანუ შშმ სპორტსმენები, რომლებიც ვერ იღებდნენ მონაწილეობას საერთაშორისო სტოკ მენდევილის თამაშებ-

ში. შემდგომში ჩამოყალიბდნენ ცალ-ცალკე ორგანიზაციებად: ცერებრალური დამბლის საერთაშორისო სპორტისა და რეკრეაციის ასოციაცია (CPISRA) 1978წ. და საერთაშორისო უსინათლოთა სპორტის ფედერაცია (IBSA) 1980წ.

1976 წელს პარაოლიმპიურის ისტორიაში, შვედეთში, გაიმართა ზამთრის პირველი თამაშები და აქედან დაწყებული, როგორც ზაფხულის ასპარეზობები, ტარდება ყოველ 4 წ-ში ერთხელ.

1982 წელს შეიქმნა ინვალიდთა სპორტის მსოფლიო ორგანიზაციის საკორდინაციო კომიტეტი (ICC) - 9 კაცის შემადგენლობით, რომელიც ჩამოყალიბდა არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების (ISOD, CPISRA, IBSA და ISMFG) 4 პრეზიდენტის, 4 გენერალური მდივნის და ერთი დამატებითი ადამიანის (შემდგომში ტექნიკური ოფიცერი) შერწყმის





შედეგად და რომელმაც ხელი შეუწყო პარაოლიმპიური მოძრაობის შექმნას, პოპულარიზაციასა და გაფართოებას.

1988 წელს, სეულის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ, ორგანიზატორებმა ოლიმპიური დარბაზები და სტადიონები პარასპორტსმენებს დაუთმეს. აქედან მოყოლებული, ამ შეჯიბრებას პარაოლიმპიური თამაშები ეწოდება.

საბოლოოდ, საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტი ჩამოყალიბდა 1989 წლის 22 სექტემბერს, დიუსელდორფში, გერმანიაში. იგი დაფუძნდა როგორც საერთაშორისო არამომგებიანი-არაკომერციული ორგანიზაცია და როგორც პარაოლიმპიური მოძრაობის გლობალური ორგანო. დღეს მის შემადგენლობაში შედის 176 ქვეყნის ეროვნული პარაოლიმპიური კომიტეტი და 9 საერთაშორისო სპორტული ფედერაცია. პარაოლიმპიელები მონაწილეობენ 28 სპორტულ დისციპლინაში, მათ შორის 5 ზამთრის სახეობაა.

სიტყვა "Paralympic" მოძინარეობს ბერძნული წინდებულის „para“ (გარდა ან ერთად) და სიტყვა "ოლიმპიური". მნიშვნელობა არის ის, რომ პარაოლიმპიადა არის ოლიმპიადის პარალელური თამაშები და გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ეს ორი მოძრაობა გვერდიგვერდ თანაარსებობდეს.

პარალიმპური სპორტის როლი სოციალიზაციის საქმეში იმით გამოიხატება, რომ ის აწარმოებს ღრმა და ყოველმხრივ ზემოქმედებას ადამიანის ყველა თვისებაზე და ანგითარებს სულიერად და ფიზიკურად. პარალიმპურ სპორტში ჩართული სპორტსმენები ითვისებენ სოციალურ ნორმებს და ფასეულობებს ისე, რომ არც კი ფიქრობენ ამაზე. ასე მაგალითად, სწავლობენ პატიოსან მოგებას და ღირსეულ წაგებას, უყალიბებს შრომისმოყვარეობას, არიდებს მაგნე ჩვევებს, აიჭულებს იფიქრონ და იაზროვნონ დაძაბული სპორტული პაექრობის პროცესში, გამოამჟღავნონ თვითდისციპლინა, ასწავლის ვარჯიშის პირობების და თამაშის წესების დამორჩილებას, მუდმივად და თვალნათლივ გამოხატავს გუნდის ინტერესების პრიორიტეტს საკუთარ ინტერესებზე და ა.შ. შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, რომ პარალიმპური სპორტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისათვის წარმოადგენს განსაკუთრებულ (თუ არა



(ცენტრალურ) მიმართულებას სოციალურ პრაქტიკაში.

საქართველოში პარაოლიმპიური სპორტის განვითარება 2003 წლიდან იღებს სათავეს. დღეს საქართველში განვითარებულია 8 პარაოლიმპიური სპორტის სახეობა, რომელშიც ჩართულია 50 მდე პარასპორტსმენი. ისინი მონაწილეობენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში და აქტიურად ემზადებიან 2016 წლის რიო დე ჟანეიროს პარაოლიმპიური თამაშებისთვის.

აქვე მინდა შემოგთავაზოთ ლონდონის პარაოლიმპიური თამაშების მსვლელობისას გადაღებული ფოტომასალა, რომელიც მართალია ცოტა მძიმე სანახავია, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ უდიდესი ნებისყოფით აღჭურვილ, თანდაყოლილი, თუ შეძენილი ფიზიკური

ნაკლის მქონე ადამიანთა შემართებასა და ენთუზიაზმს, სწორედ რომ ქება და დიდება ეკუთვნის პარაოლიმპიური თამაშების თითოეულ მონაწილეს, რომელთაც ამგვარი მიზანდასახულობა ამოძრავებთ.

როგორც ვხედავთ პარაოლიმპიური თამაშები დიდ ემოციებთანაა დაკავშირებული. რას არ ნახავთ აქ: გამარჯვების სიხარულსა თუ მარცხის შედეგად განცდილ წუხილს, ტრავმისმიერ ტკივილის ემოციას თუ სიხარულის ან მწუხარების ცრუმლებს. თუმცა, შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს. სადაც საზღვრები მთავრდება სწორედ იქ ავლენს თავს შემოქმედებითი უნარი და იწყება ნამდვილი თავგადასავალი. პრობლემებსა და შეზღუდვებს როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური მხარე გააჩნიათ. ჩვენი გადასაწყვეტია, თუ როგორ შევსედავთ მათ: როგორც გადაულახავ ცხოვრებისეულ დაბრკოლებებს, თუ როგორც საჩუქარს, რომელსაც შეუძლია ჩვენში შემოქმედებით უნარი გააღვივოს და დაგვეხმაროს წავიდეთ იმაზე წინ, ვიდრე ოდესმე შეგვეძლო წარმოგვედგინა.

**ლელა აფციაური**  
პროფესორი, საქართველოს  
ეროვნული პარაოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.

„რა მნა შახდეს.....“  
პრაქტიკოსი გირჩევთ

ქართული სალიტერატურო ენა არაერთხელ აღმოჩენილა განვითარების მაგისტრალური ხაზის გამრუდების საფრთხის წინაშე, — წერდა კარგა ხნის წინათ ჩვენი გამოჩენილი ენათმეცნიერი ივანე გიგინიშვილი. ჰოდა, ჩვენდა საგალალოდ, გამრუდების კი არა, წარყვნის საფრთხე შეექმნა მას, განსაკუთრებით, ბოლო წლების მანძილზე. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ბეჭვდითსა თუ ელექტრომედიაში უმოწყალოდ ამახინჯებენ და რყვნიან ქართულ ენას.

პრესაში ჩემი ხანგრძლივი — თითქმის ორმოცდაათწლიანი მუშაობის გამოცდილება, ალბათ, მაძლევს უფლებას რჩევა მივცე პრესისა თუ სხვა სფეროების ახალგაზრდა ლიტერატურულ მუშაკებს, ზოგიერთ პარლამენტარს, რომლებიც, ნებისთ თუ უნებლივთ, ალბათ, უფრო უცოდინარობის გამო, ამახინჯებენ ქართულ ენას, ზოგჯერ შეგზარავთ მათი მეტყველება. განა შეიძლება, რომ ზოგიერთი დეპუტატი, ტელევიზისა თუ პრესის მუშაკი, როცა მეტყველებს ან წერს, არ ითვალისწინებს ენის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, უგულებელყოფდეს უმდიდრეს საცნობარო ლიტერატურას, ლექსიკონებს (თუნდაც საბჭოთა პერიოდში სასიქადულო ქართველ ენათმეცნიერთა დიდი რუდუნებითა და ძალისხმევით შედგენილთ) და რაც და როგორც მოესურვება იმას ამბობდეს და წერდეს, უადგილოდ ხმარობდეს სიტყვა-ტერმინებს.

ამიტომ შევეცდებით შეძლებისდაგვარად მოგაწოდოთ სწორი, მართებული ფორმები, ენის ზოგადი წესები. ჩვენი ეს ცდა იქნება პრაქტიკოსის რჩევა ისეთ საკითხებზე, რომლებსაც ყოველდღიურად ვაწყდებით ტელევიზიის გადაცემებსა თუ პრესაში. იყო დრო, როცა პრესაშიც და ტელევიზიაშიც პქონდათ რუბრიკები მართლწერისა და მეტყველების შესახებ, რომლებსაც შესანიშნავი მოქართულენი უძღვებოდნენ. მათგან განსაკუთრებით დამახსომდა დიდებული მსახიობის, საქართველოს სახალხო არტისტის გიორგი გეგეჭკორის გადაცემა ენისა და მეტყველების შესახებ და მისებურად გეტყვით:

— შეცდომაა, როცა ისეთი ქვეყნის დასახელებას ამახინჯებენ, როგორიც დიდი ბრიტანეთია. რატომ ამბობენ „დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო“, მას ხომ ძალიან, ძალიან დიდი ხანია „დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფო“ პქვია. ახლა ნუ მეტყვით, რომ თქვენთვის უცნობი, გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი დავით დონდუა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (რა ვუყოთ, რომ საბჭოთა პერიოდში გამოვიდა, დიდი მეცნიერები და საქმის მცოდნე ხალხი მუშაობდნენ იქ), ანდა სხვა საცნობარო ლიტერატურა მოძველდა და ყველაფერი უნდა გადაისინჯოს, რომ მათ ინგლისური ენა თქვენზე ნაკლებად იცოდნენ. განა სირცხვილი არ იქნება, რომ გამოვაცხადოთ ან დავწეროთ „ამერიკის გაერთიანებული

შტატები?“ ანდა „მექსიკის გაერთიანებული შტატები?“. ამის თავიდან აცილება სულ ადვილად შეიძლებოდა და შეიძლება – ჩავიხედოთ ცნობარში, ან შევეკითხოთ ვინმე მცოდნეს.

ასევე შეცდომაა: მცდელობის წამდაუწუმ ხმარება. „მცდელობა“ უფრო იურიდიული, უარყოფითი მოვლენისას ითქმის და იხმარება. რატომ ამოაგდეთ ლექსიკონიდან – ცდა, ცდილობს, და ასე შემდეგ. ნუთუ „საუბრის“, „საუბრობს“ გარდა მეტი სიტყვა აღარ ვიცით? – რატომ დავკარგეთ – ამბობს, მსჯელობს, თქვა, ბჭობს, სჯაბასი და სხვები. ნუ გაიღარიბებთ მეტყველებას, ხშირად ვუყუროთ და მოვუსმინოთ გადაცემებს ქართული ენის შესახებ, თუ, რა თქმა უნდა, ასეთები ისევ იქნება.

არ ვიცი გაიზიარებთ თუ არა ჩემ მცირედ შენიშვნებს ფეხბურთელთა ჩემპიონატის მატჩების რეპორტაჟების შესახებ, რომლებსაც უამრავი ხალხი, მათ შორის ყმაწვილებიც უყურებენ და მათი ყოველი სიტყვა ჭეშმარიტება ჰგონია, მაგრამ მაინც მინდა კომენტატორების ყურადღება მივაპყრო იმ ლაფსუსებს, რომლებიც ხშირად მოსდით. აბა რას ჰგავს გამოთქმა „დარტყმა განხორციელდა“, „პასი გააკეთა“ და მრავალი სხვა. განა „შინაურულად“ არ ვიტყვით „დაარტყა“ „ბურთი მიაწოდა“ ანდა, რატომ ვნერგავთ ისევ უცხო საფეხბურთო ტერმინებს „ფლეიმეიკერი“ და „ლაინსმენი“, პირველი ხომ „გამთამაშებელი“, ხოლო მეორე „თანამსაჯია?“. მახსოვს ის დრო, როცა „ბეკს“, „პავბეკს“, „ინსაიდს“, „ფორ-

ვარდს“ და „გოლკიპერს“ ხმარობდნენ, რადგან, ქართული შესატყვევისი არ იყო, მაგრამ ნამდვილმა მატულიშვილებმა იფიქრეს, იზრუნეს და მშვენიერად გადმოაქართულეს „მცველი“, „ნახევარმცველი“, „შუმარბი“, „გარემარბი“, „თავდამსხმელი“, „მეკარე“ და ასე შემდეგ. მას-სენდება ცხონებული ბატონი კოტე მახარაძის ნაამბობი, თუ რამდენს ფიქრობდნენ იგი და ნეტარხსენებული ეროსი მანჯგალაძე, რომ როგორმე „ლაინსმენი“ გადმოექართულებინათ – ხან გვერდით, ხან დამხმარე შსაჯვს უწოდებდნენ, სანამ, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ცნობილ ენათმეცნიერს ვარლამ თოფურიას დახმარება არა სთხოვეს და მასაც ნამდვილად ქართულად ნაწარმოები სიტყვა „თანამსაჯი“ შეუთავაზებია. მას შემდეგ ყველა კომენტატორი ამ სიტყვას ხმარობდა. ახლა? რატომ გახდა საჭირო მისი „რევიზია“, რა, „ლაინსმენი“ და „ფლეიმეიკერი“ უკეთესად უღერს, ვიდრე „თანამსაჯი“ და „გამთამაშებელი?“. ისევ „ფუტბოლზე“, „ბასკეტბოლზე“, „ვალეიბოლზე“, „გატერპოლოზე“ ხომ არ გადავიდეთ?. თქვენც კარგად იცით, რომ ეს თამაშები ქართველმა ერმა ეროვნულად აქცია, შეისისლხორცა და სახელებიც ქართული ენის ქურაში გამოატარა, რა, ბევრი ერია ქვეყნად, რომელსაც ეს თამაშები თავის ენაზე ეთარგმნოს?

ანდა ქართველ ფეხბურთელთა სახელები ავიღოთ - „შოთიკო“- „შოთი“, „აჩიკო“-„აჩი“, „რეზიკო“ - „რეზი“, „მიხიჩა“ და ბევრი სხვა. შეიძლება (შეიძლება კი არა, ნამდვილად ასევა

შინაურები, მართლაც ასე ეძახიან, მაგრამ ვაუკაც კაცს, ფეხბურთელს, ათლეტს ენას რომ მოუჩლექ, ჩემი აზრით, მისი შეურაცხყოფა. ცნობილ ბორის პაიჭაძეს შინაურები – ბოკას ეძახდნენ, ასევე მურთაზ ხურცილავას - „ბურძგლას“, მაგრამ პრესაში და ტელეგადაცემების დროს არავინ არ აკაღრიებდა ასე მოექსენიებინა მათი სახელები, რადგან ისინი ვაუკაცი, პიროვნებები იყვნენ და დათაფლულ გამოთქმებს ვერ იგუებდნენ. ასე უნდა იყოს ჩვენი სასიქადულო სახელოვანი სპორტსმენების მიმართაც.

ანდა მაგალითად: ეფექტური და ეფექტურიანი – ეფექტური ნიშავს იმას, რაც ახდენს შთაბეჭდილებას (მაგალითად ეფექტური გარევნობა), ეფექტური კი იმას, რაც იძლევა შედეგს (ეფექტური, ქმედითი საშუალებაა).

ანდა დღესდღეობით მეტად აქტუალური პრეზიდენტის არჩევნები. ყველა ტელევიზია, ყველა გაზეთი, აცხადებენ და წერენ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გაიმართოს. არავითარ შემთხვევაში – უნდა იყოს პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნები. ხშირად გვეშლება მართლმადიდებელი და მართლმადიდებლურია.

– როცა ეკლესიასთან არის დაკავშირებული – უნდა იყოს მართლმადიდებელი ეკლესია, მოძღვრება კი მართლმადიდებლურია.

ბევრჯერ დაიწერა და ითქვა, რომ სულ სხვადასხვაა მასიური და მასობრივი. არადა არაფერი ეშველა მაინცზოგი კი არა, თითქმის დიდი ნაწილი ერთმანეთში ურევს ამ სიტყვებს. მასიურია, ვთქვათ, მაგიდა, სკამი, ლოდი, მასობრივი კი დემონსტრაცია, გამოსვლები და ა.შ. ამიტომ უმართებულობა მასიური გამოსვლები, რაც ხშირად იწერება და გამოითქმის ტელევიზიონთა თუ რადიოთი.

ასევე შეცდომაა – მეტად გავრცელებული „ფანტასტიური“, „რომანტიული“, „ისტერიული“ და სხვები. უნდა ვწეროთ და წარმოვთქვათ – „ფანტასტიკური“, „რომანტიკული“, „ისტერიკული“ და სხვები, რადგან ამ სიტყვების ძირია „ფანტასტიკა“, „რომანტიკა“, „ისტერიკა“.

ჯერჯერობით ამით დავამთავროთ ჩვენი მოკრძალებული „გაპეტილი“ ქართული ენის დამახინჯებათა შესახებ და მომავალში გავაგრძელოთ საუბარი ამ მეტად საჭირბოროტო საკითხებზე.

**ნოდარ ზედელაშვილი  
საქართველოს დამსახურებული  
უურნალისტი**

მხატვრული ლიტერატურა, პოეზია



ვიქრი უნძლიან

ჩემს საქართველოს ვნატრობ ერთიანს  
და ნატვრას ამას ცრემლიც ერია,  
ენგურის გაღმა აფხაზეთია,  
ჩვენი მიწა და ჩვენი კერია.  
აფხაზეთს გასცერს სამურზაყანო,  
თითქოს ორი ძმა ებრძვის ერთმანეთს,  
ქვეყნად მშვიდობას ჩვენი თაყვანი,  
ერთმანეთს ველარ გადავეჭარეთ.  
მესამე დიდი ძალა დაგვეცა,  
დააჭენო ჩვენი ძმობის ყვავილი,  
ასე მგონია სივრცეს დავკეცავ  
და ჩემს სოხუმში ისევ გავივლი.  
ისევ აღვიდგენ დღეებს უნაზესს,  
ძმობას ტვირთივით დავდებ სასწორზე,  
სიკეთეს გაცვლილს წყევლა-კრულვაზე  
აწი რა ძალა გამოასწორებს.  
მაგრამ იმედი აღარ მცილდება,  
თითქოს იმედის დროშაც აღვმართეთ,  
წინ განთიადის სხივი ინთება  
და მზეც ქართული  
ამოანათებს.

## სიყვარული

მე ისევ ველი სიყვარულს წმინდას,  
სიყვარულია ქვეყნად მთავარი,  
ნანატრ დიდებას მიაგნო გინდაც,  
უსიყვარულოდ სხვა გზა არ არი.  
მე ისევ ველი სიყვარულს, მჯერა  
იგი ჩემთანაც თავისით მოვა,  
გული საგულეს დაიწყებს ძგერას,  
იქნება თეთრი ვარდების თოვა.  
მოხვალ და მეტყვი –  
რახან მელოდი,  
მეც სამუდამოდ შენთან მოვედი,  
ჩვენც ვიამაყებთ საქართველოთი  
და ორი გულის სიახლოვეთი.

### თამარ თოდუა

„საზოგადოება ცოდნის“  
ფარმაციის ფაკულტეტის  
IV კურსის სტუდენტი.



### პოვნა

მიყვარხარ, მე შენ გეძებდი  
მთელი ცხოვრება,  
ბოლოს,  
გიპოვნე,ჩემი დაგარქვი  
და ახლა შენით ვცხოვრობ.  
გეწოდა ჩემი ცხოვრება,  
ოღონდ წამართვი ძილი,  
არ ვჩივი,რადგან გიპოვნე  
დედის გულივით თბილი.  
მე შენ არაფერს გაბრალებ,  
ყველაფერს თუმც ვერ ხვდები,  
თოვლი კი ავსებს ნაპრალებს,  
ნისლში ცურავენ მთები.

\* \* \*

ჩავადებთ ზელებს,  
ჩავივლით ქუჩებს,  
ალერსს მივაგებთ  
გაყინულ ტუჩებს.  
მე ჩუმად გეტყვი –  
მიყვარხარ კარგო,  
გთხოვთ არასოდეს  
დამტოვო მარტო.

---

## გვალი

ეს ნაკვალევი ვისია ღმერთო,  
ეს შვილო, გზაა შენგან გავლილი,  
გზა ცხოვრებისა,  
აწმყოს რომ ერთვის,  
იქვე მეორეც მოჩანს ჭავლივით.  
მეორე კვალი მაინც ვისია,  
აქ მთელ ცხოვრებას ღვიძავს თუ ბინავს,  
ან მსაყვედურობ,  
ანდა ღირსი ვარ,  
ზოგჯერ როგორაც გამკრავდი სილას.  
მარტო რომ კვალი მიჰყვება სავალს,  
შენია, სხვაში არ შეცდე შვილო,  
მარტო მიდიხარ იპოვნი სანამ  
მომავლის კვალის მიგნებას ცდილობ.  
თან საიდუმლოს გეტყვი უმცირესს,  
მუდამ განგებას ეცი თაყვანი,  
შენი ცხოვრების დღეებს უმძიმესს  
რომ გარიდებდი,  
ხელით დამყავდი.

*მარიამ ტოროშელიძე  
„საზოგადოება ცოდნის“ ფილოლოგიის  
ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი*



### მე მაკატიე, დედი...

დედის სინაზე და მისი სითბო,  
მასზე ძვირფასი არაფერია,  
ეს ნეტარება და გულის სიტყბო,  
ლვთოური ძალით დანაფერია.  
დედა გიჩვენებს ცხოვრების ბილიკს,  
ის გიცავს, ის გზრდის სიყრმის წლებიდან,  
ხელის გულზედაც გატარებს იგი,  
მიტომ იხსენებ მუდამ ქებითაც.  
მისი ხელები მიგიგრავს გულთან,  
ავი ცხოვრების თხოვ პატიებას,  
მისი წუხილის გაქრობაც გსურდა,  
რაც სავალალოდ გულსაც მიება.  
ხშირად გეწვევა სიზმრები ჩემი,  
ღრო იცვლება და ჩვენაც ვიცვლებით,  
დედავ კი რჩები სათავედ რწმენის,  
ურთულეს გზებზეც ასე გვიძლებდი.  
არ გვყავს მისებრი სხვა ფასეული,  
გთხოვთ პატიებას,  
გულს თუ გატკენდით,  
ჩვენზე ზრუნვას ხარ გადალეული,  
დავფრთიანდებით შენი ბარტყები.  
ყველა სიმბიმე შენზე გადადის,  
ყველა ტკივილის შესძელ დატევა,  
გაგვზარდე წესით, ფიცით, ადათით,  
შენით სიმაღლე სულ გვემატება.

## ჩემო სვანეთო

ცაა ძალიან ლამაზი ფერის,  
 ვინ თქვა თითქოსდა არის უფერო,  
 ღმერთის დიდების სიმღერას მდერი,  
 რომ მიწას სული ტრფობით უბერო.  
 მიწისფერია თავად ბუნება,  
 რომელიც კალთას იცვლის წამიწამ,  
 მას ჩალისფერი მოეგუნება,  
 მიდის და ქრება,  
 თითქოს ჩაიწვა...  
 სვანეთის ცაო, ლამაზო ერთობ,  
 ამ აღტაცების გერბო მაღალო,  
 რა ლამაზია სამყარო, ღმერთო,  
 კერპის თაყვანმა ველარ დამღალოს.  
 თეთნულდს მიბმია მთათა გრეხილი,  
 კლდე ისე მოჩანს, როგორც ულვაში,  
 მთების მწკრივია ვერჩატეხილი,  
 მყოფი ბუნების მუდმივ ბრუნვაში.  
 აქ ზოგჯერ შფოთი მოსდევს გოდებას,  
 შფოთით როგორაც მიქრიან დრონი,  
 ღმერთის მშვენება აღარ შორდება,  
 სვანეთს ამ დროსთან მარადი ომით.  
 რა ლამაზი ხარ ჩემო სვანეთო,  
 სავსევ კაცობით, სითბოთი, თოშით,  
 შენი მშვენება ცაზე ამენთო  
 და სულ მენთება ყოველგვარ დროში.

### თამარ შუკვანი

„საზოგადოება ცოდნის“ ფილოლოგიის  
 ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი



## სიყვარული

კოშკს ჰეგავხარ ლამაზად ანთებულს,  
 ცაზე ვარსკვლავივით ელვარებ,  
 მგონია არასდროს ჩაქრები,  
 იქნები ნაზიც და მღელვარეც.  
 ვარდის კოკორსაც კი მოჰეგავხარ,  
 ლამაზად ბრჭყვიალა ვარდისას,  
 ფოთლების ფარფატსაც მოჰყავხარ,  
 როგორაც აწევას ფარდისას.  
 მგონია არასდროს დაჭენები,  
 გარეთ კვლავ ფოთლები შრიალებს,  
 მათ შენზე უჩნდებათ აზრები,  
 თუ შენზე საუბრით იარეს.  
 და ეს ყველაფერი სიმართლეს  
 მაგონებს, თუმც არა, ასეა,  
 მე ამას ვამბობ და ვინატრებ,  
 ვიტყვი, რომ არსებობს მსგავსება,  
 ფიქრები კარგისკენ მივმართე,  
 გული კი გრძნობებით სავსეა.

---

## დედა

დედას სიმღერებს ვუმღერებ,  
დედას მიუძღვნი ლექსებს,  
ის ამ ქვეყანაზე ერთია,  
ის ჩვენთვის ნამდვილი ღმერთია,  
რომ გზის მანათობლად გვექცეს.

## გამული

თუნდ თავიც გასწირეთ ვაჟკაცნო,  
თუ ამას მოითხოვს მამული,  
თქვენ უნდა სამშობლოს გააცნოთ  
მშვიდობა, ერთობა წარმტაცი,  
სრბოლა მომავლისკენ ქარული.  
თქვენ უნდა ქვეყანა დაიცვათ,  
სულებს წინაპრისას მოებათ,  
რომ კვლავ ქუხილივით გაისმის,  
მამული,  
ენა,  
სარწმუნოება.

*მადონა გოგოლიძე  
„საზოგადოება ცოდნის“ ფილოლოვის  
ფაქულტეტის I კურსის სტუდენტი*

ბამოჟმნებელი ლექსები ციპლიდან  
„სხვა ხმაზე ნამჩერი“

„და სულ სხვა ხმაზე გვამღერებს,  
არ მოსწონს დელი-დელაო“.

აკაკი წერეთელი

#### ¶06 ყარსულისაკვნ

რამდენი რამე დაწერა  
შენმა ხელმა და მაჯამა,  
ახლა წარსულის დაწევად  
ისევ მოგინდა მაჯამა.  
ფუჭად არ მოუგონიათ  
რითმის სხვაობაც, ერთობაც,  
ზოგ უკიცს თუმცა პგონია  
ამით პოეტი ერთობა.  
ვისა აქვს თავი გართობის,  
როს ტკივილები გავსებენ,  
თუ სიახლეებს არ თმობდი  
და იშორებდი მსგავსებებს.  
მსგავსება არად გიგდია,  
ჭიქაც არ გინდა ზიარი,  
ათასჯერ უკუგიგდია  
ერთფეროვნების ზიანი.  
როგორც ირემი იალალს  
ისე ეძებდი სიახლეს,  
სულ გაურბოდი იარალს,  
ფიქრს ახლაც დროშად მიარნევ.  
ეს ფიქრი შენი კუთხეა,  
ეს ფიქრი შენი მხარეა,  
უფლისგან ელი კურთხევას,  
არა სატანის არევას.  
სიმრავლე სატანებისა  
დრომ მოიტანა ჭირივით,  
და ძალის დატანებისას  
ისმის მოთქმა და ჭირილი.

თუ შევებმებით უწინდურს,  
 უწიგნურს, მსურველს ავისას,  
 გზებსაც ვიპოვით უწინდურს  
 ურმის, გუთნის თუ კავისას.  
 როდესაც პატიოსნება  
 იწონებოდა ოქროდა,  
 ცუდი კი საშიშ ფრთოსნებად  
 ქარაშოტივით მოქროდა.  
 იმ ცუდმა გადაგვიარა,  
 მიწას ბელტივით დაგვსრისა,  
 სიწმინდე დანაგვიანდა  
 ავაზაკისგან,  
 ახვრისგან.  
 გადასხვაფერდა ქვეყანა,  
 სიკეთის გზები ჩარაზეს,  
 ავი კი ისე ეყარა,  
 როგორც ქვალორდი შარაზე.  
 ბოროტებისგან გამოსვლა  
 გაძნელებულა ძალიან,  
 იმ სიწმინდეთა გამო სვლა  
 ჩვენი მთავარი ვალია.  
 არშეჩერება,  
 არდაღლა,  
 სხვას მაგალითად ვაჩვენოთ,  
 მაღალი მთების გადაღმა  
 დგება ცისკარი საჩვენო.  
 ბოლოს ის გადმოანათებს  
 უმშვენიერეს ტაძრებად,  
 ღვთის მაღლით შევძლოთ მანამდე  
 შრომა,  
 ბრძოლა და  
 გაძლება.

---

## შიმედობისას ნათქვაში

არაფერი არ იცვლება,  
ცუდი კარგზე არ იცვლება.  
აწი უფრო აცივდება,  
მცირეს მტერიც აცივდება.  
მოსამწყვდევად მახეს გვიგებს,  
ვართ ტანჯვისთვის განაჩენი,  
ქვეყნად ვერვინ ველარ გვიგებს,  
დგება მძიმე განაჩენი.  
ვერ მივდივართ ერთობისკენ,  
როცა ისეც ერთობ ვრისკეთ.  
ხალხი აღარ გვენანება,  
ნანაც აღარ გვენანება.  
უფრო ისმის ვაი დედა,  
უფრო ისმის ვაი ნანა,  
ბედმა სხვა არ გაიმეტა,  
ან ბზესავით გაიტანა.  
გვიჭირს ჩვენი უთაობით,  
გზა ჩანს ყინვა გასიპული,  
ადრე მეტად ბურთაობდით  
ასი ვერცხლით,  
ასი ფულით.  
არაფერი არ იცვლება,  
ცუდი კარგზე არ იცვლება.  
ისევ ფული ბატონდება,  
ბევრი პარვას მარტო ბედავს.  
აღარ მორჩა ძარცვა-გლეჯა,  
შეიცვალა ძველი ახლით,  
ძალადობამ გადაგვჯეგა,  
მიტომ შუბლებს ქვაზე ვახლით.  
მუშტის ყბაში შემოკვრამდე  
ახლოს ვდგავართ,  
უპვე ველით,  
ჯერ მივყვებით დემოკრატებს  
მთით, ბილიკით, ხრამით, ველით.  
საფიქრალი არ გველევა,  
უპვე ღვინოც არ გველევა.

აღარ მოგვყვა სიბერემდი,  
ადრე რასაც ვიფერებდით.  
ჩამოწვება დარდის ზეავი,  
დარდი თოვლად შემოსულა,  
აფთარიგით დარბის ავი,  
მთა ჯანდებით შემოსილა.  
არაფერიც არ იცვლება,  
ცუდი კარგზე არ იცვლება  
ბედო, ზურგით მოგვიარე,  
უფალს შევთხოვთ —  
მოგვიარე.  
სანამ ერი დაღვინდება,  
სანამ ერი დამაჭრდება,  
გვეყო ხანჯლის დაღირება,  
გაყიდვა და გავაჭრება.  
ჯერ კი ვდგავართ,  
ჯერ კი ვდგავართ,  
უამთან ვეღარ გაგებულთან,  
თუ ქართველებს აღარ ვგავართ,  
მაშინ აღარც ვვარგებულვართ.  
არაფერიც არ იცვლება,  
ცუდი კარგზე არ იცვლება.

### გვინდა

ქარი ტყეში იწყებს მოთქმას,  
იქნებ სტირის კაცთა მოდგმას.  
ან რას სტირის ვინ გაიგებს,  
როცა ფოთლებს ძირს გაიგებს  
და ხალიჩას მოქსოვს ყვითელს,  
ღამე საღაც ღამეს თოვს.  
ღამე შავად ყვითელია,  
რაც მრავალჯერ მითევია,

ხან მთვრალსა და ხანაც ფხიზელს,  
 გოგო რძისფერ ძუძუს იზელს.  
 გინდა გვერდზე გადაისვა,  
 თმაზე ხელი გადაისვა,  
 დაზელილიც, დაუზელიც,  
 თუ გსურს, ცოტაც გაუძელი.  
 თუ არ არის კაცი ხელი,  
 თუ არ არის კაცი ცეტი,  
 იცის ალფა-ბეტა-ზეტი.  
 ვინც დროს სწორად გაატარებს,  
 არ შეიცვლის ჟამით იერს,  
 თანაც გულით დაატარებს  
 ენძელებს და იაიებს.  
 ასე გიყვარს რახან ია  
 არც ცვლა გინდა ფასეულთა,  
 ეს ქვეყანა რახანია  
 დაიმსხვრა და დასწეულდა.  
 გზას თუ მოწყდი გახედვამდე,  
 ბოლოს სადმე მიგისწრებენ,  
 თუმცა ვეღარ თავხედობენ  
 მერები და მინისტრები.  
 გზა ეხშობათ შაითანებს,  
 ბრალს ფაქტებსაც დაურთავენ,  
 ნეტავ საით გაიტანენ  
 ნაარმევს თუ ნაუქრდალებს.  
 ბევრის დახლი აღარ დახლობს,  
 დასდებია გრძნობებს ლუქი,  
 ნეტავ წინსვლაც დავინახოთ,  
 ვით გვირაბის ბოლოს შუქი.

## ცხოვრება ძველით და ახლით

რად გაიფიქრე, რად მოისურვე, რატომ მოგინდა მაინც მაჯამა,  
თითქოს ცხოვრებამ ეს მონაკვეთი შეაჯამა თუ შემოაჯამა.  
თანაც ცხოვრების მძიმე ნარიყი ისეც დაღლილმა მაჯამ ურია,  
რაღად გინდოდა მეტი დაძაბვა, ცხოვრება ისეც მაჯამურია.  
ნიაღვარივით წელთა მარათონს გარიდებულმა ძველმა აჯობა,  
თუმცა ზოგიერთ უნიათოსთვის წარსული მაინც იყო ქაჯობა.  
ოლონდ წარსულში ნამდვილ ვაჟეაცებს ვერას აკლებდნენ ქალურ კაცობით,  
სადაც ნამდვილად იყო ნაკლები ამდენი ფლიდი, ხეპრე, საცობი.  
სადაც ერთურთი ჯერაცუყვარდათ და ჯერაც ქართულს ქმნიდნენ მაგალითს,  
რითიც გაქვიოდა უფრო ურყევი, უფრო მაღალი, უფრო მაგარი.  
სადაც ნაკლები იყო ღალატი ან სულ არ იყო მძიმე სენივით,  
ახლა ღალატი აღზევებულა სხვა დროს ნათქვამი თუ მოსმენილი.  
წარსულმა შორმა გადაიარა, აბორგებული სულიც განაბა,  
რაც კი შეეძლო ქარიშხალივით მოითარეშა, მოიბარაბა.  
მერე კი გაქრა, გადაიარა და არწივივით ფრთხი დაკეცა,  
ათასი ფიქრი, დარღვი, ტკივილი მძიმე ლოდივით თავზე დაგეცა.  
ცხოვრებამ ცხვირწინ ჩაიგრიალა, თითქოს მეწყერი მოსწყდა ჯებირებს,  
და ის რაც იყო გულის მკოდავი თუთიყუშივით დაიზეპირეს.  
მერე ცხოვრება მძიმედ შეირჩა და უარესი დარჩა ნაღველი,  
თანაც მანძილი მიკეც-მოკეცეს ჯერ შემორჩენილ ბჭეთა გადავლით.  
ამდენი შავი, ამდენი უშნო, შეგროვილები ზღაპრულ საქაჯეთს,  
ისე მოცვედნენ თითქოს წარსული შეცდომებისთვის მკაცრად დაგსაჯეს.  
ისე მოუნდათ კარგი ცხოვრება ქერქეტა თავიც აღარ დაინდეს,  
ოლონდ სრულიად აღარ მოჰკვდნენ ხალხის საყვარელ ვაჟეაც რაინდებს.  
რომელთაც ძველი ცხოვრების წლები ჩვენც შეგვაყვარეს, დაგვაახლოვეს,  
ახლაც ისინი გარდასულებიც  
ჩვენ გვამხნევებენ, ჩვენში სახლობენ.  
ჩვენც გადავდივართ ხშირად წარსულში,  
წარსულიც ჩვენში ხშირად გადმოდის,  
ზოგჯერ ჩვეული პირდაპირობით,  
ზოგჯერ მიღომით გარდიგარდმოთი.  
ასე გრძელდება ჩვენი ცხოვრება სურვილის, ახლის, ფიქრის, ოცნების,  
როცა მოგყვება, როგორც საგზალი, გზა სიყვარულით დანალოცები.  
ცხოვრება მუდამ ასე ყოფილა მრავალ ხმიანი,  
მრავალფერადი,  
იმ წარსულის გენ უკან გადასვლით, გარდავლენამდი, გადაფრენამდი.  
მხოლოდ სახელით ჩვენი დარჩენის, მხოლოდ სულებად გარდასახვამდის,

როს განწირულის ტონით დაგვცდება კარგად იყავით ანდა ნახვამდის.  
ქვეყნად არავის არ ეშველება, თავს წყვდიალიდან ვერვინ დაიხსნის,  
ამიტომ მუდამ უნდა ვიცხოვროთ  
წინსვლით, სიკეთით, ძებნით, ხარისხით.

### გამარჯვებისპენ

უნდა იბრძოლო სიკეთისთვის,  
ნუღა იქნები უკარება,  
თორებ დარჩები მიკეტილში  
უფანჯრებოდ და უკარებოდ.  
თუკი ერთმანეთს ვერ გაუგეს,  
საქმესაც წინ ვერ წაიგდებენ,  
ამ ყბადალებულ ბექგრაუნდებს  
ფეხქვეშ ფალასივით წაიგდებენ.  
მთავარია გერქვას უდალატო,  
სიკეთეს ვეღარ ასდიოდე,  
თუ ბედი დაგინდობს მუხანათი,  
წლებსაც განგისაზღვრავს ასიოდეს.  
ეს ჩვენი სამყარო საწუთროა,  
კიდეც იხსენებენ დროებითად,  
ახლა ისედაც ცუდი დროა,  
მოლაყბე, მოლალატე ჯგროებითაც.  
ერი უნდა აღსდგეს,  
გამოფხიზლდეს,  
არ იყოს საჯიჯვნი, საიარო,  
გზებზე გახრილსა თუ გამოხრილზე  
დიდი დაფიქრებით გაიაროს.  
მოვსპოთ ერთმანეთის გაცურება,  
რისთვისაც უღმერთოდ დავიხარჯეთ,  
კაცები თუ დავრჩებით კაცურებად,  
მიზანს მივაღწევთ და გავიმარჯვებთ.

---

## რა ქნას პაცხა

მიკუნტრუშობს ტყეში შველი,  
 ვეღარაფერს ვეღარ შველი.  
 ნუკრი მოკლულს სტირის დედას,  
 წინ გახტომას მაინც ბედავს.  
 ისმის ტყვიის ცივი ხმები,  
 შიშისაგან თითქოს ხმები.  
 დგას ყინულის ჩამიჩუმი,  
 ღამეც ხდება ჩამიჩური.  
 რეკვის ზარი გეზარება,  
 ცუდი ისევ გეზარება.  
 გინდა შენთვის იოცნებო,  
 თქვენგან მოქრის სიოც, მთებო.  
 ვერ თმობ ცუდის გამო სავალს  
 და ვერც ხედავ გამოსავალს.  
 თავიც ბევრჯერ გიწყევლია,  
 გზებიც სისხლით ირწყვებიან,  
 სხვისი ხელით ვერაგულით,  
 ვერ გაუძლებს ვერა, გული,  
 ამგვარ დღეებს,  
 ყოფას ამგვარს,  
 ამგვარ წვას და ამგვარ დაგვას,  
 წლობით ჭუჭყის ვეღარ დაგვას,  
 ველმინდვრების უშნოდ რაგვას.  
 ეძებ აქ რას,  
 ჰპოვებ აქ რას,  
 რა ქნას, კაცმა,  
 კაცმა რა ქნას?!

## სიახლისაძენ

თითქოს სხვისი სათქმელი შენაც ფიქრად მოგდის,  
ქარი, როგორც წერილი, შორი გზიდან მოგდის.  
აჭრიალებს წინკარს და შემოგილებს კარებს,  
გეგონება პატიჟი – შენც მოდიხარ ბარებ.  
არ გვექნება თვალთვალის ძველებური რიდი,  
თომას მანიც თან მიგაქვს, წაკითხული რიდიც.  
მუდამ ასე დაგქონდა გზაში წასაკითხი,  
აღარ დარჩა არავინ შენი გასაკითხი.  
მალე მივალთ, ცხოვრება დაიწყება სულ სხვა,  
გარდავლილი დღეებიც არ მიწყდება სუსხად.  
როგორც ბედის საჩუქარს შევეგებოთ ახალს,  
თვალშიც კი არ შევხედოთ თახსირსა და ახვარს.  
სულს გვივსებდეს შეგრძნება მოლოდინით ახლის,  
ცივი ქარი გვაცილებს,  
ფიჭვებს ერთურთს ახლის.  
ისე მოსჩანს ბუნება გაავდრებას ელის,  
ახლა ნაზად იგონებ კიტსისა და შელის.  
ქარი ცივად მტვრიანი ქუჩებიდან მოდის,  
დავა აღარ გრძელდება წესისა თუ მოდის.  
შორი ეკლესიიდან რეკვა ისმის ზარის,  
ეს იმედის ხმაა თუ მოთქმისა და ზარის.  
შერჩენია მდინარეს სილაპლაპე გველის,  
როგორც იქნა წავედით და სიახლეც გველის.

## სათხოვარი

სულ მეჩვენება სხვა სამყაროში განდეგილივით მიწევს ცხოვრება,  
სადაც ჯანღივით არეულობა უფრო მრავლდება, მიღის, ორდება.  
აღარ სწორდება ცხოვრება ჩვენი, ვინ შეგიბრალებს ახლა ობლობით,  
ავაზაკივით ჩასაფრებულან ავსებულები დაუნდობლობით.  
ერთს თუ მეორის უნდა ჩაძირვა, მეორე პირველს უთხრის სამარეს,  
მესამე ორის განადგურებას დაქირავებულს ურცხვად აგალებს.

ვინ დაამშვიდოს ამხელა შუღლი, ვინ ვის აჯობებს, ვინ ვის გათელავს,  
ვეღარ დალაგდა ცხოვრება ჩვენი, ვით ბნელი ღამე ვეღარ გათენდა.  
შური და შუღლი ღუპას ქვეყანას შემორჩენილი შავი ჭირივით,  
სიხარბის ქარებს გადაჰყოლია გაჭირვებული ხალხის ტირილი.  
ზოგს გასართობად მილიონები, ზოგ უბედურსაც ყინვის საწოლი,  
მძიმედ ირწევა ოწინარივით გამრუდებული ბელის სასწორი.  
რის საქართველო, რისი მამული, ყველა საკუთარს ეძებს სარგებელს,  
თითქოს გონება უძღებ შვილივით დაუბინდია თავად განმგებელს.  
აღზევანიდან ტანჯვით მოტანილს იოდნარევი გვიჯობს მარილი,  
სძულთ ყველაფერი მამაპაპური გატაცებულებს ჯიპომანით.  
თუ დიდ ჯიპშია გამოჯგიმული პატარა თავიც დიდი ჰეონია,  
კეთილშობილი და თავმდაბალი ნატვრისთვალივით მონაგონია.  
სურთ წარმოჩინდნენ ბრძენებად ფულით, გლეხი და ქურდი ჩემობს ელიტას,  
მაღალო ღმერთო, ჩვენი მფარველო, გამოგვიყვანე ამ სიბნელიდან.  
კიდევ გვანახე სამყარო შორი, ანგელოზები სადაც სახლობენ  
და შეაყვარე ქართველი ქართველს,  
ქართველი ქართველს დაახლოვე.

### პატობისათვის

საქმე რაც დარჩა უნდა გაკეთდეს  
და მოსახნავი უნდა მოიხნას,  
არ ასრულებდეს სხვების დაკვეთებს,  
საკუთარს უფრო უკეთ მოიხმარს.  
დარდი გულშივე უნდა მოიკლას,  
გზებს გაერიდოს ბრუნდს და უბრუნდესს,  
და თუ იტანჯა,  
თუ რამ მოიკლო,  
სულ სასიკეთოდ შემოუბრუნდეს.  
ცხოვრება ისეც ერთი ციდაა,  
სახელიანად უნდა შეძლო მისი გალევა,  
მაღლი ჩამოდის ზევით ციდანაც,  
განგება თავად გირჩევს დალევას.  
მთავარი არის მონდომება გდევდეს კაცობის,

როგორც წესები წინაპრების მამაპაპური,  
 შენი ნაფიქრის ისე განვრცობის,  
 ვით მოვარდნილი წვიმის შხაპუნის.  
 უნდა ცხოვრობდე ქვეყნად სიკეთით,  
 გარიდებული ბოროტ განზრახვებს,  
 სახელს ძალების მსგავსად იკრებდი,  
 რომ ჩაუწყვიტო ხმები დამძრახველს.  
 ცუდი და ავი  
 მზაქვარს აღარ გააბედინო,  
 არასდროს იყო სიავეთა თანამზრახველი,  
 ქვა აღებული მტერსაც უნდა დაადებინო  
 შენი კაცობით,  
 შენი სულით,  
 შენი სახელით.  
 ახლა ცხადივით  
 ოცნებაც კი გახდა ციფრული,  
 უნდა ყველასთვის სასურველი იყო საცნობად,  
 მხოლოდ გახსოვდეს,  
 მკერდზეც გქონდეს ამოტვიფრული,  
 რომ ქვეყანაზე უმთავრესი  
 არის კაცობა.

### მორიგი ჟიმედობისას ნათქვამი

ვეღარც კი ვაგნებთ ნაპირს,  
 მდინარეს აცოფებს ღვარი,  
 როგორც მოტეხილი კაპი  
 ანჯამებს მოწყდება კარი,  
 სიკეთე ვერ ვპოვეთ ჯაფით,  
 დაშრა ნაწვალები ღარი.  
 სახლი იულინთება ქარით,  
 სიმშვიდე ძილივით მორჩა,  
 ცუდსა და კარგს შორის ზღვარი  
 წაშლილი გვერდივით მოჩანს,  
 ჯორივით დამდგარა ხარი,  
 მიტომ უწოდებენ ოჩანს.  
 მრავლდება ძალიან ცუდი,

დგება შედეგივით ბოლმა,  
 ჩიტივით მიფრინავს წუთი,  
 ტოვებს ნიშანივით მოღლას,  
 დრო მოდის სულების ხუთვით,  
 ვით პურის გამზმარის ღოლნა.  
 ცხოვრება მძაფრდება შიშით,  
 ვეღარც კი ვაცხადებთ რაც ვართ,  
 მოყვასის ვაით და ვიშით  
 სხვას უნდა ქეიფიც, ჩაცმაც,  
 თითქოსდა ტანჯვისთვის ვიშვით,  
 რომ ჯვარს ქრისტესავით გვაცვან.  
 თუმცა ქრისტესავით არა,  
 როს საქმე ეხება რეგვენს,  
 იმედს მეწყერივით ფარავს  
 ზარი და  
 ზარები რეკენ,  
 მძიმედ მომავალი ფარა  
 ორგვლივ ანადგურებს ნეკერს.  
 სიძულვილს გახსნია გზები,  
 იმედით შევხედოთ ვიღას,  
 და თითქმის ყოველდღე ვხვდებით  
 ტრაქტორზე შემომხტარ ტიღას,  
 მრავალს ქაჯებივით რქები  
 ჰგონია დიდების ჯიღა.  
 ისევ გვიჩვენებენ მჯიღებს,  
 სახით ამაზრზენით ჩანან,  
 დახშულ კარს ვერავინ გვიღებს,  
 ვით მტრისთვის საჭირო დანას,  
 და აღარც არავინ გვიმღერს  
 დღემდის ვერმოყოლილ ნანას.  
 ცხოვრება – არენა კრივის  
 მოიწევს, არაფრით წყდება,  
 შურით ფართოვდება მწკრივი,  
 როგორც სადისტების წყება,  
 და ვით სირენების კივილს  
 ვისმენთ ამ როყიო ქებას.  
 იმედი ქცეულა ნაცრად,  
 სიძულვილს მოშლია ღობე,

სხვათა სიბოროტეს ნასწავლს  
 უკვე ვეღარაფრით თმობენ,  
 სხვა სავალს ვეხდავთ და  
 სხვა წამს,  
 სხვა სიბოროტესაც ხმობენ.  
 მტერთან ამჯობინეს გაცლა,  
 დგას უნდო დღეების ციკლი,  
 მიდის მასობრივი აცრა,  
 რომ მოპგავს კოვზების რიკინს,  
 და წინსვლა-სიმშვიდის ნაცვლად  
 ცუდს მოსავალივით ვიმკით.

### საბოროლველად

ქარი ღრუბელს სიგრძეში ბუმბულივით შეჭრის,  
 მანც ძალა ეყოფა უღრან ტყეში შეჭრის.  
 ტყეში გზაარეული გზაზე გავა ზაქი,  
 თუ არ გადაეყარა საღმე ავაზაკი.  
 თუკი იქნა მშვიდობა, ერთმანეთი არ კლეს,  
 ჯერ კი ავტომატები ჰგვანან ქათმის ბარკლებს.  
 ვერას იგებს ფხიზელი,  
 გინდა გადაკრული,  
 კაცსაც შავი ბინდი აქვს ტვინზე გადაკრული.  
 თანაც ჩაფიქრებული ვეღარაფერს არ კვევს.  
 აღარ უცქერს კუთხეში დაკიდებულ სარკეს.  
 ვინ იბრძოლებს ცხოვრება იყოს უკეთესი,  
 როგორ გაძლებ მარტოკა დროის ყრუ კედლებში.  
 როს აკლდამას ჩამოპგავს სიმარტოვე ცივი,  
 ფანჯრებს კეტავ სამ-ოთხგან,  
 ემალები წივილს.  
 ავად იყო ძმაკაცი, ფიქრობ ნეტავ მორჩა?  
 იქნებ მისი სიცოცხლე დამთავრდა და მორჩა.  
 ნეტავ ყველას ვხედავდე მთის კაცივით ჯანმრთელს,  
 თუმცა წლებმა უზომო ბაცილებით გვჯართეს.  
 როგორ უნდა აჯობონ კაცებს ბაცილებმა,  
 ამის გაფიქრებაც კი ადრე გაცინებდა.  
 ეს ქვეყანაც არ ჰგავდა მაშინ საბაცილეთს

ახლა ავადმყოფობას ვინდა აგაცილებს.  
 უკვე შეგაჯანჯლარებს ჯანი გატეხილი,  
 წამოდექი, იშრომე, სუფრას მატე ხილი.  
 რადგან ხილი გვავიწყებს ზოგჯერ უღვინობას,  
 ამ დროს ბედი უბედო კაცსაც უღიმოდა..  
 მაინც ფიქრობ ამქვეყნად მთავარია ბედი,  
 ბედმა ბევრი გახედნა, ახრევინა ქედი.  
 ქედმოხრილი კაცი კი მოჩანს საცოდავად,  
 ვინც დარჩების რიგები ვეღარ აცოტავა.  
 ვინაც დამსგავსებია ხელჩაქნეულ საწყალს  
 და ყველაფერს აბრალებს ღმერთს უზომოდ გამწყრალს.  
 დაბრალებით, დაბოლმვით დრო უმიზნოდ გადის,  
 თითქოს ღვარცოფს შებმია ნაბიჯები კატის.  
 უნდა გაძლოთ რაც დაგრჩა წინაც გასაძლებად,  
 სანამ სული მეუფის ბალში გადაძვრება.  
 უმიზნობა, სიბეცე კაცსაც აცხოველებს,  
 ის სიცოცხლეს, სიბერეს ვეღარ აცხოველებს  
 თუ ხარ ამ ქვეყნაზე,  
 კაციც უნდა გერქვას,  
 დაემსგავსო სიმაგრით რკინასა თუ მერქანს.  
 წერო, შექმნა, ეძებო, მიაღწიო მიზანს,  
 ამაღლდები ასეთ დროს,  
 დარღიც ვერას გიზამს.  
 და დატოვებ ცხოვრებას მაგალითად სხვების,  
 ობლის კვერი ამ ქვეყნად ბოლოს მაინც ცხვების.

## სოფლის სურათი

ჯერ თავს ვიქცევ ჭერამით,  
 რა თქმა უნდა, ჯერ ამით,  
 თან ალუბლით და ბალით,  
 ხეებია დაბალი.  
 უქმად ყოფნა ძნელია.  
 ანდა შეუძლებელი,  
 შრომის შედეგს ელიან  
 პატარაც და ბებერიც.

შენც მიდიხარ საშრომად,  
 თითქოს რამეს გარისკავ,  
 მიწას უნდა გაშრობა  
 წუხანდელი ღვარისგან.  
 ჯერ მინდვრებზე კვალია  
 ღვაროტქაფივით წვიმისა,  
 სუნი დადგა ძალიან  
 ლერწისა და წივისა.  
 სოფელს სულ სხვა სურნელი  
 ასდის, ქალაქს არა ჰგავს,  
 ახლოს ისმის ზურნები,  
 ჰანგს დუდუკიც დაქარგავს.  
 ვაჟკაცური ქეიფიც  
 მშრომელს უყვარს კახურად,  
 მთებს ღრუბლების შლეიფი  
 მოსწყდა, სივრცე დახურა.  
 ცხელი პურის სურნელი  
 დგას ჰაერში მდორეში,  
 წუთისოფლის მდურვებიც  
 ჩაიწვება თონეში.  
 ამოფრენა შოთების,  
 აჩენს სურვილს დალევის,  
 მერე შარას მოთელილს  
 მიჰყვებიან მთვრალები.

### ის მთები ახლა ძალზე შორია

ვეღარ დავგლიჯე ეს აღტახები,  
 წლები მარტყია,  
 როგორც ხუნდები,  
 გადაჩეხილი უიმედოდ გდია მარხილი,  
 გზაარეული უკან ვბრუნდები.  
 მდინარეების მცემენ ტალღები  
 გაწყვეტილია ჰანგი სამღერი,  
 მაინც მივდივარ,  
 მუხასავით მაინც ვმაღლდები,  
 მაინც ტრიალებს მთებში ნამქერი.  
 ის მთები ახლა ძალზე შორია,

ფარეშებივით სდევენ მწვერვალებს,  
 ჯანლი მგზავრივით გადაღლილი  
 იწყებს ბორიალს,  
 და წინ მიხვდება რასაც ვემალე.  
 ვემალე ყინვას,  
 მსუსხავ ქარიშხალს,  
 რომ ვერ წამილოს გადასაგდებად,  
 ოლონდ დროებამ არეულმა  
 ალარ გამიშვა,  
 ვნახო ცხოვრება თუკი ლაგდება.  
 რის დალაგება,  
 არეულობა  
 ისევ დაჰყვება ქუჩებს ქარივით,  
 ამ ქვეყანაზე, ახლა არვინ საიმედო არ მეგულება,  
 რომ კვლავ აღზევანს ჰპოვოს მარილი.  
 რომ კვლავ წავიდეს იმ სიშორეზე,  
 ანდა მამული ისევ ეტკინოს,  
 თითქოს ჩამიწყდა მოქანავე ზიდი მორევზე  
 და მაინც უნდათ შხამიც გეტკბილოს.  
 ცხოვრებამ ისეც გასვა ფიალით,  
 ბავშვივით ძალით დაგალევინა,  
 და ულამაზეს გოგონების კაბის ფრიალიც  
 განუჭკვრეტ წყვდიალს გადარევია.  
 მას ვერასოდეს ვეღარ მიწვდები,  
 ისევ ტრიალებს თვალწინ მორევი,  
 უამის სიმძიმით გადაღლილი თითქოს მიწდები,  
 ოლონდ იმედით განმეორების.  
 თუმცა იმედიც ხშირად ფუჭია,  
 ვით ოკეანის ფეხით გადავლა,  
 ცხოვრება ისეც დროებითი ერთი მუჭია  
 და ცოტა რამე გრჩება ნადავლად.  
 გვერა როგორაც ნაღდი კაცების,  
 შენი ძალის და შენი ნათქვამის,  
 თითქოს მწარეში გამოზოგილ ლუქმას აწებდი  
 და გიზიდავდა მხოლოდ მართალი.  
 ნატვრა მძივებად ზეცას შევკიდე  
 დამრჩეს მიდამო მზით დაფერილი,  
 მსურს დავიჯერო,  
 რომ ამ ქვეყნად სიკეთისთვის ვივლი მე კიდევ  
 და დავუდგები მამულს მცველივით.

---

## საქოდური

არასოდეს ყოფილხარ გასაგებად სადა,  
 ბევრი ფიქრობს ვინ არი ან საიდან სადა.  
 საიდან ხარ მოსული გამოცვლილი გვარით,  
 არასოდეს უქია ვინმეს შენი გვარი.  
 გსურს კბილები  
 ელამი ეშმაკივით კრიჭო,  
 სახეირო რაც დარჩა ბუჩქებივით კრიჭო.  
 ჯერ ბევრს აღწევ ფლიდობით ეშმაკობით, ხრიკით,  
 არასოდეს გისვია მარნის სველი ხრიკით.  
 ამნაირი დალევა ალბათ ორში მოდის,  
 როცა იღებ ჭურიდან ღვინოს ორშიმოთი.  
 თუმც სურვილი არა გაქვს ორისა თუ ხუთის,  
 ოსტატი ხარ მაგარი სხვისთვის სულის ხუთვის.  
 ცოტა გვიან ხვდებიან  
 რაცა ხარ და ვინც ხარ,  
 უკე ადარ იყენებ რაცხასა და ვინცხას.  
 დაეუფლე გამოთქმებს ქალაქურს და ახალს,  
 საუცხოოდ შეეწყვე სულ შენნაირ ახვარს.  
 გეუბნება მავანი – შენ რა დაგიშავა,  
 რამე გაგიწითლა, თუ რამე გაგიშავა.  
 მარტო ჩემზე ხომ არ დგას  
 მთელი ქვეყნის საქმე,  
 ან ზოგადად თუ იტყვი  
 ის იქ არი, აქ მე.  
 რაც კი კარგი არ არი ამას ყველა ხედავს,  
 უადგილო ადგილას რომ აწვება პედალს.  
 უამი გადაჩეხვისა ალბათ, მალე უწევს,  
 სულ მუქარით საუბრობს,  
 ხმასაც მაღლა უწევს.  
 რომელს შერჩა ამ ქვეყნად დამღუპველი ბოლმა,  
 ვერ მოჰვერა სიფხიზლე  
 წინაპრის ხმამ ბოხმა.  
 და ვიღაცას ტანზევე ფარჩას ახევინებს,  
 თუმცა უკან ვერავის ველარ ახევინებს.  
 რადგან მისიანებიც ესწრაფიან ღალატს,  
 ველარ მიაშავებენ არაკაცურ ღალას.

ეს ასეა, ყველაფერს  
აქვს თავი და ბოლო,  
არ შეგრჩება ჭერი რომ  
სულ მჭვარტლო და ბოლო.  
რაც სულ ფარე, სულ მალე,  
ჩუმად ვერარ რჩება,  
დრო მიქრის და სულ მალე  
არაფერი რჩება.

### ამჟამად მამულისათვის

ეს ყველაფერი იქნება, განა უკვალოდ რჩება,  
ოღონდაც ჩვენგან ამ ქვეყნად აღარაფერი რჩება.  
რაც არის ვნატრობთ კაცურად ქართველებს რამე არგოს,  
ჯერ კი მოვგავართ ნაპირთან თოკებით დაბმულ „არგოს“.  
ჯაჭვები მძიმედ გვარტყია ტკივილებივით ტანზე,  
ცხოვრებაც ისე ეშვება, როგორც მზე შუბის ტარზე.  
ხანდახან ნიჩებს მიჯაჭვულს, დავმსგავსებივართ მონებს,  
როს აღზევდება ვიღაცა, ითხოვს ყვავილთა კონებს.  
ყოფას იმგვარად ვუყურებთ ვით გრიგალს სწრაფად მქროლავს,  
თვალებს ვერაფრით ვუსწორებთ დღეებს მხრჩოლავს და მქროლავს.  
ჩვენი იმედი ვერ გახდა დიდი სიკეთის წყარო,  
დიდი ხანია უფალი ძალიან მცირედ გვწყალობს  
გამეფებულა უცვლელად არეულობის დარი,  
ვერ მოვიპოვეთ ერთი დღეც სხვების სილალის დარი.  
ვინ დაგვიბედა დალატი, შური, გინება, ბოლმა,  
რატომ დაეტყო ბებრულად ერს საშინელი მოღლა.  
რატომ ხუნდება ტყე-ველი ადრე რომ ჰგავდა კრაველს,  
რისი რუსეთი, ჩეჩენეთი, ერთმანეთს თავად კლავენ.  
ისე დამთავრდა ეს წლები ველარ მოიგეს დავი,  
დამსგავსებიან დიაცებს  
ჭორით, ეჭვებით, დავით.  
დავითი ბრუნავს საფლავში, შეუდარებელს ვინ ცვლის,  
ძველი დროს მერე ხალხისთვის უკვე ვერავინ იცლის.  
გახშირდა ოინბაზობა,  
ქონების ხვეჭა, ფული,

არის ქვეყანა ზოგისთვის,  
როგორც მეწველი ფური.  
გზებს დატყობიათ ზიგზაგი,  
ოღონდ ვის გზას და რა გზას,  
წარმატებისთვის ვერავინ ვერ იმარაგებს საგზალს.  
მძიმედ ბუქსაობს ქვეყანა კვლავ მუშათა და გლეხთა,  
ქარი კი ისევ ტრიალებს უწინ რომ ყინვებს გრეხდა,  
ქარი კი ისევ ტრიალებს უწინ რომ ყინვებს გრეხდა.  
დიდი მანძილი არ უდევს გზას ერთმანეთით კვეთილს,  
ცხოვრება უნდა დიდ-დიდი ჩინოვნიკების კეთილს.  
არც საოცნებო შემოგვრჩა,  
ლამის ოცნებაც მიწყდა,  
თითქოს გრეხილი გრიგალიც მიილია და მიწყდა.  
დრო აირია, გაუამდა,  
აღარც იმედი დარჩა,  
მამულისათვის ამჟამად საოცნებოც კი არ ჩანს.

### და რაც დარჩა

აღარ იქნა,  
არ ეშველა  
ამ ქვეყანას ათასწლოვანს,  
მალე ხრამში ჩაეშვება,  
ვინც ყანები გადასძოვა.  
მიაყოლა მერე ზერებიც,  
ბევრი დარჩა უღვინოდა,  
რისი ძვრები,  
რასი ძვრები,  
ხალხს არც ბედი უღიმოდა.  
როგორც ბავშვი დედას ელის,  
ველით რამე სასიკეთოს,  
არ ჩანს ჩვენი ზედაზენი,  
გზა ვინ უნდა გაგვიკეთოს.  
ერთ დროს თბილი და მოყვასი  
რჩება ბოლმის ნაკვეთებად,  
უპოვართა გამოყრაში

ბრალი ჩვენაც დაგვედება.  
 არვინ არ ჩანს ანგელოსად,  
 არვინ არის სანაქებო,  
 გზა ვერაფრით დაგელოცათ,  
 სხვის ბედს ვეღარ განაგებთო.  
 გაჭირვება გაჭირვებას  
 ემატება აგურივით,  
 თითქოს აღარ დაგვჭირდება  
 გზა კვამლისგან დაბურული.  
 წინ უძირო ხრამებია,  
 ბეწვის ხიდებს გადავდივართ,  
 სადაც არვინ გვყვარებია  
 მხოლოდ ბოლმის ნაკადია.  
 ნუთუ სისხლი დაიშრიტა  
 ყველა ძარღვის თანამდევი,  
 ხალისითაც  
 კაეშნითაც,  
 მოყვასისთვის გადამდები.  
 ნუთუ მხოლოდ სიძულვილი  
 დგას ყინულის მწვერვალებად,  
 სიკეთე კი მიწურული,  
 ულრან ტყეში გვემალება.  
 აღმართია დასალახი,  
 მზეს რომ ცივი ხელი ვახლოთ,  
 და რაც დაგვრჩა დასანახი  
 უკეთესად დავინახოთ.

### გამოდარების იმედი

გზას ნუ გადაუღობავ, გვერდზე გადი ნერგო,  
 ხომ არ გინდა კაცივით თმებიც გადინერგო.  
 აწი აღარ გჭირდება გადნერგვის ცდები,  
 ვეღარ გეტყვის ვერავინ უკვე ნაღდად ცდები.  
 ექოსავით გაისმის – მაინც რა თმა, რი თმა,  
 სანაცვლოდ კი დაგრჩება ნორმალური რითმა.  
 მარტო რითმა ბოლომდის ვითომ რას გიშველის,  
 ამიტომაც ნასურვებს ერთვის წადი შენი...

ცხოვრებაში უთმოდაც კაცი იქნებ გაძვრეს,  
 ოღონდ იყოს მაგარი,  
 სული არსად გაძვრეს.  
 ეს რა თმები აგიტყდა, თუმც კარგია თმაც ზო,  
 მარტო ლექსი რითმებით როდემდის გსურს აცხო.  
 ცას უცქირე, გაიგე საით მიდის წერო,  
 გირჩევნია იგრძნო და მერე შენთვის წერო.  
 ლექსის კარგად წერასაც ცდები უნდა ბევრი,  
 რომ მოსპოტ და დალექტო წუთისოფლის კევრი.  
 არც ადვილი არ არის მოსპობა და გდება.  
 თუმცა შენ არ გინახავს უსახელოდ გდება.  
 ისევ უნდა იბრძოლო,  
 არ შეხარო წარბი,  
 როს ცხოვრება დამფრთხალი ირემივით გარბის.  
 დარდს გიუხვებს ქვეყნა დღემდის შერყეული  
 აკანკალებს უამრავს სკამი შერყეული.  
 ფიქრობ როდის დადგება ნატვრასავით დარი,  
 რომ არ იყოს აღარსად შენი კუთხის დარი.  
 შენაც გდევდეს იმედად მიგნება და შეყრა,  
 სამუდამოდ რომ დარჩე ამ ცოდვიან ქვეყნად.

### საქართველო პი დარღობს

სძულთ ერთმანეთი ქალებს,  
 სძულთ ერთმანეთი კაცებს,  
 გზები უმიზნოდ ცვალეს,  
 ცეცხლი ერთმანეთს სტაცეს.  
 რაღა უნდა ქნას კაცმა,  
 გზას თუ ბოროტი ხერგავს,  
 მიმტევებლობის ნაცვლად  
 აუტანლობას ნერგავს.  
 ღვარი ნაფეხურს წაშლის  
 ამაოებად სოფლის,  
 სამზადისია დაშლის,  
 მერე კი მტრებად ყოფნის.  
 არ ცნობენ ვისიც მართებთ,  
 რიგი ჩადგება კარვის,

ქართველი ექცა ქართველს  
ვით ამომყრელი ჯავრის.  
იტანებ მხოლოდ ვიწრო  
საკუთარ გუნდს თუ კასტას,  
და ბევრი ახლოს იცნობს  
კუპიურების დასტას.  
ყურს არ უგდებენ მყოფადს,  
საშიშროების მთოვარს,  
ნატრობენ ძალის ფლობას,  
რაც სდეგს მოლისფერ დოლარს.  
სძულო ერთმანეთი კაცებს  
სძულო ერთმანეთი ქალებს.  
ჭირი თავს მაინც გასცემს,  
რაც ვეღარაფრით ვმალეთ.  
დგას სიცრუეთა გორა,  
გზა ადარ მოჩანს სწორი,  
ცხოვრება გაწყდა ორად  
შურით, ბოლმით და ჭორით.  
ღიმილი გახდა ძვირი,  
მამულს არქმევენ ფართობს,  
საქართველო კი ტირის,  
საქართველო კი დარდობს.

## ორი წიგნის ხიდებისა და მიმზიდვების საიდუმლო ანუ არატრადიციული რეცენზია

ადრეულ წლებში გასაუბრების დროს რატომდაც მოდაში იყო ასეთი შეკითხვა და ზშირად გვეკითხებოდნენ კიდევ:

- ბოლოს რა წიგნი წაიკითხეთ?
- ჩვენც ვპასუხობდით, რომ წავიკითხეთ ხან ქართული, ხან კი რუსული ლიტერატურის რომელიმე ნიმუში. უფრო მეტად რუსულ ლიტერატურაზე კეთდებოდა აქცენტი.

მადლობა ღმერთს, ახლა არავინ აღარ გვეკითხება და აღარც რუსულ ენაზე აკეთებენ აქცენტს. ამიტომაც გამახსენდა ის ძველი შემაწუხებელი შეკითხვა და თითქოს ბევრი ადამიანის გასაგონად ვპასუხობ:

ბოლოს კი არა, უახლოეს ერთ კვირაში სულმოუთქმელად წავიკითხეორი დიდი ქართველის, ჩემდა სასიხარულოდ და საბერინეროდ ჩემთვის ორი საყვარელი ადამიანის არაჩვეულებრივი კაცებისა და ცნობილი მოღვაწეების საუცხოო წიგნები, ან შეიძლება ასეც ვთქვათ, სახელოვნად განვლილი წლების მოგონებები, თან მოგონებები არა მხოლოდ საჯუთარი თავის, არამედ ასობით ახლობლისა და მეგობრის სამაგალითო ცხოვრების შესახებ.

კითხვის დამთავრებისთანავე ორივე წიგნზე ერთი და იგივე კუთხით ვიფიქრე: ჩვენს გაციებულ კი არა გაყინულ დროში ნეტავ ყველას, ხნიერსაც და ახალგაზრდასაც ჰქონდეთ საშუალება წაიკითხონ ეს წიგნები, როგორ

ვცხოვრობდით, როგორ ვშრომობდით, როგორ გავურბოდით ყოველგვარ ცუდს, უკადრისს, მიუღებელს, რაც მთავარია როგორ გვიყვარდა ერთმანეთი, როგორ გვიყვარდა არამარტო ჩვენი, არამედ ახლობლების ოჯახები, შვილები, შვილიშვილები, ასევე წლების წინათ როგორი გაცილებით მაღალი და ერთიანი იყო ჩვენი სამშობლო, ჩვენი განუმეორებელი საქართველო.

ჩემი შინაგანი კმაყოფილების საგანია, როგორც ვთქვი, ახლახან, წელს ერთ და იმავე დროს გამოცემული ორი წიგნი. ესენია ნოდარ (ოჩო) ცერცვაძის ავტობიოგრაფიული წიგნი „ოთმიკო“ და ომარ მარგველაშვილისმოგონებების ძალზე საინტერესო წიგნი სათაურით „როცა უკან მოხედვის არ გეშინა“. აქვე სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო ორივე ავტორს უკან მოხედვის კი არ ეშინათ, არამედ დიდი სიამაყით უნდა იხედებოდნენ უკან.

ასე ვთქვათ სარეცენზიონ გამზადებული წიგნების კითხვისას და ავტორებზე წამოჭრილი ფიქრისას, მათ შორის, ჩემის აზრით და ჩემდა სასიამოვნოდ ბევრი საერთო შტრიჩი აღმოვაჩინე, ბევრი წმინდა ქართული ტრადიციის თუ ქართული ხასიათის ერთობლობით სულიერად დავტკბი. ზოგიერთი ეს შტრიჩი თუ მონაცემი შეიძლება სხვებსაც გავაცნო: წლებში ცოტა განსხვავების მიუხედავად ორივე ჩემი თაობისაა, ორივე ღირსეული და სამაგალითო ქართველი კაცია, ორივე

მეცნიერებათა დოქტორი, მაღალ სახ-  
ელმწიფო თანამდებობებზე ნამუშევარი,  
ორიგებ ძალიან გვიან დაიწყო წერა,  
როცა სამშობლოსათვის თავდადებუ-  
ლი შრომის ვრცელი გზები გაიარეს,  
ორიგებ თვალსაჩინო წარმატებას მი-  
აღწია, ორიგე არის ოჯახების, მუზლეუ-  
ბის, შვილების, შვილიშვილების უს-  
აზღვრო ერთგულებით მოყვარულები,  
ორიგე არის წარმოშობით იმერელი, ანუ  
წმინდა ქართველი. ეს იმერლობა რაღა  
შუაშიაო, — იყითზაგს ვინმე მოკირ-  
კიტე პიროვნება, — ვითომ კახელობა  
არ ჯობდაო. ვინ ვის ჯობია ძნელი  
სათქმელია, თუმცა ჩევნ ყველა კუთხე  
თავდაგიწყებით გვიყვარს, უფრო მეტად  
კი მშობლიური საკუთარი კუთხე  
გვირჩევნია. თანაც ამ პატარა წერი-  
ლის წერის დროს გამახსენდა — „გმირი  
იმერელი ზრდილობით“, გმირობაში რა  
თქმა უნდა, ხმლების ქნევა თუ ხელ-  
ჩართული ჩხუბი არ იგულისხმება, აქ  
სულიერი გმირობის სულ სხვა პრინც-  
იპებთან გვაქვს საქმე, თუ ცოტა მეტად  
გავშიფრავთ, მართლაც ორიგე ზრდი-  
ლობა-პატიოსნების მაღალი კატეგორი-  
ითაა დაჯილდოებული, მათი გმირობა  
კი ისაა, რომ ოთხმოცს გადაცილებუ-  
ლი თუ ოთხმოცს მიახლოებული  
წლები ვაჟაცურად, ანუ კაცურ-კა-  
ცურად გაატარეს, ათასობით ადამიანს  
უჩვენეს ოჯახიშვილობისა და  
ქართველობის მაგალითი.

აქ კვლავ გამახსენდა ჩემი მეგო-  
ბრის, გამოჩენილი ქართველი პოეტის  
იოსებ ნონეშვილის შესანიშნავი ლექ-  
სის ჭავბი:

„ეცადნენ და ვერ გამხადეს  
ბოროტი,  
ეცადნენ და ვერ გამხადეს  
ფლიდი,  
წუთისოფელს კაცად შერჩე  
ბოლომდის,  
თურმე ესეც გმირობაა დიდი“.

ეს სტრიქონები უშუალოდ მათზე  
დაწერილივით მიესადაგება ოჩო ცერ-  
ცვაძესა და ომარ მარგველაშვილს, მიე-  
სადაგება კი არა, გაცილებით მეტსაც  
იმსახურებენ.

ვინმემ შეიძლება ისიც თქვას, ამ-  
დენს წერს და ორი პატარა რეცენზია  
ვეღარ დაწერაო, რა თქმა უნდა, ორს  
კი არა თუნდაც ორასს დავწერდი, მა-  
გრამ ძირითადი ამოსავალი წერტილი  
ჩემთვის სიყვარული და პატივისცემაა  
და არა ტრაფარეტული განხილვა.

მცირედ მაინც გადავუხვევ მყისი-  
ერად მოფიქრებული ჩემი მეგობრული  
მისალმება — რეცენზიიდან და რამ-  
დენიმე სტრიქონს ავტორებს ცალ-  
ცალკეც მივუძღვნი.

სანამ სარეცენზიონ ნაწარმოებს  
„თემიკოს“ წავიკითხავდი, უპეე წაკ-  
ითხული მქონდა ჩემი ახლო მეზობ-  
ლის ხოდარ (ოჩო) ცერცვაძის არაჩვეუ-  
ლებრივი, ნიჭიერებით შექმნილი ავტო-  
ბიოგრაფიული წიგნები: „ასე იყო“;  
„ასეც იყო“; „მოგონებები გურამზე“.  
ვიცოდი, რომ გამოჩენილი შემოქმედის  
გურამ ასათიანის უახლოესი მეგობარი  
ოჩო ცერცვაძე იყო გამოჩენილი პიდრო-  
გეოლოგი, დოქტორი, დეპარტამენტის  
თავმჯდომარე, უცებ კი ბრწყინვალე  
მთხოველი აღმოვაჩინე. მან წერა გვიან  
დაიწყო, თითქმის 75 წლის ასაკში და

მყისვე ძალიან დიდი ნაბიჯები გადადგა. მიმდინარე წელს კი მის წიგნებს დაქმატა მონოგრაფიული მიმართულების წიგნი „თემიკო“, რომელშიც ძალიან საინტერესოდ არის მიმოხილული თავისი უახლოესი მეგობრის, თბილისისა და საქართველოს ყევლაზე კოლორიტულ პიროვნებად აღიარებული, უნიჭიერესი კინომსახიობისა და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის თემიკო ჩირგაძის არაორდინალური ცხოვრება, მისი ფართო გაქმნება და მრავალმხრივი ნიჭი. წიგნი ისეთ დონეზეა დაწერილი, რომ მკითხველი კარგად შეიგრძნობს ამ განუმეორებელი ადამიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მრავალ დამახასიათებელ ეპიზოდს. ამასთან ერთად დარწმუნებული ვარ ნოდარ (ოჩო) ცერცვაძე (ზედმეტსახელი მას სწორედ დაუვიწყარმა გურამ ასათიანმა შეარქვა) კიდევ არა ერთი და ორი წიგნით გაგვახარებს. ასეთ ადამიანებზე საჭიროა კრიტიკოსებმა მეტი წერონ, რომ ახალგაზრდებს აუცილებელი ორიენტირები უჩვენონ და მიუღებლად მავნე გავლენებს აარიდონ.

თითქმის ორიოდე წლის წინ წავიკითხე გამოჩენილი ქართველი მოღვაწის ომარ მარგველაშვილის ოთხასორმოცდაათგვერდიანი მოგონებების უაღრესად საინტერესო წიგნი საერთო სათაურით „დრო, დრო აღნიშნე ...“ წიგნი ძალიან მომეწონა. აქ ნიჭიერი მთხოობელის უშუალო, ძალდაუტანებული მანერით არის აღწერილი ჩვენი ბობოქარი, მრავალფეროვანი ცხოვრების პერიპეტიები, ის სიხარული და ტკივილები, რაც

განუყრელად ახლდა განვლილ გზას და რაც კვლავ და კვლავ მომავალი თაობის სიკეთისაკენ გადართვას უნდა მოხმარდეს.

ომარ მარგველაშვილმა ცხოვრების დიდი გზა გაიარა. 25 წლის ახალგაზრდა ბიჭი უპვე საქართველოს „შახტებშენის“ ტრესტის მმართველი იყო, შემდეგ მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე, მატერიალური რესურსების მინისტრის მოადგილე, მსხვილი გაერთიანება „თბილლვინოს“ გენერალური დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. მისი ცხოვრებისეული გამოცდილება და ადამიანური ურთიერთობები გახდა იმის საწინდარი, რომ წიგნები მაღალი დონის სასარგებლო ნაშრომებად ქცეულიყვნენ, მათში იმდენი აქტუალური საკითხია წამოჭრილი, ერთი რეცენზია კი არა, შეიძლება მთელი წიგნიც კი დასჭირდეს საფუძვლიან მიმოხილვას.

აქ განსაკუთრებით მინდა დღეისათვის ერთი უაღრესად საჭირო საკითხის შესახებ მოკლედ მაინც ვილაპარაკო. ეს არის ტრადიციული ქართული ოჯახების მდგრადობის, სითბოს, ერთგულებისა თუ წარმატებების საკითხი. ეს სასიცოცხლო და დღეისათვის ძალზე გააქტიურებული პრობლემა ოჩო ცერცვაძესაც ბევრ ადგილას აქვს შთამბეჭდავად განხილული, ეს კი ნამდვილი ქართველი კაცების საერთო დამახასიათებელი თვისებაა, რაც პაერივით სჭირდება ჯერ კოდევ უმწიფარ და გამოუცდელ ახალგაზრდობას, ვისაც ევროპისა და ამერიკის ტრადიციებზე

აღზრდა არაფერ სასარგებლოს და სახეიროს არ მოუტანს.

დიდი სიამოვნებით მინდა მოვიტანო ამ მართლა კაცური კაცის დაწერილი სტრიქონები ომარ მარგველაშვილის პირველი სქელტანინი წიგნიდან „დრო, დრო აღნიშნე“ ...

„ბედნიერი კაცი ვარ უპირველეს ყოვლისა იმით, რომ განათლებული, თანამედროვედ მოაზროვნე შვილები მყავს, რაც ძირითადად აღბათ, მაინც ჩემი მეუღლის დამსახურებაა. მან მთელი თავისი ცოდნა და ენერგია არ დაზოგა იმისთვის, რომ აღეზარდა ისინი მამულიშვილებად, იზრუნა მიეცა მათთვის კარგი განათლება, ესწავლებინა ადამიანების სიყვარული და დაფასება“. ძალიან საყურადღებო ციტატაა, დღეს ასე ვინდა დაწერს, როდესაც მოდად იქცა ცოლების ცემის და მკვლელობის საშინელი ველურობა. რას მოესწრო ოჯახური იდილით ცნობილი საქართველო. სწორედ მოძალადე, ალკოჰოლისაგან გონებაარეულმა ქართველებმა უნდა იკითხონ და დაიზეპირონ ომარ მარგველაშვილის აზრები, იქნებ მათაც გადაედოთ სიკეთისა და სიყვარულით უხვად ავსებული ოჯახის ერთობლივი ბედნიერების სასწაული.

მიმდინარე 2014 წელს გამოცემულ შესანიშნავ წიგნში სათაურით „როცა უკან მოხედვის არ გეშინია“, ომარ მარგველაშვილი კიდევ უფრო მეტ სითბოს, სიყვარულსა და ყურადღებას ავლენს. მეც კიდევ და კიდევ მიწევს ციტატების მოტანა, რაც გარკვეულ სიამაყეს მმატებს, მახარებს ჯერ კიდევ

არსებული სითბო და სიყვარული, სწორედ ამ გრძნობის დასაბრუნებლად და გასაძლიერებლად მთელმა ქართველმა საზოგადოებამ უნდა იბრძოლოს დღევანდელი გენდერული კატასტროფის დროს.

ისევ ომარ მარგველაშვილის ციტატები მინდა მოვიტანო სამაგალითოდ გულთბილი წერილიდან სათაურით „ჩემი ბელა“, რაც ძვირფასი მეუღლისადმია მიძღვნილი.

„ჩვენ ერთად მოვდიოდით არც თუ ვარდებით მოფენილ გზაზე, მაგრამ ჩვენი გზები არასდროს გაყრილა – ვავსებდით, ვეზმარებოდით და ერთგულად მხარში ვედექით ერთმანეთს. ... სიყვარულით, ურთიერთპატივისცემით გამთბარი მყუდრო ბუდე ავაშენეთ და გამოვზარდეთ ორი მართვე...“

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ რასაც მივაღწიე, როგორც მოღვაწემ თუ პიროვნებამ, ჩემს მეუღლეს ვუმადლი...

ბელამ ორი ვაჟიშვილი მაჩუქა. მან თავისი სათხო და კეთილი გული ოჯახს, მეუღლეს, შვილებს და შვილიშვილებს მიუძღვნა. სანიმუშო დედა და ბებია, წიგნიერი, ზედმიწევნით განათლებული და სტუდენტი-ახალგაზრდობის აღმზრდელი, წლების მანძილზე მუშაობდა ჩვენს დედა-უნივერსიტეტში და დამსახურებული პატივისცემითაც იყო გარემოსილი“.

ცოტა დიდი ციტატის მოტანა მომიხდა, მაგრამ ამას სიამოვნებით ვაკეთებ, რომ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა, მეტმა ახალგაზრდამ წაიკითხოს წიგნიც და უურნალიც. შორეული

იმედი მეუფლება, რომ იქნებ მსგავსი სითბო და სიკეთე ამ გაჭირვების შამს სხვებსაც გადაედოს.

ერთხელ კიდევ მინდა გავიმეორო, რომ ოჩო ცერცვაძისა და ომარ მარგელაშვილის საუცხოო წიგნების წაკითხვის შემდეგ უფრო ემოციური მილოცვა გამომივიდა, ვიდრე ტრადიციული რეცენზია და გარჩევა-შეფასება. სწორედ ამ ნაუცბათევი წერილის დაწერა განაპირობა იმან, რომ ძალზე სასიამოვნო და რაც მთავარია, ახალგაზრდა თაობისათვის ჭკუის სასწავლი წიგნები შექმნეს ჩემმა მეგობრებმა. ამავე დროს ჩემთვის სასიხარულო იყო ის, რომ ჯერ კიდევ არიან დიდი ადამიანები, ვისაც აქვს ნიჭი და სურვილი შექმნან ასეთი დონის წიგნები, რისი იმედიც მომავლისათვის სულ უფრო და უფრო ნაკლებად იგრძნობა. ჩვენი ახალგაზრდა მწერლები ისე გადაყვნენ სექსუალურ-მანიაკალურ აღწერებს, ლანდღვა-გინებასა და სკაბრე-

ზული სურათების ხატვას, რომ მათ მართლა უნდა დააძალონ იკითხონ ნოდარ (ოჩო) ცერცვაძისა და ომარ მარგელაშვილის წიგნები, ან, ღმერთმა ქნას, მათი მსგავსი ნაწარმოებები, იქნებ მაშინ მაინც მეტი იფიქრონ ოჯახების სიწმინდის, მეგობრობის, სითბოს, სიკეთისა და ერთიანობის გაძლიერების აუცილებლობაზე.

და სასრულს მინდა ვთქვა, ქართველები ხშირად მაქსიმალისტები ვართ ქებაშიც და ძაგებაშიც. იცინ – ხოლმე თქმა, განსაკუთრებით ჯერ ვერდალვინებულმა მწერლებმა მეგობრების წიგნების შესახებ: გენიალურია, ბრწყინვალეა, დიდებულია, შეუდარებელია და ა.შ. მეც სურვილი მომებალა მსგავსი რამ ვთქვა და დავწერო, მაგრამ მაინც თავს ვიკავებ, თუმცა ნოდარ (ოჩო) ცერცვაძისა და ომარ მარგელაშვილის საუცხოო წიგნების შესახებ ოთხი მოხმობილი ეპითეტიდან სამს მაინც დავტოვებ.

### ნუგ ზარ წერეთელი

## გულშროველი ბამოძახილი

ქალბატონი ნატა კლდეისელი 25 წლის მანძილზე ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას თბილისის 83-ე საშუალო სკოლაში, შემდეგ წლების მანძილზე მოღვაწეობდა სკოლა-კომპლექს „ბალაგარსა“ და გაზეთ „სახალხო განათლებაში“. ამჟამად დამსახურებულ პენსიაზეა.

გამოცდილი და ჭეშმარიტი პატრიოტი უურნალ „სიტყვის“ რედაქციისათვის გამოგზავნილ წერილში აღნიშნავს:

„... მაწუხებს ტრადიციების შსხვრევა, ეროვნულ-პატრიოტულ გრძნობების დაკანონება, მიზანმიმართული დაშლა, დაცლილი სოფლები, დაბეჩავებული, გამართხოვებული საქართველო, „ნელი კვდომა“, „ამღვრეული სათავე“, დალატი, ორპირობა, გაუტანლობა.

მოზარდ თაობას სწორ გზაზე დაყენებაში დახმარება სჭირდება. შველას კი ვერ ვხედავ. ამ შოუებით ისპობა ქართული, ქრისტიანული. რეკლამებმა წალეკა ყველაფერი.

ჩემი აზრით, პირველ რიგში მისახედია განათლების სფერო და სოფლის მეურნეობა. განათლებულმა, მაღალი ზნების ადამიანებმა უნდა მართონ ქვეყანას“.

ასეთი განცდა დაუფლა მას შესანიშნავი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი პავლეს ძე წერეთლის პოეტური კრებულის „პოლიტპატიმრის აღსარების“ წაკითხვის შემდეგ. წიგნმა მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და დაწერა კიდეც მშვენიერი წერილი „კვალი ნათელი“, რასაც ვაქეყნებთ ჩვენი უურნალის 24-ე ნომერში.

### უურნალ „სიტყვის“ რედაქტორი

#### კვალი ნათელი

არიან ადამიანები, რომლებზედაც დაუსრულებლად შეიძლება ილაპარაკო. აუწინავია მათი დვაწლი სამშობლოს წინაშე. ისინი დროს უსწრებენ. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ბრწყინვალე პიროვნება, უსამართლოდ დასჯილი დიდი ქართველი პატრიოტი, მამულიშვილი, ყოველგვარი სიკეთით, ღირსებით, პატიოსნებით შემკული

მოღვაწე აკაკი პავლეს ძე წერეთელი, პროფესიონალი ფილოლოგი და სპეციალისტი მწიგნობარი, უაღრესად განათლებული, ქართული ლიტერატურისა და ისტორიის უბადლო მცოდნე, ბრძნელად მოსაუბრე, ტექნიკური და მუდამ თავაზიანი, დარბაისლური მუსაიფის მოყვარული.

1941 წელს უსამართლოდ, შეთითხნილი ბრალდებით დააპატიმრეს და 10 წლით თავისუფლების აღკეთა მოუსავეს, ქონების სრული კომფისკაციით. სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლით აუკრძალეს თბილისში ცხოვრება, შეძლო ეცხოვრა მხოლოდ ასზე მეტი კილომეტრის დაშორებით.

მამამისი პავლე მდიდარი კაცი ყოფილა. ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ მთელი ქონება (მიწები, სოფლები, ტყები, რამდენიმე საწარმო, ჩვიდმეტი სასტუმრო სახლი) ჩამოურთმევიათ, რასაც 54 წლის შეეწირა. დარჩა მარტოხელა მეუღლე 5 შვილთან ერთად ულუქმაპუროდ.

შრომაშ, ჯაფაშ, სწავლაშ შედეგი გამოიღო. აკაკი წერეთელმა თბილისში ფილოლოგიური განათლების მიღების შემდეგ ჩამოაყლიბა გამომცემლობა, ბუკინისტური და იშვიათი წიგნების სამართველო, ხელმძღვანელობდა რესპუბლიკურ „საქწიგნს“, ეხმარებოდა ახალგაზრდა და დამწყებ მწერლებს.

ყიდულობდა და აგროვებდა უნიკალურ, ანტიკვარულ წიგნებს. ცნობილი ქართველი კლასიკოსების ხელნაწერებს. დაუბეჭდავ ნაწარმოებებს. შექმნა უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომელიც ოცდაათი ათასიდან ოცდაცამეტ ათასამდე წიგნს ითვლიდა. წერდა მემუარებს, წერილებს, ლექსებს.....

ყველა, ვინც წაიკითხავს ტუსლობაში შიშილით, წყურვილით, სიცივით და უსაზღვრო სიყვარულით დაწერილ გულიდან ამოსულ ლექსებს, ვე-

რასოდეს გათავისუფლდება მისი გავლენისაგან. ასე დამემართა მეც.

„პოლიტპატიმრის აღსარების“ წაკითხვამ ქართულ სინამდვილეზე ჩამაფიქრა. უამრავი ტკივილი აღმიძრა სისხლით დაწერილმა ლექსებმა. მართალია სამართალმა იზეიმა, მაგრამ... 1941 წელს დაპატიმრებული 15 წლის შემდეგ გაათავისუფლეს, გაამართლეს, ბოლიში მოუხადეს, 3 თვის ხელფასი მისცეს, მაგრამ... ის ჯალათები, რომლებმაც უსამართლოდ გაწირეს ჯურლმულებისთვის, უამრავი დანაშაულისთვის სიკვდილით დასაჯეს.

„ერთი მჯეროდა:  
ქვეყნად ყოფნის აზრი ის არი,  
იყო მამულის მოყვარული,  
მონა, მსახური,  
ბევრჯერ ნატანჯი  
ჯვარსა ვეცვი სიკეთისათვის,  
გზა გოლგოთისა  
ჩემი თვალით მქონდა ნახული“.  
(„საბოლოო გასაუბრება მკითხველთან“)

წერს პოეტი და დგება მამულის სამსახურში. სამშობლოს სიყვარულის გზაზე შეიძლება გოლგოთის გზის გავლამ, ჯვარზე გაკვრამაც მოგიწიოს, მაგრამ არ უნდა შედრკე, სულის სისპეტაკე და ნებისყოფის სიმტკიცე არ უნდა დაკარგო.

ლექსში „როგორ ვიწამო“ ვკითხულობთ: „ყალბია თქვენი სიტყვა და საქმე, ყალბია თავად თქვენი მოძღვრება, თუ არ მოვესწრო, სასტიკად დამგმეო, კომუნიზმს სული რომ ამოძღვრება“.

წინასწარმეტყველება ასრულდა.

დიდი მამულიშვილი წუხს მიტოვებულ და გავერანებულ ქართულ სოფლებზე:

„დღეს მიტოვებულ  
ეზოს, სახლს და კარს,  
პატრონობს მხოლოდ მზე და  
ჰაერი,  
აქ ქართველობა თითქოს

გამწყდარა,  
უნდა მოვიდეს თითქოს სხვა ერი“.

თვალდაშრეტილი ბუხრების გვერდით „მხოლოდ შამბნარი დგას ხელუხლები და შიგ დაძვრება ქარი წანწალა... „თითქოს მოხადეს სოფელს მანდილი, ხმა საიმედო არსით არ ისმის, აი ცხოვრება ჩვენი ნაძღვილი, სოციალიზმიც და რეალიზმიც“.

სოფლიდან შვილების, ახალგაზრდების წასვლას დაფრთიანებული მერცხლების თბილ ქვეწებში გაფრენას ადარებდა იმ განსხვავებით, რომ გაზაფხულზე მერცხლები დაბრუნდებიან, „სოფლად შვილების ყოფნა კი არის ამაო ოცნება“.

ჯანგატეხილმა დიდმა მოღვაწემ იმერეთს, მდინარე ყვირილას ხეობაში მდებარე მშობლიურ, მამაპაპურ სოფელ საღვინეს მიაშურა. მუხლჩაუხრელად შრომობდა თანასოფლელებთან ერთად. ვაზი გააშენა, ხეხილი დარგო, ძველი სახლი შეაკეთა და დაზამთრებამდე იქ იყო. თანასოფლელები დიდ პატივს სცემდნენ, ჭკუას ეკითხებოდნენ. ჭირსა და ლხინში ერთად იყვნენ.

„გერ მივატოვებ ვერასდროს

სოფელს,

ყანებს, ვენახებს შრომის სიკეთეს, ის პირველ რიგში დალატობს მშობელს,

ვინც ყველა ხეზე ბუდეს იკეთებს.“  
„გერ მივატოვებ.“

ღრმად იყო დარწმუნებული „ჩემი მშობლების გვერდით ვიქცევი საყვარელი მამულის მიწად“-ო, ამიტომაც საყვარელი მეუღლე, მიუხედავად შვილების წინააღმდეგობისა, მამაპაპურ სასაფლაოზე დაკრძალა, ამით საკუთარი განსასვენებელიც მოინიშნა.

„მინდა დავტოვო სიტყვა  
მართალი...

თუმცა წყვდიადის კართან მივედი, თუმცა სანთელივით დღემდე ვიღვი, ლექსები არის ჩემი იმედი  
და უკვდავება ჩემი შვილები“.

სამი შვილი, სამი ვაჟკაცი გაუზარდა სამშობლოს, სამივე ღირსეული და გულანთებული ქართველი – ჯონდო, ნუგზარ, გობრონ წერეთლები.

„თქვენზე ძვირფასი არვინ მყოლია  
მიტომ მამულის მსურდით მცველე-  
ბად“...

ბატონი აკაკის შვილს, გამოჩენილ მწერალს, მრავალი საინტერესო რომანის, მათ შორის დღეს უკვე ბესტ-სელერად ქცეული წიგნის „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“ ავტორს ნუგზარ წერეთელს ხომ კარგად იცნობს ქართველი მკითხველი. ბედნიერი მამა მიმართავს შვილებს:

„ვხარობ, ის გული  
გამოგყოლიათ

რაც მშობელსა და მამულს ენება...  
თქვენა ხართ ჩემი ციხე—სიმაგრე,  
გალავანი თუ ჩემი გალია....

„გხედავ მამულს ვუზრდი ვაჟებს  
ლამაზ კელაპტრებად"...

შეიღების, რძლების, შვილიშვილებ-ის სიყვარულით და მზრუნველობით გარემოცული 90 წელს მიღწეული, ვალმოხდილი აღესრულა, შეუერთდა წინაპართა სულებს. შთამომავლობას დაუტოვა თავისი შემოქმედება, თავისი სულის ნაწილი, თავისი აღსარება ლექსებად.

მიმდინარე 2014 წელს პოეტს დაბადებიდან 110 წელი შეუსრულდა. იქნებ ტელევიზიაში, სკოლებში, უნი-ვერსიტეტებში მოეწყოს საიუბილეო ღონისძიებები, სახლს გაუკეთდეს მე-მორიალური დაფა, რომელიმე სკოლას ან ქუჩას ეწოდოს მისი სახელი.

ვალდებული ვართ, პატივი მივაგოთ უსამართლობის მსხვერპლის, სამ-შობლოსა და მამულზე უსაზღვროდ შეყვარებული პოეტის, მწიგნობარისა და ცნობილი მოღვაწის ნათელ ხსოვნას.

**ნატა კლდეისელი**  
2014 წ.